


Զ Ե Ա Յ Ո Ւ

Դ Յ Ո Ւ Խ Ո Ւ



Ֆյուլովիանո Յոհաննես.

№ II

Ապրիլի 1897



ԺՈՂՈՎԻՆ.

Տիպոգրաֆիա Ե. Ի. Խելաձե. || ՏՐԱմա ցիցտոմբ ով. Եյլածուս.
1897.

Дозволено цензурою Тифлисъ, 30-го сентября 1897 г.

შინაარსი

განეცხადება |

	გვ.
I თ. 6. დიასამიქის სახსოვნად ლექსი	1
II უბრალო საუბარი („კრებულის“ ფოსტა)	5
III მოუცი და ახალგაზდა, ლექსი.	11
IV მედია, დრამა	15
V შეიძლება	<u>105</u>

განეცხად. II

VII ძუთათლის სიზმარი (ისტორიული ოცნება)	1
VIII სიკვდილი, მოთხოვა	9
VIII სულიქო, ლექსი	31

განეცხად. III

IX ჟავშეთი, (ეთნოგრაფიული, სტატისტიკური და ისტორიული წერილი), მასალა წარმოდგენილია ზ. ჭიჭინაძისაგან.	1 — 49
X გაცემადებანი	

თავ. ნიკო დიასამიძის სახსოვრად

ქალაჩუნა, ენა ტკბილი,
 გაიძვერა მოუბარი
 გველას მოსწონს ცხოვრებაში
 და ბევრიც ჭიავს მეგობარი!..

ზირში მთქმელი, უბოდიშო,
 თავ-მომწონე, უძიშარი
 ბევრს არ უევარს, რა თქმა უნდა,
 და ცოტაც ჭიავს მეგობარი!..

ესები გველა ვიცი,
 მოვლილი მაქვს მთა და ბარი;
 კარგათ ვატეოს, საღაც არის
 უპირბადო მეგობარი.

შენც გიცნობდი.... ფიცხი იქავ,
 თავ-გამწევი, მეტი ჩქარი,
 მაგრამ მვირად შემსვედრია
 შენებრ წმინდა მეგობარი!..

ლხინში კარგი, ჭირში მარგი,
 წირის-კაცი უტეუარი,
 სიმართლის დროს საიდუმლოდ
 თვით მტრებისაც მეგობარი!...

საზოგადო ჩვენი საქმის
 თანა-მგრძნობი უებარი,
 ავის მტერი სიტყვით, ქცევით,
 კარგის—გულით მეგობარი.

კარგი მუშა, მეოჯახე,
 კარგ ცოლაშვილზე გადამკვდარი,
 მეზობელი მეზობლების
 მოუკარული... მეგობარი.

ერთი ხიდან გაკეოდება
 როგორც ჯვარი, ისე ბარი,
 სშირათ ერთ და იმავ საქმეს
 მტერიც ჰეავს და მეგობარი...

და შენც, მმაო, ღალატობაშ
 საქმე გიყო საოცარი:
 მტრებს შეასხა ფრთები შხოლოდ
 და ცრემლებს ღვრის მეგობარი.

მაგრამ მაინც შეუნდგე მტრებს,
ძოდვნე მაცხოვარი!..
ის, ვინც იყო გაურჩევლად
მტრის და მოუვრის მეგობარი.

უბრალთ საუბრა

(კრებულის ფოსტა)

გამოვიდა თუ არა ჩვენი უწნალი, ყოველი მხრიდან მოგვდას შენიშვნები. მოხარული ვართ და ვმადლობთ შემნიშვნელებს! რაც ჭიუაში დაგვიჯდება, მორჩილად მივიღებთ და ვიხელმძღვანელებთ შემდეგ ნომრების გასაუმჯობესებლად; რაც არა და, იმაზე ჩვენს აზრს წარმოვსთქვამთ და ვუპასუხებთ ხოლმე ჩვენ კეთილის მოსურნეებს აქვე უწნალის „ფოსტით“ ამგვარად:

მეგთანა. იწერები: „შენ ნაწერებს თითქოს რაღაც აკლიაო“. აკლია კი არა მეტიც არის, მაგრამ ნუ დაივიწყებ ქართულ ანდაზას: „არაობას ცხრა ულელი ხარი სჯობია“. თურმე ერთ გაკეთებულ გლეხს ბოსელში ფოცხვერი შეუვარდა და ისე გაუფუჭა ნახირი, რომ თვრამეტი ხარის მეტი ალარა გადარჩენია-რა. მეორე დღეს, რომ შეიხდა ბოსელში პატრიონმა, ღმერთს მაღლი შესწირა და სთქვა: „არაობას კიდევ ცხრა ულელი ხარი სჯობია“. მეც შოეტს“.

ძალიან ვწუხვარ, რომ „კრებულში“ დაბეჭდილი ლექსი „ფუტკარი“ არ მოგწონებიათ, თუმცა კი, როცა იმას ვთხზავდი, თქვენ სრულიად არ მყოლისართ მხედველობაში! და რაც შეეხება იმას, რომ ის „ფუტკარი“ წვრმალნი რამეა, ახლა თქვენ დასწერეთ დაოვზე და ეგება სხვილმანი გამოგივიდესთ. მე-კი ალარ მაწერინებენ დათვემზე.

თამარ დაზნედს. ჩემს ლექსს „მაინც ჩვენია“, მიკვირს
 რათ და როგორ გაუჯავრებიხართ? თამარ დელოფლის
 მიმგზავსება და მთვარის შედარება არავისთვის, მგონი, საუ-
 კადრისო არ უნდა იყოს. და რომ კიდეც იყოს, თქვენ
 რაო? „აშოროს“ გეტუვით, ჩემს დღეში მე ლაზნში არ
 ვყოფილიყო და არც არავის იქაურ თამარს ეიცნობდე!..
 თქვენმა წერილმა ერთი ამბავი მომავრნა: ერთი ვინმე იე-
 რუსალომში მიმავალი თანა-მოგზაურს ეძებდა და გაზეთში
 გამოაცხიდა. მეორე დღეს მიადგა უცხო კაცი და ბოდი-
 ში მოიხადა: „მართალია, ვაპირებდი იერუსალიმში წას-
 ვლის, მაგრამ აღარ მავდივარ და ნურას უკაცრავათო!“..
 სამგზავროთ გამზადებულს გაეცინა და უთხრა: „ბატონო
 ჩემო, მე არც თქვენი ცნობა მაქეს და არც თქვენი სურ-
 ვილი მცოდნიაო და რათ სწუხდებით, რაზედ იხდით ბო-
 დიშაო!..“ ჩემო უცნობო ბატონო თამარ ღაზნელო, თუ
 უკაცრავათ არ გახლდეთ, თქვენც სწორეთ ამ უცნაურ
 მგზავრსავით იქცევით!..

გურუდს. იწერებით: „ბაში აჩუკი“ ძალიან კარგია,
 მაგრამ სათაური არ უვარგა: „აჩუკი“ კი არა, აჩიყი უნდა
 იყოს, რადგანაც თავ-შიშველს „აჩიყი“ ნიშნავს და არა
 „აჩუკო“. ადვილი შესაძლებელია, რომ ეგ მართლა მაგ-
 რე იყოს; მით უფრო მჯერა, რომ, როგორც თქვენს ქარ-
 თულ წერილს შევატყვე, თათრული უკეთ უნდა იცო-
 დეთ, მაგრამ მაინც ერთი ამბავი უნდა მოგახსენოთ: ერთ-
 მა ჩვენებურმა თავადმა შეილი მონათლა და აღმირალი
 დაარქეა. მეზობელმა დაუწუნა და უთხრა: ზღვაში ან
 ზღვის პირად რომ დაბადებულიყო ეგ შენი შეილი, მა-
 შინ უნდა დაგერქმია აღმირალით და რადგანაც ხმელეთ-
 ზე დაბადებულია, „ღენერალი“ უნდა დაგერქმიაო!— მა-
 გაზე რათა სწუხარ—უპასუხა ვაეის მამამ,— როცა შენ გვ-

ყოლოს ხმელეთზე ვაჟი, ღენერალი იმას დაარქვიო.

შედაგობს. წავიკითხე თქვენი ეპისტოლე და ბევრიც ეიცინე. განსაკუთრებით მასიამოვნა თქვენი წერილიდან შემდეგმა ადგილმა: „მე, როგორც გამოცდილ პედაგოგს, დამჯერება, რომ თქვენი „ზეპირ-სისტუვაობის“ განყოფილება უადგილოა ეურნალში. ჩვენ თქვენგან გამოსალვიძებლს რამეს ველოდია და არა დასაძინებელს. ზღაპრებს განა სხვაგან კი ვერ გავიგონებთ? სოფლებში მაგის მეტი რაღა იციან? აბა, რა დასაბეჭდი იყო მისთანა უშინაარსო და უთავ-ბოლო რამ, როგორც „ბროშოულის წყარო!“ — მაგ გვარი რამ ჩვენ ცოტა გაგეიგონია?!”

ამასთანავე განა ადგილი უნდა ჰქონდეს თქვენს გამოცემაში იმაოთ მორწმუნოებას? მაშინ, როდესაც ეკონომიური საკითხები თვალში გვეჩირებიან, თქვენ გამომდგარხართ და ხალხში ამაო მორწმუნოებას ავტოლებთ, უაზრო შელოცვებს ჰქონდავთო და სხვანი.. ბატონო პედაგოგო! დადი მხიარული ვართ, რომ ინსტიტუტი გაგითავებიათ და დიპლომიც ხელში გიჭირავთ!.. მოვცილოცავს!. მაგრამ ეგ ქალდზე დაწერილი დიპლომი სამსახურში შესვლის დროს დაგჭირდებათ... შეინახეთ!.. და ჩვენ კი მისთანა დიპლომს უფრო ვუჯერებთ, რომელიც ტვინზეა დაწერალი და ნურაფერს უკაცრავად, თუ თქვენი შენიშვნები ვერ მივიღოთ..”

დარწმუნებული ვართ, რომ ზღაპრები აღრევაც გექნებოდათ გაგონილი, მაგრამ მაგარი ის არის, რომ გაგონება და შეგნება სულ სხვა-და-სხვა ზმნაა. ზღაპარი „ბროშოულის წყარო“ უთავოდ არ მოგეჩენებოდათ, რომ სარკის წინ არ მდგარიყავთ!.. და რაც შეხეება დაძინებას, მოდი მოვიყვანოთ ყმაწვილები, ეგ „ბროშოულის წყარო“ წავუკითხოთ და თქვენი პედაგოგიური ნაწერებიც

და რომელმაც უფრო ადრე დააძინოს, ის დარჩეს გამ-
ტყუნებული!

ა....ს. დღის სიამოვნებით ავასრულებდით თქვენ
სურვილს, რომ შეძლება იყოს, მაგრამ თვალი დაუდგეს
სილარიტეს!.. ოთხი საკუთარი შემკრებელი გვყავს ზეპირ-
გადმონაცემების და მათ სასყიდელსაც თუ აუველით, რიც
დიდი ღვთის წყალობა იქნება. თუ მომავალში საშუა-
ლება გვექნება, მაშინ პირველ თქვენ მოგმართავთ. მა-
ნამდი-კი ნუ დაივიწყებთ ანდაზას: „აჩქარებითა სოფელი
არავის მოუჭამიაო!“

გ.... დ.... ს. კეტის დრო გადავიდაო, იწერებით,
და ჩვენც იმავე იარაღით უნდა ვიბრძოლოთ, რა იარაღი-
თაც მტერი გვებრძვისო! როგორ, თქვენი აზრით, მკენა-
რი რომ გვაწუხებდეს, ჩვენც მკენარებად უნდა გადავიქ-
ცეთ? შე დალოცვილო, აქა და ფილოქსერა ვენახს აფუ-
ჭებსო, დიდი და პატარა ყველა ფეხზე დგება, რომ გა-
დავრჩეთ ჭირს და იმაზე უფრო დიდსა და მავნებელს მოვ-
ლინებას-კი გაუჩუმდითო, ბძანებთ, და აქ სად არის ლო-
დიკა? თუ კი პატარა მტერს, პატარა ჭიას საჭყაპელებით
უშხაპუნებთ შაბიამანს, უფრო დიდ მავნებელ—ონავარს
რომ ერთხელ შევუშხაპუნოთ, ვითომ რა ცოდვა იქნება?

ეგველას. რადგანაც ყველის პასუხის ცალ-ცალკე გა-
ცემა შეუძლებელია, დასასრულ, ყველის ერთად მოვახ-
სენებთ შემდეგ ამბავს: ერთ კაცს თვალი ატკიცდა. შეხ-
ვდა ერთი მეგობარი და უთხრა: კაცო, სიცივე დაგკრავს,
გაწყენს და რატომ თვალს არ აიხვევო? დაუჯერა და აი-
ხვია. გაიარა ცოტა კიდევ, შეხვდა მეორე და გაიკვირვა:
ჩემო ძმაო, როგორ არ იკი, რომ მხურვალება აწყენს
თვალს, სიგრილე ურჩევნია და აიხსენიო! დაუჯერა იმა-
საც და აიხსნა. მესამემ ურჩია: თბილი წყლით იბანეო-

մյուտեղի - լուսո օթմարյու და სხցանո. զոնը-კո Շեխվածա, պայ-
 լամ տոտու համ շրինա და օսու պայլաս պայշտածա. და
 ոչ ա՛վալա თვալո, հռմ ծուլու սუլ დաշւածա. հռմ
 կալեծուծա, Շվոլյեծս անցերմո დաշւածո: „Շվոլյեծո, հիշա-
 պայլաս Ֆյուտեթ, մագրամ დաշերյեծոտ-կո ծեցրև նոյ დաշ-
 շերյեծոտու“. ամուսո առ օպու, հիշեն հիշեաս պայլասա վետեռաց
 და ու დաշերյեծոտ սუլ պայլաս վեր დաշւաշերմոտ եռլո-
 մի, նորաս պայլավատ.

მთხუცი და სხილ - გაზღა და

(ვუძღვნი ვ. ჭ-სას)

ბულბულს ქურს ვუგდებ, ვარდსა გვევრეტ,
 ორთა შეა მაქვს გონება,
 თავვანის ცემა ერთის მსურს
 და ძეორესი მონება.

მსურს, მაგრამ მარტო ჩემ სურვილს
 რა უფლება აქვს? რა მალა?
 შარბათი სიყრძემ წარმტაცა,
 სიბერეს მოაქვს სამსალა...

ტრფობის ბუდეა შვენება,
 თავდები სიჭაბუკეა!..
 და ეს ორივე აკლია,
 ვისაც ჭალარა უმკია!

მე კი ეს ჩემი ჭალარა
 მაფრთხილებს, გული-კალია,
 ოცნებას მიკლავს, სურვილს წელავს,
 როგორც წესი და ვალია!..

ვის ეტრფი? — ძეჩურჩულება,
 რა არის თქვენში საერთო?
 მას ლხინი ლხინზე მოელის,
 მენ ჭირი ჭირზე დაგერთო!...

სიჭაბუპე და სიბერე
 ორი სხვა და სხვა კიდევა:
 ერთი რომ ჯაჭვით აბია,
 მეორე ბეწვზე ჰყიდია!...

ის გაზფხულის იაა,
 გარს ქსემებიან ვარდები!...
 მენ — მემოდგომის ფოთოლი,
 სიო გვრავს, ჩამოვარდები!...

და გამრა ტრფობის აუზი,
 ცულში მეელი-ლა არსია;
 შიგ გადასული ამბავი
 თვალ-მარგალიტათ მარსია!...

მოდგება ცნობის მოუვარე,
 თან გადმოჭევება სურვილსა,
 მაგრამ უკანვე იქცევა,
 რომ ვერ მოიკლავს წეურვილსა!...

სიჭაბუქესვე მიმართავს,
 მასთან დაიჭერს კავშირსა,
 შატარა ნაჟერწევალი სჯობს
 დიდს, მაგრამ ცივსა ნახშირსა!..

მამხილებს, მაგრამ ჯერ მაინც
 გული არ იძლის გულობას:
 ოვალს ურჩევს მზერით დატკბობას
 და ენას მოციქულობას...

გერია¹⁾

ხუთ-მოქმედებიანი დრამა.

ՅՈՒԹՅՈՒՆ ՅՈՒԹՅՈՒՆ:

- 1) աճտաճ, կողեցտուս մամասակլուսո.
- 2) զեմքաճա, մամասակլուսուս թյուլլոյ.
- 3) մյջաճ, մատո ասուլո.
- 4) օտսօն, մատո ցյ.
- 5) տառտաճ, ոատաս լա.
- 6) մամա մյջաճասա.
- 7) մյջմյջաճ, մյջուս լուծուլո.
- 8) օտիշաճ, ծյրհնուս մտացարո.
- 9) մայժուճ, մուգութազյ.
- 10) վլաճա, մյյջաճուս.
- 11) մտացաճ յածճյլո.
- 12) Ծիչը.
- 13) ևաելու-Եյցյասա.
- 14) մացոյժյլո.
- 15) ցամփացըյլոն.
- 16) մտերածյլո.
- 17) ևասակլուս կալյէնո որուզյ ևյյըսուս.
- 18) եալուս լա կածլյլյէնո.

მარტინ შემახი ასული მარტინ
 ასამის მარტინ გერმანი მარტინ
 ასამის მარტინ გერმანი მარტინ
 ასამის მარტინ გერმანი მარტინ
მომავალი პირი მარტინი
მომავალი პირი მარტინი

ს ც ე ნ ა

(ბუზრიანი და სარკმლიანი ქველებური ოთახი)

გამოსახლა I-ლი.

მამა. (კვარს ანთებს).

რა საოცარი რამ ღამე იყო!..
 აქ ირყეოდა მოლად მთა და ბარი,
 და იქ ქვესკნელი ისე კვნესოდა,
 თვითქოს ჯოჯოხეთს აეშვას ზარი!..
 ზესკნელ-ქვესკნელის ბანის მომცემად
 ცა, მრისხანებით გადმომქუჩარე,
 აჯიადებდა ქვეყნის გასაჭირს
 და დედა-მიწა თრთოდა მწუხარე!..
 ტანჯვის დროს წამიც საუკუნეა...
 თვითქოს ჩაპყლაპა ნათელი ბნელმა,
 სანამ მეორეთ არ დაიყივლა
 ტკბილ-განთავდის მახარობელმა. (ლაფიქრლება)
 ამირან-გმირო, მთა და ბარის არყვე!..²)
 ეს ყველაფერი შენი ბრალია!

մացրած ժեղլու չափանի զարդարության,
սանամ լմբարդություն Շենք թիվը առաջարկուածա..
լա ու անուշակ առ մոցոտերու
ու սպասարկ սաջափառ ձալու,
ամոյքության մագ Շենք սահմանաշարքություն
առաջ ցինքեա կրտություն ծոլու..
(առմռսացլաւութուսացեն զալցեան սահմելու և օհեցեա)
ծնելու!.. չյշտ կություն առա ունեցեա (Ըստիոյեան և
եղանակնեան ապահովություննեան).
ո, միցու!.. միցու!.. մալալու Շինա
եոլունու, մացրած մուշտակամելու
հոմ ացոցու ծրագիտակալու ծինա,
Շեն զավաճառքու վայսու պահպանու:
Շոշտ-գուգությունու և ցուլ-մեղրակալու,
Շինա մոհեցեցու Շենք զարսկալապո
զամոցցու նազենց!.. ուստիրագու մալու,
հոմ ցու զամարտ զանունու զարու,
ապահությունու մուսու լոյզարդու
և Շենք սացալ-ցիաս, մնատութեա-մնատու,
Շեն սալությունու մուտքունու զարդու!..
Շենց ամոնծրագիտությունու և սուտալապո
ուսար-սերցեան մալունու գագաթուրուց!..
մոտ, սամշուրնալուն, Շենք մուսություն ցուլու
բարձունու նուցը ու ուն Շեաթուրուց!..
մաշին պահպանու Շենք մմռսացու
գոյրեալու լաածամս, լասմաեցու „ունաս“³⁾
և Շենց, մաարսու պահպանությունու առետա,
ՇեՇեմութրայցը ու գութիւնու „մից-Շինաս“.
նոյ մուտքարյա նուր-ծալցու հուսեցու,
հոմ ցրմա առ ստիգմա: առ ցութեալուառ

და აღარ მოსთქვის, საკინძ-ჩაწყვეტით:
 „ო, დილა, დილავ, ო, შავ-დილაო!..
 (დაემხობა და ლოცვილობს)

გამოსვლა II-რე.

ისვე და თირთა (გამოდის მეორე ოთახიდან შემკრთალი)

თირთა.

ხომ არ მომკვდარა, საბრალო, შიშით
 ასე თავდალმა რომ დამხობილა?
 ვაი მას, ვინც ამ უგნური ქვეყნის
 ბუნდში გაზდილა, ბნელში შობილა!..
 ძიძა!

ძიძა (ადგება)

რას ბრძანებ, ბატონის დაო?

თირთა.

რას განართხულხარ? რა ამბავია?

ძიძა.

ლოცვად ვიდექი, ჩამოვატყავე⁴)

სადაც-კი ჩვენი სალოცავია!..

ამდენი ხნის ვარ და ჯერ არ მახსოვს

ლამე ამ გვარად გარისხებული!..

მიკვირს, რომ შიშმა არ გადამრჩა
 და კიდევ შემრჩა აწ პირში სული!..

თირთა (იცინის)

ცხოვრების ჩარხი, რიგზე მპრუნავი,
 ცოტა ხნით ოდნათ გამრუდებული,
 ისევე ჩადგა სწორ-კალაპოტში,
 რომ დაიმშვიდოს ქვეყანამ გული...
 და რაღას შიშობ? მორჩა, გათავდა!..
 ხომ ხედავ დაცხრა ცა და ქვეყანა?..
 ბედის ვარსკვლავი თუ არ მომშეყდარა,
 დაუშავდება კაცს რამე განა?

მიძა.

თაფლი მაგ შენს პირს, გასახარელო!..
 ყველა შენ უკეთ მოგეხსენება!.. (ცოტა ხნის უკან)
 შიშის ბუდეა ღამის წყვდიადი
 და შორსაც არის ჯერ გათენება!..

თირთა.

რაღა შორს არის? მამალი ყივის,
 ღამე მაგდენიც არა დარჩა რა,
 ღრია წახვიდე ქალიშვილებთან,
 გამოაღვიძე ორივე ჩქარა!..
 მორთე-მოკმაზე ჩვეულებრივად
 და გამოაწყვე, როგორც იცოდე,
 თიხის ჭურჭლები გამოურეცხე,
 ისარ-კაპარჭიც თან მიაწოდე.
 (ძიძა გადის. თირთა, ღაფიქრების შემდეგ).

დღეს გაზაფხულის ბუნიაობა
 დაღვა და ღამე დღეს უსწორდება;
 არც ნათელს, არც ბნელს არ სურს დაკლება,
 საზღვარს არც ერთი აღარ შორდება!..
 ამ დროს მიწის ძერა და ზღვათა ღელვა
 ჩვეულებრივი არის მოვლენა!..
 ჰავრამ წუხელი კი მეტი იყო
 და გაგვწირავდა მრისხანე ზენა,
 რომ უჩვეულო და უპნაურ ძალა
 არ მოეხიბლა ცა და ქვეყანა:
 გაისმა რაღაც უცხო საკრავის
 სამო მღერა, ვით ტკბილი „ნანა“,
 პან გაიტაცა მთელი სამყარო,
 შეწყდა მდინარე, შეჩერდა ქარი
 და ყურს უგდებდენ სულ-განაბული...
 აღარ იძვროდა არც მთა, არც ბარი!.. (დაფიქრდება)
 მიკვირს, ვფიქრობ და ვერ გამიგია:
 რა უნდა იყოს, რა საგრძნეულო
 ჯერ არავისგან არ გაგონილი
 ჩვენ ქვეყანაში, ხმა უჩვეულო?..
 თუ რომ მთიები არ ჩამოსულან
 მალლით ამ ქვეყნის დასამშვიდებლად,
 გაშინ ორთეოზ⁵) გამოვგჩენია
 აქ ჩვენც კოლხეთის გასაღიდებლად!.. (დადის და ფიქ-
 რობს).

გამოსვლა III-მე.

თირთა, მედია და მუშედა.

(გამოდიან, ხელში თიხის პატარა ჭურჭლები უჭირავთ და
 მარტვე ისარ-კაპარები აქვთ გადატმული. უკან ძირა მოსდევთ.

ତଥାତଃ.

ଗାନ୍ଧୀଚୁପ୍ରଦିଲାନ୍?

ମିଠା.

ମଲ୍ଲବିଦାରି ଲାମକ୍ଷେତ୍ରେ.

ତଥାତଃ.

ଏହି ଗଢିନ୍ଦେଖିବାତି?!.. ମାତ୍ର ଜୁନଦା ଘ୍ରାନ୍ତିକାଳି:
 ନାହିଁବାଲାମୟେବେ ତ୍ର୍ୟକ୍ଷିଲାଇ ମିଳି!
 ତକ୍ଷେଣ-କୁ ଯେବିନ୍ଦିଲାତ ବ୍ୟାହି ଦା ରାମ ଲାଗିଫୁରିବାକାଳି?

ମହିଳା.

ରାମ ଦା ସିଂହାରମା, ହିମିର ମାମିଲା!..

ତଥାତଃ.

ସିଂହାରମା?!

ମହିଳା.

ଫାକ, ହେବନ୍ଦୀବା ବନ୍ଦାକ୍ଷେ.

ତଥାତଃ.

ରାମ ଗାଗାକ୍ଷେନ୍ଦ୍ରେ, ବ୍ୟାହିର ଦାତ୍ତିପାଵ,
 ମିଳିବେ, ଶ୍ଵେତିଲା, ଦା ଲାମିଲାବେ!..
 ଥଙ୍ଗି ସିଂହାରି ଅମ କ୍ଷେତ୍ରିନିର୍ମାଣ
 ବ୍ୟାହିବି ଅପରେବି ମନନାଦେଶି;
 ଥଙ୍ଗିପ ପିଲାର ଗାନ୍ଧିପାଦେଶି

და მწათობისგან მონაფენია!..
გარჩევა უნდა მათ ერთმანეთში
და მერე ახსნა... ეს არც ძნელია:
გონების შუქი იქ უფრო გასჭრის
და გაანათებს, სადაც ბნელია.

მედია.

შართლა, რომ რაღაც ჩვენება იყო,
ცხადის ნამზგავსი, გასაოცარი:
მიწა იძეროდა და მასთან ერთად
მთლიად ირყეოდა სულ მთა და ბარი!
უნდა ქვეყანა მტკრად ქცეულიყო!..
სიკვდილს ველოდი გულ გახეთქილი,
შაგრამ უეცრად რაღაც საკრავის
გაისმა ელერა წყნარი და ტკბილი...
გავედი გარეთ, ძუძუდაც გამყვა;
მაღლა ჰაერში გაისმოდა ხმა
და მიწაზედ-კი იქვე, მახლობლიად,
იდგა უცნობი, საარაკო ყმა!..
მისმა დანახვებ მე თვალი მომჭრა
და დამებეჭდა გულის ფიცარზე!..
თავ-ბრუ დამეხვა... რომ წავბარბაცდი,
იქვე სიჩქარით მივეყრდენ კარზე...
შემომაჩერდა, დიდხანს მიყურა,
არ მაშორებდა ალარც ის მე თვალს!..
პირველად ვგრძნობდი უჩვეულოსა,
შაგრამ შემბორკველ... უმაღლესსა ძალს,
აღარ მქონია მე საკუთარი რა კორი მისა და
აღარც სურვილი და აღარც ნება!..



სიკვდილ-სიცოცხლე, არარაობა
ჩემთვის სუსველი იყო ოცნება...
ზოლოს წავიდა ის უკან-უკან,
ხელით განაშნა, რომ წავყოლოდი,
მაგრამ მე ვიდექ ასე უძრავიდ, და
თითქოს ზედ თავზე მწილოდეს ლოდი...

სად, ან ეინ ციყავ,—აღარ ვიცოდი!..

ალარც ცა იყო ჩემთვის, არც მიწა!..

ამ დროს კალთაში ჩამივლო ხელით და კუთხით
ძუძუდამ და — შეცემაშეღვიძია... კინ მას მაგრამ
მაგრამ მღვიძის საცისე ვ მეტოდა არ აქვთ. ამ
ხმა მომხიბლავი!... მიძგერდა გული!... ა და კი
ძუძუდაც თავზე მაღადა მღვიძარი, მაცხოველი და მა
უძრავად, უხმოდ, გაშტერებული!...

ମୁଖ୍ୟମନ୍ୟାନ ପାଇଁ ତଥା ପରିପୂର୍ଣ୍ଣ ବେଳିକାଳ
ଅନୁଯାୟୀ ତଥାତର ଅନ୍ୟାନ୍ୟ ଅନୁଯାୟୀ ଏହିପରିଦିଶ

Հայութ Սահմանի աշխատ պատճեն
յց եռմ կը տոլու օստելցնու! աց ո՞վ որպէս պատճեն
թյ թագացար Տօնմարյցն ուժրալու զատեաց: Հով ոց
զահն ըցքա զոնմը պէտք ուղարկուած առ ուղարկուած ուղարկուած
Շենո զուլուստցու և օմաս նախաց. Խորածու նու

ମୁଦ୍ରଣ କାର୍ଯ୍ୟକ୍ରମ ମୁଦ୍ରଣ ପରିପରାଗା ଏବଂ
ମୁଦ୍ରଣ ମେଳକାରୀ (ଶ୍ରୀମିନଙ୍କେବୁଲାଙ୍କ) ପାଠୀ ପାଠିବାରେ

... բարեկայ քայլութեան ռազմական զբո
արա, մամուլա!.. մց շց առ մինդա... , գոյն ըստ մատչեց
համ օվուլառս տր բ Շյոն լցեա!.. աշխատանք և
ոմուստանացես առ Շյունեց գոյն ըստ մատչեց
հայեն პորոճա լա հայուղուց: Հայուղուց մատչեց
ու մովս Շառու առ արուս, զայուպա, ոմունք այս
ոցուտ մնատոճաս Արտ համուշուլու!..

ଲମ୍ବରତି ଦଳିଗ୍ରହି ଦା ଶ୍ଵେନିଗ୍ରହି,
ମେଲିଲାଦ ଫର୍କୋପିତ ସେବାଲ ଶ୍ଵେଶମୁଲି!..

ତରଣତା.

ଶୁଣ, ଶ୍ଵେତାପ୍ରାଣ, ଦାମିଲଗ୍ରେ ତଥାଲି,
ରା ଶ୍ଵେନାଶ୍ଵରାଦ ଶ୍ଵେଲାଙ୍ଗବୁଲିବାର!..
ଶ୍ଵେଶମୁଲାଦ ଫର୍କତିଶିଲି ଦା ଶିନଦାଶ୍ଵେଲାଲି,
ଶିଲିଶି ରା ମାଲ୍ଯ ମନ୍ତ୍ରପୁଷ୍ପବୁଲିବାର!..
ଶିଦ୍ଧେନ ବାନ୍ଦ ରାଗନାର ଶ୍ଵେର ଗାମିଗ୍ରହି,
ଶୁଦ୍ଧରାଲି ଶିଥିମରିତ ଗାତ୍ରାପ୍ରେବୁଲି?

ଶ୍ଵେଦା.

ଶୁରୁଶି ମିଶିବା ଠିକ୍ ଶାଶିବା ବିମା...
ଶ୍ଵେର ମନ୍ତ୍ରବିଦ୍ରହିନ୍ଦ୍ର, ଏହି ବିନା, ଶୁଲି!..

ତରଣତା (ଶୁଶ୍ରଦ୍ଧା)

ଶ୍ଵେନ୍ଦ୍ର ଗାଗନନ୍ଦ?

ଶ୍ଵେଶଦା.

କି, ଶାଲବାତ୍ରିନି, ଶ୍ଵେଶଦା ଏହିପରି
ଶ୍ଵେପ ଶୁରୁ ଶୁଶ୍ରଦ୍ଧାବିଦି ଗାପିପ୍ରେବୁଲି.

ତରଣତା.

ଶ୍ଵେନ ମିଦାପ?

ମିଦା.

ଏହା, ଏହା ଶ୍ଵେଶଦାବିଦି,
ଶ୍ଵେଶମୁଲାଦ ଶିଥିମରିତ ଗାତ୍ରାପ୍ରେବୁଲି!

თარითა.

სჩანს, რომ ესენიც მოტყუებულან
მეტის სურვილით... ჭარბი გულის თქმით:
გაზაფხულია, სისხლი თამაშობს
და უჩურჩულებს ყურებში სხვის ხმით...
(ქალიშვილებს) ნუ აჲყოლიხართ მაგ ფუჭ-ოცნებას,
უსაქმერობის უკუღმართ ნაშობს!..
ჩვეულებრივად რომ მოემზადოთ,
საქმეს შეუდგეთ, ახლა ისა სჯობს.
სანამ ფუტკრები მძინარ ყვავილებს
გააღვიძებდენ ბზუილით მწარით
და ამოსწოვდენ გულიდან სიტკბოს,
თქვენ უმალ მოდით და დაასწარით,
რომ უხმარ-ბამბით ამოუწმინდოთ
სუნელოვანი, ცვრიანი გული!..
ის ამირანის ცრემლები არის,
მარგალიტებად ზე-დათხეული...
რომ გაიუინთოს ბამბა სრულიად,
ჩასწურეთ ხოლმე მაგა ჭურჭლებში.
მაგაში ჩავლეს მეც სამკურნალო
წამლებს, გასაჯდომს რბილსა და ძვლებში.
(ჩამოიდებს ჯამს) ახლა მოდით და ჯამში ჩაუწევთ
თქვენი ისრები!.. შეასვით შხამი,
რომ გაკაწრულმა მაგითი მტერმა
ველარ იცოცხლოს ვერც ერთი წამი.
თუ დაინახოთ ცაში არწივი,
მაშინ შვილდ-ისარს მოავლეთ ხელი,
სტყორცეთ ხელ-მარჯვეთ, გაუპეთ გული
და ამოპეგლიჯეთ მწარე ნალველი!

სწორეთ მესამე მამლის ყიულზე,
 რომ ირაერაეროს იქ უნდა იყოთ,
 მოსაკრეფად-კი ყვავილ-ბალახებს
 მზის ამოსვლამდი ხელი არ მიჰყოთ!..
 ახლა-კი წატით და გამარჯობა
 თქვენ გამოსთხოვეთ სისხლის მოყვარეს,
 იმ ძლიერსა და თავმდაბალ ღმერთსა,
 რომელიც ლაუვარდ ცის არე-მარეს
 მწყისის და აძოვებს მოელვარე „ვერძს“,
 ჩვენი კოლხეთის საკუთარ-მფარველს. *)
 სთხოვეთ ორივემ და შეევედრეთ,
 ის არ აგალებსთ სხივით მოსილ ხელს... (მიღიან)
 (ძიძას) ძიძავ, შენც წაჲყევ!.. (ძიძა მიღის).
 (თირთა დაფიქრდება) ჩემს გარდა სხვებსაც
 გაუგონიათ, მოუკრავთ ყური!..
 არც ჩანგურს ჰგავდა და არც სალამურს
 ის ხმა, უცნობი და უცნაური!..
 მე ეს მაკვირებს, ვინ უნდა იყოს
 ასე ხმა-ტკბილად ჩანგის დამკერელი,
 რომ გაიტაცა ცა და ქვეყანა
 და დაამშეიდა წყვდიადი ბნელი!..
 ლამეც რომ ასე გადაირია,
 ნეტავ ვიცოდე, რას მოასწავებს?! (დაფიქრდება)
 გავიდე ერთი ზეცას შევხედო
 და დავეკითხო ციმ-ციმ ვარსკვლავებს...
 გადავიკითხო ცის კაბალონზე,
 ხვალინდელი დღე თუ რას გვიპირებს?
 მზე გაგვიცინებს, თუ მოგვილუშებს?
 ნუგეშს გვცემს ლხენით, თუ აგვატირებს?
 (გაალებს კარებს და შეჩერდება. ხმაურობაა)



ჩუ! ხალხის ხმაა... ადრე ამდგარან... ეს დებული
 და ან, ეგება, არც სძინებია!.. ძოფის ხარი წილ
 ბუნიაობის გადაჭარბებულ მისა ის-თვისტი აძინ
 სასწორის რყევის შეშინებია!!.. ამავე დღე მასში
 და რომ დამშვიდებეს, გაიქროს შიში, კალა
 სალოცავისკენ მიეშურება. ამავე დღე მისთვის
 ოპ, ნეტიავი მას, ვინც თავ-მინდობით
 ყოვლის შემძლებელს ემსახურება!..
 აღარას შიშობს დამფრთხალი ბავშვი,
 დედის კალთაში თუ ჩადვა თავი!..
 ხალხიც ბავშვია და დედის კალთა
 — შისი საყდარი და სალოცავი.
 ხელი-ხელ ძმურად გადახვეული,
 ფერხულ ჩაბმული მიიმდერიან!..
 მხოლოდ გულია მათი მრჩეველი...
 რაც არ უნახავთ, ყურს უჯერიან.
 ორ-პირად მღერენ: (მოისმის სიმღერა სათვალავით).
 „თინა-თინაო!

მზის გულში რომ გაქვს წმინდა ბინაო, იმ უმ
 გამოილვიდე და გადმოგეხდე, ბნელმა უკუნმა შეგვაშინაო!“
 „თინა-თინაო! ნათელ-მფინავო!“
 მზემ ქვეყნის თვალად გაგაჩინაო!..
 გაპტანტე ბნელი, ზარის ამშვები!..
 შეგვხუთა .. ცრემლი მოგვალინაო!..
 მზისა და მთვარის წამონაშობო, შეუხებელო, თინა-თინაო,
 მაღლი შენ სახეს და დიდება მას, ვინც ჩვენ
 ჩვენ ნუგეშად გაგაჩინაო!“ (მიწყნარდება წმი).

ତଥାତକ.

ଠା, ସାମଲ୍ଲେରା ସାମ୍ବୁରନାଳଙ୍କ ରାମ,
 ଡାମିପୁରନବି ମାତି ସାତ୍ରକୁଗାର୍ଦ୍ଧ-ଚିପଲୁଲିବି!..
 ମାଘରାମ ମେ ସାତଳା ପ୍ରତ୍ୟେଷ ଫାମାଲି
 ଉର୍ବିମୁଖନ୍ତି ଫୋଇରିବି ଦା ଉନ୍ଦର ଘୁଲିବି?
 ସାତ ଦା ରା ପ୍ରୟାନ୍ତ ହିଜ୍ବନ୍ତ ଫାରିଶୁଲିବି?
 ଏବଂ ରା ପ୍ରୟାନ୍ତ ଏହି ମନମାନାଲି? (ଫାଣିଜରଙ୍ଗେବା)
 ଯେତେ, ଜୟର କନ୍ଧ ଏହିମୁଖପ୍ର ପ୍ରେର ଶେଷବିଗନିବା
 ଏହିମୁଖି ପ୍ରେରିବେ ଏହି ପ୍ରେର ଦା କ୍ଷାଲି.
 ତୁ ରାମ ମିଶନ୍ତଲିବି କ୍ଷେତ୍ରଜିଲି ଗାମିବିଲି
 ଏହି ଏହିବି ହିଜ୍ବନ୍ତଗାନ୍ତ ଶେଷାଦଲେବେଲି,
 ମାତ୍ର, ନେତ୍ରିବେ ମାତ୍ର, ପିଲାପ ଶାଶିନ୍ତଜାଲ
 ଏହି ଶେଷବେଳା ଜୟର ମିଶନ୍ତବିଲି କ୍ଷେତ୍ରି...

ପୃଷ୍ଠା ୧୭ ଅଧ୍ୟାତ୍ମିକ ପରିଚୟ

მოქმედია გორჩი

ს ც ე ნ ა

(კოლხეთის ჭალები. შორით კავკასიის მთები მოსჩინან. იალბუზისა და მყინვარს ღრუბელი გადაჰყრია და ლაპლაპობენ).

გამოსვლა I-ლი.

იაზონ. (ალტაცებით შეცყურებს არე-მარეს).

დღეს ჩემშა თანამოგზაურებმა
ფაზისის⁷⁾ პირად ძილს მისცეს თავი,
რომ მოიხადონ დალალულობა
და მერე ნახონ ეს სანახავი. (წელს აშვერს არე-მარეს.)
მე-კი ახლავე წამომიტყუა
უცხო ბუნების შვერიერებამ!...
ამაფრთოვანა, ზეამიტაცა...
სრულად გაშმუვალა მით ნეტარებამ!..
შვერიერია ჩვენი ელლადა,
მაგრამ ეს მცირე ბარბაროსთ მხარე
ისე სჯობია მას შედარებით,
როგორც ვარსკვლავებს—გავსილი მოვარე!..
შევჩერებივარ ატეხილ ჭალებს,

ბორცვს, ყვავილებით შეფერდებულს,
 გორებს, ქოჩორა ტყით დაბურვილებს,
 და მთებს, ზეპამდე თავ-ამაღლებულს!..
 საკვირველია!.. აქ ეს სიმდიდრე!..
 ბუნების ლხინი, მაყრულ-ქორწილი!..
 იქ-კი ღრუბელი, თოვლი და ყრნვა,
 არარაობა და მკადრული ძილი!..
 ამდენ სხვა და სხვა სანახობას
 ვეღარ უმართავს ხორციელი თვალს...
 სჩანს, ამ ქვეყნისთვის რომ მოუცილია
 შემოქმედების დიდ ძალთა-ძალის!!.. (დაფიქრდება)
 გუშინ რომ რაღაც დიდი ფრინველი
 გზაში მოგვდევდა, „არგო“⁸⁾ დაჩრდილა,
 აქ უნდა იყოს იმისი ბუდეც,
 უეპველია რომ აქ გაზდილა! (მაღლა იხედება)
 ეს კი ორბია!.. თვალს არ მაშორებს,
 ხან ძირს ჩამოდის, ხან მაღლა ადის,
 თავზე დაჯდომას ხომ არ მიპირებს?
 სამწფო გვირგვინს ხომ არ მიქადის?!⁹⁾
 (ორბი წამოვა მაღლიდან ტრიალით და იაზონის ფეხთან დაე-
 ცემა. მეერდში ორი ისარი ურჭვია ერთად. იაზონ გაკვირვებული
 დასჩერებია).
 ამას რას ვხედავ?! სწორეთ ღმერთებმა
 მაღლით დაისრეს, ურჩად რომ ჰყორენდა,
 თვარა აქედან ვინმე სულ-დგმული
 იქამდი ისარს ვით მიაწვდენდა?!

გამოსვლა II-რე.

(იაზონ. მედია და ძუძუდა გამოიჭრებიან ტყიდან, იაზონს
 რომ დაინახავს, მედია შეჩერდება. იაზონიც შეკროება და ორივე

ერთმანეთს შეჩერებიან გაქვაცებულებივით. ძუძუდა მივა, ორბე
 აიღებს, გამობრუნდება, ხელს მოავლებს მედიას, გაიტაცებს და
 შევლენ ტყეში).

იაზონ (გონიერ მოდის)

მაღალო ზევსო, ნუ თუ დიანა¹⁰⁾
 აქ ს ნადიროდ გადმოფრენილა?!
 ელლინად მიცნო და გაუკვირდა,
 უცხო მხარეში მეც რომ მიხილა?
 ის-კი აქაურს ჰგავდა მიწის შვილს,
 გამოსაზრდელად ღვთისგან აყვანილს...
 და მონაცირედ მისგანვე გაწვრთნილს!..
 ვის უნდა ვკითხო? ვისგან გავიგო,
 რაც ასე უცბად ჩამეჭრა გულში?
 წავალ, იქნება იქ ვნახო ვინმე,
 კვამლი რომ მოსხანს გამოქვაბულში.
 (მიდის მარცხნივ და შედის გამოქვაბულში).

გამოსვლა III-მე.

(მედია და ძუძუდა გამოდიან ტყიდან)

მედია. (აშტოთებით)

არა!.. ის იყო!.. ის იყო, სწორეთ!..
 ჩემი ჩვენება, ჩემი სიზმარი!..
 მინდა, რომ ერთხელ კიდევ შევხედო!..
 საით წასულა, ვნახოთ, სად არი?
 (ხელი-ხელ ჩაკიდებული გაირბენენ იქითკენ, სადაც იაზონი
 იდგა, და შევლენ ტყეში).

გამოსვლა IV-ხე

(აზომ გამოდის გამოქვაბულიდან და თან გამოჰყავს დაჭერილი მჯედელი).

თავის.

მითხარ ვინა ხარ?

მჯედელი.

ვინ ვარ და ქლიბი. ¹¹⁾

შავ მთას ხომ ხედავ? იმის გადაღმა
 დიდ ხეობაში ვცხოვრობთ დიდ თემად
 და განთქმულია ყველგან ჩვენი ხმა.

თავის.

რითი?

მჯედელი.

მჯედლობით!.. ჩვენ ერთი მთა გვაქვს,
 „პედისი“ არის მისი სახელი,
 რკინის გული აქვს, რკინის ძარღვები,
 გარს ახვევია მთელი სოფელი.
 ის არის ჩვენი ყველას მრჩენელი,
 ზერელები შეგვყავს, ვაკლით რკინის გულს,
 გამოგვაქვს და მით სხვა-და-სხვა ნაირს
 ვაკეთებთ ხოლმე ფოლად-რკინეულს.

დაზონ.

ეს რა მხარეა?

მშედელი.

კოლხეთის მხარე,

დიდ ინგრის მცირე ნაწილი;
სიმდიდრით ყოვლად მოულალავი,
შვენიერებით გარ-შემოსილი!..

დაზონ.

ვინ ჰყლობს?

მშედელი.

იათა მამასახლისი,

მისი სიმდიდრით ქვეყნად განთქმული,
ვისაც სიუხვით და ვაშკაცობით
მოგებული აქვს კოლხეთის გული!

დაზონ.

ესეც მითხარი: აქ ხომ ღმერთები
არ ჩამოდიან, რომ ინადირონ?

მშედელი (გაოცებით).

განა ცოტა აქვთ მაღლა ადგილი,
რომ დაბლა თავი არ დაიმცირონ?!

იაზონ.

იმიტომ გყითხავ, რომ მონადირე
 ქალ-ღმერთს მოვჰყარი მე დღეს აქ თვალი!..

მჭედელი (იცინის).

ის მედიაა, მამასახლისის
 მხეოუნახავი და პირმზე ქალი.
 აქ დადის ხოლმე, ამ ტყე-ჭალებში,
 ჰკრეფს და აგროვებს ყვავილ-ბალახებს,
 რომელიც წამლათ-კი გამოდგება... ¹²⁾
 და ომელიც არ, — ხელსაც არ ახებს!..

იაზონ (განცვილებით).

მედია?!.. ვისაც შვენიერებად
 მოელი ქვეყანა დღეს აღიარებს...
 რომელიც საქმროდ, თუ არ უძლეველს,
 სიახლოვესაც არვის იკარებს?

მჭედელი.

ჰო! ჰო! სწორეთ ის! და შენც გეტყობა,
 რომ საჭიდაოთ გამოწყობილხარ!..
 ახლა შენც სხვების ბედი მოგელის,
 თუ სხვა ვარსკვლავზე არა შობილხარ!.. (დატიქრდება).
 მაგრამ სხვა ბედის კი უნდა იყო... (ამოიხვენეშავს).
 ტყვეობის მიტომ აღარ მრცხვენია...
 თვარა სხვა ბევრი შენისთან ები
 უროთი დაბლა დამიწვენია...
 და შენ-კი იმ დროს შემომეპარე.

რომ არ შემეძლო ამოლება ხმის,
 მოსაგერებლათ ხელის ხმარება
 და მით გატეხა მჭედლების აღთქმის.
 დღეს არის სწორეთ ამირანის დღე
 და ვამაგრებდი იმის ჯაჭვ-პალოს.

ეზონ.

ვინ ამირანი?.. რის პალიო-ჯაჭვი?..
 ნუ გრეხ... ნუ ხლართავ სიტყვებს უბრალოს!..

მჭედელი.

გეტუობა, მეტად შორეული ხარ,
 რომ ამირანზე არა იცი რა.
 ვაშკაცი იყო ის უძლეველი,
 ღმერთებთან თავი არ დაიმცირა!..
 წინასწარ-მჭვრეტი და შორს მხედველი,
 ჯინჯვლებს სამართალს დაბლა უჭრიდა
 და მაღლა ღმერთებს, ყოვლის შემძლებლებს
 შეუპოვრობით თავს არ უხრიდა.
 გარისხდენ ურჩხე, შური იძიეს
 და ცხადათ მტრობა რომ ვერ გაბედეს,
 მხოლოდ ღალატით დაიმორჩილეს
 და მიაჭედეს ამირან მთა-კლდეს...
 მათი ბრძანების ასასრულებლათ
 ვერვინ შეახო ვაგლახათ ხელი,
 რომ მიეჭედა!.. სანამ არ გაჩნდა
 ერთი გრძნეული—კოჭლი მჭედელი...
 იმ დღიდან კლდეზე მიჯაჭვულია,
 ვეღარას შეელის მისი გონება...

მაგრამ ურჩი და შეუპოვარი
 ღმერთებს კი მაინც არ ემონება!
 მიჩენილი ჰყავს შავი ყორანი,
 ის არ ასვენებს... უფრთხოობს მწარე ძილს,
 ბრკყალებით უპობს გულ-მკერდს დატანჯულს...
 ნისკარტით წიწკნის ყოველ დღე გულ-ღვიძლს!
 მაგრად შებმული და მიჯაჭვული
 მოსაგერებლად ვერ ხმარობს ხელებს,
 მაგრამ თან ახლავს პატარა ფინა,
 ის ულოკავს წყლულს და მით უმთელებს...
 როდესაც ტკივილს ვეღარ აიტანს,
 გაშინ ინძრევა, რომ აიწყვიტოს
 და, კოჭლ მჭედელზე გარისხებულმა,
 რაც მჭედლები ვართ — სულ ამოგვწყვიტოს!..
 მაგრამ დღეის დღეს ჩვენ ყველა ერთად
 სამჯერ ზედი-ზედ, უზმოთ და უბრათ,
 კვერს ვურტყამთ გრდემლზე, რომ შერყეული
 პალო ჩაერკოს ისევე მაგრათ...

იაზონ.

საკვირველია! იხლა მითხარი
 მედიაზედაც რამე ამბავი!..

მჭედელი.

არა ვიცი რა ბევრი და ტყუილს
 მაინც ვერ ვიტყვი, ვინდ მომჭრა თავი!
 ეს ვიცი მხოლოდ, რომ მამიდა ჰყავს
 მაგას გამზრდელი დიდი გრძნეული:
 ცა და ქვეყანა ხელის გულზე აქვს

გამოცნობილი, გამოკვლეული!
სიკვდილ-სიცოცხლის მბრძანებელია...
ავი და კარგი არ გაეცდება...
რომ გაუსწორდეს მაგას სხვა ვინმე,
ტყვილად ნუ ჰფიქრობს და ნუ ეცდება.
ამბობენ: ვითომც, ერთხელ, ბოროტ-სულს
მტრობით ეცდინოს კეთილი სული...
და თირთაია ზატონი შეიღო
იყოს იმათი ღვიძლი ასული.
იმან იშვილა პირ-მზე — მეღია ..
მისი გაზდილი და გაწროვნილია;
გრძნეულობითაც სახელ-განაქვეული,
თუმც ხნოვანებით ჯერ ყმაწვილია.
თან შეზღილი ჰყავს მას ძიძის შვილი
დაზე უტებესი, უსაყვარლესი!..
ერთად ექებენ ორივე წამლებს,
ჯამ-ჭურჭლებშიაც ერთად ჩამლესი.
ამაზე მეტი თუ გსურს შეიტყო,
აგერ ხომ ხედავ ხეს ქვეშ დედაბერს?
ის მოიკდე შენ დედობილათ,
მაშინ გაიგებ მისგან ყოლიფერს.
მიღი, უკბინე მძინარს ძუძუზე
და მიაძახე: „კმარა ძილი-თქო...
ნუ გასტეხ ქვეყნის ძველ ჩვეულებას,
შენ დედა იყავ და მე შვილი-თქო!“

თაზონ.

ვინ დედაბერი?! ვინ იაზონი...
და უსუსურად ძუძუზე კანა?!

მაგრამ სურვილი ძლიერი არის,
 ვით ჰერკულესის მძიმე მარჯვენა!
 (მჭედელს ხელს უშვებს. მიღის ძიძასთან და ძუძუზე ჰქონის

მაძა (წამოვარდება დამტრთხალი).

ვინა ხარ? და ან რა სულიერი?

იაზონ.

უცხო ქვეყნიდან გადმოხვეშილი!..

მაძა.

რა გინდა ჩემგან?

იაზონ.

ის მინდა მხოლოდ:

შენ დედა იყო და მე კი შვილი...
 ნუ მეტყვი უარს, დედა-შვილობას!..

მაძა.

რისთვის გარჯოლხარ, რა გაქვს სურვილი?

იაზონ.

რომ ვიჭიდაო და მოვიპოვო
 ან მედეია და ან სიკვდილი!..

მისა.

ტყვილა გამცდარხარ... ვერას გახდები!..
 მომსვლელი სხვებიც ბევრი მინახავს,
 მაგრამ წამსვლელი-კი აღარავინ...
 აქვე სტოვებენ ჩვენ სარებზე თავს...
 ამ მაღალ სერზე რომ გადიხედო,
 ძირს გამოჩნდება ქალაქი „ია“,
 სადაც თანასწორ ზაფხულ და ზამთარ
 გადაშლილია ვარდი და ია.
 იქ დაინახავ ერთ დაღ სასახლეს,
 ოქროს გალავნით გარს შემობურულს,
 და მის უთვალავ მესერ-სარებზე
 კაცის ხმელ თავებს მაგრათ ჩამოცმულს.
 ისინი ყველა მედის სურვილს
 გადაჰყოლიან... უსინჯავთ ბედი!..
 შენც, შეილო, მათი დღე დაგადგება,
 შენც მოგატყუებს გიურ იმედი.

ააზონ.

არ მეშინია, ნუ შესწუხდე'ი!..
 შენ მხოლოდ მარტო ის კი მასწავლე,
 თუ როგორი გაქვთ წესი და რიგი,
 რომ მოკიქული მიუგზავნო მალე.

მიმა.

მაგისი, შვილო, არა ვიცი რა...
 ვერც დაგპირდები, იცოდე, შველას,
 იასირ ნახე, ბატონის შვილი

და ის გიაშბობს, რაც გინდა — ყველას.
 აქვე იქნება მახლობლიად საღმე,
 უყვარს ჭალებში ბურთის გაგდება...
 ჯერ თუ არ არის კიდევ მოსული,
 უეჭველია, მალე გაჩნდება.
 მიღი, როგორმე დაუძმობილდი:
 თავს შემოევლე, აკოცე მხარზე
 და ის გაგიწევს შენ მეგობრობას,
 თვითონ მიგიყვანს სასახლის კარზე. (ტყიდან ხმა მოისმის)

ერთი მხრიდან ხმა.

უუუ! სად ხარ ძიძავ?

მეორე მხრით ხმა.

უუუ! სად ხარ, დედავ?

მიმა.

ჩუ! მეძახიან. (მაღლა აიხედავს) ამოსულა მზე...
 (გაზონს) შენ, შეილო, ბევრს კი ნუ აგვიანებ,
 ახლავე წადი საბურთალოზე! (შედის ტყეში).

დაზონ (მარტო).

რაები მესმის!! საკვირველებით
 საესე ყოფილა აქაურობა!...
 გმადლობ, პელეოს, ¹³) რომ შენ მირჩიე
 ხანგრძლივი... შორი მოგზაურობა...
 (დიდხანს დაფიქრებულია. მერე თავისთვის).
 თვარა ეს არის ის მედება,

ოთხივე კუთხით ქვეყნად განთქმული,
 ვის გულისთვისაც ამდენმა გმირმა
 აქ უპატრონოდ დალია სული,
 ისე რომ მკვდართა საოხებელი
 აღარ რგებიათ რიგი და წესი:
 არც ცრემლით მოთქმა!.. არც სისხლი მსხვერპლად,
 ღმერთებისათვის ტკბილზედ უტკბესი?!!..
 გვამი დაეხრწნათ, როგორც პირუტყვებს,
 უპატიურად და დაუწველად!..
 თავი ბურთივით გასაგორებლად...
 მაღალ სარების წვერის სარქველად!..
 მათი სულები უკუნ-ბნელეთში
 მსხვერპლს მოელიან, შფოთვენ, წვალობენ
 და, ნათლის შუქის ვერ შემბედველი,
 ღამ-ღამით ქვეყნად დატანტალობენ...
 ხან ერთს აფრთხობენ და ხან მეორეს,
 ვისაც-კი შიში შეუვა გულში,
 და მამლის ყივილს რომ ყურს მოჰკრავენ.
 მიისწრაფიან ისევ უფსკრულში...
 ვაი, თუ მათი დამადგეს მეც დღე,
 ვერ მოისვენოს ჩემმაც აჩრდილმა!..
 ნუ თუ მიმტყუვნა და მატროვა
 ბედმა, მიკბინა მწარე სიკვდილმა? (დაფიქრდება)
 არა!.. არ შვენის გმირს აჩქარება...
 ვერ გავიმეტებ ვერც ხორცს და ვერც სულს!..
 მივყვები რჩევას იმ დედაბრისას
 და გამოვნახავ საღმე უფლის წულს,
 რომ ჩვეულების მიხედულობით
 დავუძმობილდე, დავემეგობრო
 და შესასწავლად ამ უცხო მხარის

გამოვიყენო უფრო მეტი დრო!..
შევიწყო ხალხის რიგი და წესი,
ავწონო მათი ზნე-ჩვეულება,
ღმერთებს მივმართო და ჩემ სურვილებს
შეცუკავშირო მათი უფლება...

Ergonomics

მოძღვანება მესამე

ს ც ე ნ ა

(შუაგულ ტყეში წალკოტი. ერთ მხარეს აღმოსავლეთისაკენ გექადას საყუდარი და კაბდელების სადგურები. შუაში დიდი მუხა „პყონ-დიდალ“ წოდებული. წინ თლილი ქვის სამსხვერპლოა, სადაც ასევ-ნია «შარავანდელი», ოქროს გულად გამოქანდაკებული: ერთ გვერდ-ზე დიდი თვალი აზის და მეორეზე ყური. ირგვლივ ოქროს სხი ვები აყრია. აქვე მახლობლად სვეტზე კაცია მიკრული, წითელ სუდარში გამოხვეული.)

გამოსვლა I-ლი.

(შემოდის იაზონ დაფიქრებული, ათვალიერებს).

იაზონ.

საიდან და სად ჩამოვარდნილვარ?!
 აღარც ძილი მაქვს... არც მოსვენება,
 აქ, ვხედავ, ყველა ცხადი ყოფილა,
 რაც იქ მეგონა სიზმარ-ჩვენება!..
 ღმერთების წალკოტს მიმსგავსებია
 საკვირველებით სავსე ქვეყანა
 და გრძნეულ ხალხის ყოფა-ცხოვრება
 ხვანჯ-ნასკვი არის და გამოცანა...
 თვით მედება, მთელი ხმელეთის
 საოცნებო რამ, ტკბილი ზღაპარი,
 ეკით გადამეტი საკვირველების

სანათელ-სხივი არის ლამპარი
 თვალის მომქრელი, ხელშეუხები,
 მახე, გმირების მიმტყუებული,
 სარკე სიცოკხლის და ნეტარების,
 მაგრამ სიკვდილის მაჩვენებელი!!!...
 მისკენ მივყავარ მეც ბედს... და ვხედავ,
 რომ ფეხს წაამტვრევს ჩემი გმირობა,
 თუ ხერხს მეც ხერხი არ შეფუთარდე
 და არ დავცარე მათი პირობა...
 (დაფიქრდება) რათ დავარღვიე გმირობის წესი:
 ვეშვილობილე ვიღაც დედაბერს
 და სუსტი ბავშვი ძმად მოვიკიდე,
 თუ ვერ შევიტყობ მათგან ყოლითერს?!
 მართალი არის, ბევრი რამ მითხრა,
 მაგრამ ეს ყველა მაინც არ კმარა!..
 ვნიხოთ, რას გვეტყვის დღეს სხვასაც კიდევ!
 აქ დამინიშნა... აქ დამიბარა...
 აი, ფეხის ხმა!.. მგონია, მოდის...
 არა, სულ სხვაა!.. დავიმალები! (ეფარება ხეს).

გამოსმელა II-რე.

(მთავარ-კაბდელი გამოდის. უკან აჩრდილივით ვიღაც მოსდევს
 შორი ახლოს. ცას შეჰყურებს.)

კაბდელი. ¹⁴⁾

ამდენი ჭვრეტით, მაღლა ყურებით,
 გამომიშტრეტდა მხოლოდ თვალები
 და მაინც ბევრი ვერ გავიგე რა,
 სულ არეულან დღეს ცის ბურჯები:

„სასწორი“ მეტად დაბლა დახრილა,
 „ვერძა“ დაბნევია სავალი გზები...
 „ლომი“ შემკრთალა, „კირჩხიბი“ არ სჩანს
 და „მოსისხლესაც“ მისი ისარი
 პირ-და-პირ დაბლა დაუშვერია,
 რომ დედა-მიწას თავს დასცეს ზარი!..
 ეს ყველა კარგს რომ არ მოასწავებს,
 ძნელი არ არის ამის შეტყობი,
 მაგრამ ვინ არის ხელის შემშლელი?
 რაც იყოს, იყოს!.. რა გაეწყობა!
 ჩვენ მაინც კიდევ სოფლიურ ძრახვებს
 უარს ვერა ვყოფთ!.. ვერ ავალებთ ხელს!..
 როგორც გვიზორავს, ისევე ვზორავთ
 და ვინუგეშებთ მით წუთისოფელს. (აიხდავს მაღლა).
 გათენებამდი არა დარჩა რა!
 (მეორეს) კაცუნო!.. დროა... უნდა შეხვიდე!..
 უგნური ქვეყნის ავი და კარგი
 ასენი ყველა და გადასწყვიტე! (იცინის).
 ხომ გახსოვს მტკიცედ, რაც დაგარიგე? (მერე თავს
 უქნეს).

ნურაფერს იტყვი გარგვევ-გადაჭრით!..
 როცა პირ-და-პირ გკიოხავენ რასმე,
 შენ გადუხვივ მაშინ სულ სხვა მხრით,
 რომ ბოდვას ჰგავდეს შენი პასუხი
 და შიგ არ იყოს არც „ჰო, არც „არა“...
 მერე მე ვიცი იმათი ახსნა...
 ხომ გეშმის?.. აბა, შეძვერი ჩქარა!..
 (გამოალებს სამსხვერპლოს უფანა საიდუმლო კარს და შეაძ
 ვრენს). ეს ვინდა კვნესის? ჰო... ტყვე სამსხვერპლო!

ტექსტი.

მიშველეთ!.. წყალი!. გამიშრა პირი!..
 (კაბდელი ყურადღებას არ აქცევს, წასელას აპირებს. იაზონ
 ღარერს).

იაზონ.

შეჩერდი!

ქაბდელი.

ვინ ხარ? (შეშინდება).

იაზონ.

არ წადგა ბიჯი!..

ხმაც ჩაუწყვიტე, ტყვილა ნუ ყვირი!..

ქაბდელი.

ვინ ხარ?

იაზონ.

არ წყვიტე, მიმ ლილი მიმები მისუარე

არ წყვიტე, მიმ ლილი მიმები მისუარე

არ წყვიტე, მიმ ლილი მიმები მისუარე

ქაბდელი.

უცხოს რა გინდა

ასე უდროვოდ ამ წმინდა ადგილს?

იაზონ.

ის მინდა, რომ აწ ბოლო მოვულო
 ოქვენ ცბიერებას... საქვეყნო ტყვილს!..

ქაბდელი.

როგორ თუ ტყუილს?!

ააზონ.

ეგ ვინ დამალე?

ქაბდელი.

ღმერთების სიტყვას ვინც იმეორებს!..
ქადაგ-შეკითხავი.

ააზონ.

თქვენი რჩევით რომ
 ხალხს მოატყუებს და მოალორებს?..
 ყველგან ერთი ხართ, წვერებ-წყეულო!..
 სუყოველ მხარეს და ყოველ ერში:
 ცბიერი, ქვეყნის თვალის ამხვევი,
 მოხერხებული ყოველიფერში!..
 მაგრამ ახლა-კი გიმტყუნათ ბედმა...
 ჩაგიგდე ხელში!.. ველარ ვის ავნებ!..
 მაგ თქვენს... და ვითომ უმიღლესს ძალას
 დღესვე საქვეყნოდ გამოვამედავნებ!...

ქაბდელი.

შენ რას დაეძებ ჩვენს ყოფა-ქცევას,
 გადაღმელო და გადამთიელო?!
 ის არ სჯობს შენთვის, რომ შენს ქვეყანას
 გამოესარჩილო და მიეშველო?

თაზონ.

აქაც მე ჩემი ანგარიში მაქვს...
 სხვა რამეს ვეძებ და გამოველი!
 შენც სსსუ! და მეც სსსუ! სჯობს, რომ ერთმანეთს
 საშველათ მივსცეთ ორივემ ხელი.
 მე ვარ მემკვიდრე თესალიისა,
 იაზონია ჩემი სახელი;
 მედიასათვის გადმოვხვეწილვარ
 და დახმარებას შენგან მოველი.

გაბდელი (სიტყვას აწყვეტინებს).

ის გინდა, რომ მაგ შენ ქვენა სურვილს
 ზეცით ღმერთებმაც დართონ თანხმობა?
 (დაფიქრდება) ვმ... ძნელი არის!.. როგორ იქნება
 ერთად სულის და ხორცის დაგმობა?!

თაზონ.

ეგ შენვე იცი!.. ნაცვლად მოგელის
 საუნჯე, შენი თავისვე წონა!..

გაბდელი (დიდხანს ფიქრობს).

რა გაეწყობა!.. ბრძანე, რაცა გსურს!
 შენ უფალი ხარ, მე შენი მონა!..

თაზონ.

წადი „არგოზე“, აქ დაპირებულს
 სრულად მიიღებ... მეც მოვალ მალე

ეს ტყვეც აუშვი, თან წაიყვანე,
 გაპარვა ლმერთებს გადააბრალე!..

ტეგე (აუშვებენ. იაზონს).

ჩემო დამხსნელო!..

იაზონ.

დროს ნუღა ჰყარგავ!

- ამას წაჲყვი, თან იახელი,
 (წასჩურჩულებს) გზიდან რომ არსად გადაუხვიოს,
 მარჯვედ კალთაში ჩაჲკიდე ხელი! (კაბდელს)
 შენც სსსუ და მეც სსსუ, ხომ კარგად გახსოვს?
 სიტყვის გატეხა ახლა ძნელია!..

ძაბდელი.

შეტი რა გზაა?.. სწორეთ ლმერთებს სურს!..
 წავიდე ჩეარა, სანამ ბნელია! (მიღიან. იმალება).

იაზონ (მარტო).

ჩემთა ძმობილმაც დაიგვიანა...
 ჩუ! კიდევ რაღაც ხმაურობა!

არ მინდა მნახონ... (შეჩერდება. ფიქრობს) ვითომ მე
 ვარ ტყვე...

(გამოეხვევა წითელ სუდარაში და მიეყუდება სვეტს)
 რომ ვინმედ მნახოს, რა ხუმრობაა?!

ჩამოსელა III-მე

(შემოდიან მედია და ძუძუდა).

მუმუდა.

აღრე მოვედიო... არავინა სჩანს,
საყუდრის კარი დაკეტილია...
კადელებს სძინავთ...

მედია.

კიდეც ინათლა
მტრედის ფრად ცამ და რა დროს ძილია?

მუმუდა.

არა გვიშავს რა... სჯობს შევისვენოთ...
ცოტა არ იყოს, დაღალული ვართ!..
გულ-ამომჯდარის და დაქანცულის
ლოცვა-ვედრება არც ღმერთებს უყვართ.
(დაჯდებიან ქვის საჯდომზე)
ნეტავ რას ბძანებს დღეს ბატონის და,
ჩვენ ნამუშავარს რომ ვეღარ ნახავს?

მედია.

იჭ, ვილასა აქვს იმისი გული!..
ახლა მაგისთვის არ მოვიკლავ თავს...

მუმუდა.

კიდეც ეგ არის, რომ ჩვენ თვალ-ყური

სხვა მხრით გვიჭირავს... სულ სხვას დავეძებთ
 და სადღა ვნახავთ ამირანის ცრემლს
 და ან ყვავილებს როგორლა მოვკრებთ?

მედია.

რა ვქნა, დობილო, დღეს წყაროშიც-კი
 არ დამინახავს ეს ჩემი სახე!..
 სამაგიეროდ ის მეჩვენება!..
 ის წარმომიდგა... ის დავინახე!..
 ყოველთვის... ყველგან თვალ-წინ მიღია...
 ლოცვის დროს ღმერთსაც წინ დაეფარა...
 ვერ გამიგია, რა მემართება,
 ეს უცნაური რა შემეყარა!..

მუმუდა.

სიყვარულია, სხვა არაფერი!..
 იმან გაგმვალა და დაგიმონა.

მედია.

ნუ თუ ეს არის?!.. წარმოიდგინე,
 რომ სიყვარული სულ სხვა მეგონა!..
 მაშ, იასირი შენც ისე გიყვარს?

მუმუდა.

არა!.. სულ სხვაა ის სიყვარული:
 ჩვენ ერთმანეთი გვიყვარს და-ძმურად
 და შენ სხვა გრძნობით ხარ გამჭვალული...

მედია.

მერე რა გიყვირს?.. ცოტა მინახავს
 უცხო ქვეყნელი, ჩემთვის მოსული,
 რომ მე სუყველას ვეპრძალებოდი,
 არ მიმღილდა არც ერთზე გული...
 ეს, ვიცი, მხოლოდ მოჩვენებაა
 და მაინც ასე დამრია ხელი!..
 ლამის გადავყვე თან ფუჭ-ოცნებას...
 იმას დავვეძებ... იმას მოველი!...

მუმუდა.

მართალი არის, რომ იმ დღეს ვნახეთ
 ისე უძრავად გაქვავებული,
 მაგრამ მე მაინც კაცად შეჩვენა
 და ახლაცა ვარ დარწმუნებული.
 არ შეიძლება, ამ მოკლე ხანში
 რომ არ გამოჩდეს ხელ-ახლა საღმე!..
 და თუ ჩვენება იყო,—გულიდან
 შენც გადაიგდე... როგორმე დასთმე.
 (გაიხედავს ტყისაკენ) ხედავ იასირს? ამ დილა ადრე
 რამ გაალვიძა, ვინ ააყენა?

გამოსვლა IV-ხე

(ისინივე და იასირ.)

იასირ.

ა, გამარჯობა!.. აქ რა გინდოდათ?
 თქვენა ხართ მართლა, თუ მომეჩვენა?



ঢাক্কাৰ.

ରୋ ଗୁଣିକ୍ଷାପିନ୍ଦା?.. ଲାଲପ୍ରେ ଗ୍ରେନଡାରୀ,
ମାଗରାମ ଝେର ପାତ୍ର ଏହାରେ ଲାଗୁନ୍ତିରିବା...

ঢাকা পত্রিকা

Ցեղ գլուխ հոգորդակ թօնարշընատ եար,
Ամսութիզ დա დաხტո, հոգորդակ հոմ Տյունինիա!..

କବିତାରୁ.

მედია, იცი რა უნდა გითხრა?

მელის და მუმულის.

၁၃၁

ପାତ୍ରବିନ୍ଦୁ

კარგი რამ, რომ გაგაოცო! (ყურს უვდებენ)
ერთი ვიღაცა... მაგრამ არ ვიტუვი,
სამახარობლოთ უნდა მაკოცო!..

đã có.

Հա լրաց ցց արօս!

ପାତ୍ର.

କାନ୍ତିର ମାଜୁପ୍ରେସ୍ ଲା
ଲେଲା ମରମିକୁଳଙ୍କୁ, ତାହା ରାମେ ଗିତକରା!..

მედია (ჰკოცნის).

ჰა, გიუღ, გიუღ! არც ახლა იტყვი?
რა შეგიტყვია, გვიამბე ჩქარა!..

იასირ.

მოსულა ვიღაც უცხო ქვეყნელი...
მაგრამ რას ვამბობ? კინალამ წამუდა...
შენ რომ მოგიყვე, მარტო ხომ არ ხარ?
და გაიგონებს ყველას ძუძუდა!..

მედია.

განა მაგასთან კი არ ითქმება?

იასირ.

არა, სანამდის არ მაკოცნინებს!..
შერგება კიდეც... რომ გაიგონებს,
გაუკვირდება და ბევრს იცინებს.

ძუძუდა.

მე საყიდელი არაფერი მაქვს!

იასირ.

არ გაქვს და კარგი!.. რა მენაღვლება?..
მე ჩემთვის, აპა, და თქეენ თქვენთვისვე!..
(ძუძუდას) ვნახოთ, ვინ გეტყვის?!.. (ვითომ მიდის)

მედა (ძუძუდას).

რა გენალვლება,
 ერთი გაკოცოს, ჩემო დაია?

მუმუდა.

ეჰ, შენთვის, თვარა არ ვაკოცნინებ,
 გინდ დამაყაროს ვარდი და ია... (იასირ მივარდება და
 ჰქოცნის).

მუმუდა (ვითომ უნდა მოიშოროს.)

გეწოფა! კმარა!.. ჩვენი პირობა
 ამდენი, გიუო, რომ არ ყოფილა?

იასირ (იცინის).

რა გაეწყობა!.. სულმა წამძლია,
 როცა ეს ერთი მეტად მეტკბილა...
 ჰეეე, ახლა გეტყვით: ერთი მთავარი
 კარის კაცებით ჩვენში მოსულა,
 იმისი მსგავსი შვებიერება
 არც გაგონილა და არც ნახულა!..
 მე გავიცანი,—გადამეხვია,
 თავს შემომევლო, დამეძმობილა...
 როგორც შევიტყვე მაგის ამბავი,
 თურმე, ვინ არის და ვინ ყოფილა?
 მთელ საბერძნეთში არ დარჩენილა
 მაგისი ტოლი და შესაფერი!..
 და მაგის ხათრით სულსაც ვერ ბერვენ
 ვერცა მოყვარე და ველარც მტერი!..

ნავით მოსულა, ფასის წყალში დგას,
 იქ წამიკვანძ და რომ შევედით,
 ზეზე წამოდგენ მისი მხლებლები...
 მე-კი მაშინვე მომისვა გვერდით;
 მერე უბრძანა ყველას დაჯდომა,
 უამბო ჩვენი დამობილება.
 თავი დამიკრეს და მომილოცეს,
 შევატყვე ყველას კმაყოფილება...
 ყველა მათგანი თავ-თავის თავად
 ყოფილან, თურმე, შესანიშნავი:
 ნავში სცხოვრებენ სუყველა ერთად
 და არც მინახავს მისთანა ნავი!..
 ერთი მათგანი მოსაკრავეა,
 ისე ხმა-ტკბილათ აელერებს ჩანგურს,
 რომ მოხიბლული ცა და ქვეყანა
 სულ-განაბული უგდებს ხოლმე ყურს!..

 მედია.

 ჩვენც რომ გვესმოდა, ის იქნებოდა!..

მუშადა.

რაღა თქმა უნდა!

იასირ.

ნუ მართმევთ სიტყვას,
 მეც გავიგონე მისი სიმღერა...
 კლდეს გააპობდა... გახეთქავდა ქვას!..
 რომ გამიკვირდა, სიცილით მითხრეს:
 ჯერ რა გინახავს, ეს რა არიო?

საკვირველებით გატენილია
 ჩვენი სამშობლოს მთა და ბარიო...
 მაშ, ღმერთმა ნუ ჰქნას, რომ არ წავიდე
 და ჩემი თვალით არ ვნახო ყველა!...
 როცა მედიას წაიყვანებენ,
 მეც თან წავყვები... თუ რომ მეშველა!...

მუმუდა.

მედიასო?!

მედია.

მე?

იასირ.

ჰო! არ იცოდი,
 რომ შენთვის არის აქ წამოსული?
 ჭიდაობა სურს და მზათაც არის,
 რომ მოგვიგზავნოს ხვალ მოციქული!...

მედია (შეშინებული).

არა, არ მინდა, რომ იქიდაოს!..
 ალარ ვთხოვდები... არ მინდა ქმარი!..
 ქმარა, რაც გაწყდა ჩემი გულისთვის...
 ეგ მოიწვიონ, როგორც სტუმარი!..

იასირ.

რომ ნახო, მაგას ალარ იტყოდი...
 გათხოვებაზე არ აიღებ ხელს!..

მარტო ერთ კოცნას მისას გემრიელს
 მთლად შესწირავდი ორივე სოფელს!..
 რომ იჭიდაოს, რა გენალვლება?
 გამარჯვება ხომ იმას დარჩება?

მუმუდა.

ვინ მოგახსენა? ჩვენს მოჭიდავეს
 ვინ გაუძლებს და ვინ გადურჩება?

იასირ.

ჩემი ძმობილი სულ სხვა კაცია!..
 ის სხვებისთანა კი ნუ გგონია!..
 ბევრი უნახავს ჭირიც და ლხინიც,
 უძლეველობით თავ-მომწონია.

მედა.

აქ რომ დამარცხდეს?..

იასირ.

არ შეიძლება!
 როგორც ძმობილის, მინდოდა შველა
 და საიდიმლო ამ ჩვენი მხარის
 შევატყობინე მე იმას ყველა:
 იცის, რომ მისი მოპირდაპირე
 ქალია, მხოლოდ კაცად აცვია,
 და თუ ძუძუში მოავლეს ხელი,—
 ძირს დაეცემა, როგორც რომ ტყვია.

ମେଣ୍ଡରା (ଶ୍ରେଷ୍ଠନେବୁଲୀ)·

ଏହି ରା ଗିର୍ଜିନା!? କୋଠ ଦାଗିଲୁହଙ୍କାଳି!..

ମୁଖ୍ୟଦା (ଶ୍ରେଷ୍ଠନେବୁଲୀ)·

ଦା ଶ୍ରେଣ ମାସତାନ୍ତର କାର୍ଗି ଏହି ଗ୍ରେନାଇସ!..

ବାସିନି.

ହିର୍ଯ୍ୟ ଏହିବିନ୍ଦିରେ ପାରିବାରିକିରିବାରି!.. ନୂରପ ତଥ୍ୟର ଗାଗବାମନ୍ତରିତ
ଦା ମାତ୍ରିନ ପ୍ରେରଣାର ଲମ୍ବରତି ଗ୍ରେନାଇସିରିବା
ବିଶ୍ଵାସ ଦା କାର୍ଗି କାର୍ଗି କାର୍ଗି କାର୍ଗି... ପ୍ରାଣାଦ ଶ୍ରେଷ୍ଠନେବୁଲୀ,
ଫାଗୁଣପାନୀ ଦା ଶ୍ରେଷ୍ଠ ତାନ ଫାମନ୍ଦପାନୀ!..
ମୁଖ୍ୟଦା, ଶ୍ରେଣ କୋଠ ହିର୍ଯ୍ୟନାନ ଏହିବିନ୍ଦିରେ
ମେଣ୍ଡରାର ଏହିବିନ୍ଦିରେ ଏହିବିନ୍ଦିରେ?

ମୁଖ୍ୟଦା (ଲମ୍ବରିଲିଟ).

ମେ ଏହି ରା ମନ୍ଦିରା? ରାତ ଫାମନ୍ଦପାନୀ?
ବିନ ମନ୍ଦିରାର ଦା ଏହି ବିନ ମନ୍ଦିରାର ଏହିବିନ୍ଦିରେ?

ବାସିନି (ଶ୍ରେଷ୍ଠନେବୁଲୀ)·

ରାମା! ରାମ ଏମନ୍ଦିରାର ଗ୍ରେନାଇସ, ମେଣ୍ଡରା?..
(ମୁଖ୍ୟଦା) ଏହି ଶ୍ରେଷ୍ଠନେବୁଲୀ ରାମନେବୁଲୀ ଏହିବିନ୍ଦିରେ?
(ମୁଖ୍ୟଦା) ଏହି ଶ୍ରେଷ୍ଠନେବୁଲୀ ରାମନେବୁଲୀ ଏହିବିନ୍ଦିରେ?

ମୁଖ୍ୟଦା.

କାର୍ଗି, କାର୍ଗି!.. ଶ୍ରେଷ୍ଠ ତାନ ଫାମନ୍ଦପାନୀ,
ରାମନେବୁଲୀ ଏହିବିନ୍ଦିରେ... କାଲିତ ଏହିବିନ୍ଦିରେ!

დასირ.

მართლა?.. ერთმანეთს არ დაეშორდებით?..

რა მიხარია!.. ერთად ვიქნებით!..

(მოავლებს ხელს ჯერ ერთს და მერე მეორეს, ჰკოცნის ხტუნვით).

ახლა კი წილით! უნდა მოვიდეს...

მეღაბ.

ვინ?

დასირ.

ის, აქა მყავს დაპირებული.

მეღაბ.

ვინ ის?

არ იტყვი?

დასირ.

ვინ და იაზონ,

ძმად და მეგობრად შეფიცებული!..

მიკვირს, აქამდიც რომ არ მოსულა!..

თუ გადუხვია და გზა დაემნა?!.

შეტი გზა არ მაქვს... უნდა წივიდე,

უდაბურ ტყეში დავუწყო ძებნა. (მიღის).

გამოსვლა V-თე.

მედია და მუმუდა (გაოცებულები დგანან).

მუმუდა.

რას გაძოშტერდი? ხომ გაიგონე?
 მისი სიცხადე არც ახლა გჯერა?

მედია.

მესმის!.. და გონსაც ვეღარ მოვსულვარ...
 გულმა არევით დამიწყო ძგერა!
 სული მეგუბვის... არ ვიცი, რა ვქნა?!..

მუმუდა.

„შარავანდედთან“ მიდი, ილოცე,
 უყვართ ძლიერებს მორჩილ-მონება!..

მედია.

(მიდის და მუხლებს მოიყრის „შარავანდედის“ წინ).

გულთა მხილავო, მიშუამდგომლე
 ღმერთებთან, ვნება გულის რომ ვსძლიო!..
 (უპბათ წამოვარდება) ძუძუდა, გესმის ხმა განგებისა:
 გადაარჩინე სიკვდილს მსხევრპლომ!..

მუმუდა.

ალბათ, ღმერთებს სურთ, რომ საბრალო ტყვე
 ახსნა, გაუშვა, თავს შემოივლო!..

მედია.

ავხსნა... გავუშვა... როგორ გავბედო
წინააღმდეგი ქვეყნის და რჯულის!..

მუმუდა.

მიღი, გაბედე... მონა არა ვართ
ღმერთების ნების და სასწაულის?
(მედია მიღის უნდა ახსნას. იაზონ გადაიშლის სუდარს და
ვამოვა, მედია შეკრთება).

მედია.

უცხო სტუმარი!!... (უკან-უკან იწევს).

ააყონ.

(ტელებ გაშლილი ბიჯს წალგამს წინ). მედია!?

მუმუდა.

აი, ოცნება და საიდუმლო!..

ფარდა ეშვება ნეღ-ნეღა.

მოძალება მიოთხვა

ს ც ხ ე ბ

(ბუქა სცემენ და საყვირის ხმა ისმის, ხალხი გროვდება, საჭიდაოსე, სასახლის წინ. ოქროს ტახტზე ჯდიან მამასახლისი იათა და ღია-სახლისი გექადა. მესამე აღვილი ცარიელია, იქვე მახლობლად მეორე მხრით თირთა და მედია, ორივე სქესის კარის კაცები; ღირსეულები ჯდიან და სხვები ფეხზე დგანან).

გამოსვლა I-ლი.

(მესაკრავები შემოუძლვებიან იაზონის მოციქულებს.)

ერთი მათგანი (წინ-წალგება და თაყვანსა სცემს მამასახლისს).

მემკვიდრე ვინმე თესალიისა,
ძე აზონისა, იაზონ გმირი,
ვისაც სახელის მოსახვეჭელად
შემოუვლია ხმელეთის პირი
დღეს აქ მოსული შოკითხვას გიძლვნისთ,
უცხო კოლხიდის დიდო მთავარო,
და ისე სწყურის თქვენი დიდების
ხილვა, ვით მწყურვალს ირემსა წყარო!..

იათა.

კურთხეულ იყოს მისი სტუმრობა!..
მოგეგებებით ჩვენც სიხარულით,

როგორც შეგვშევენის და მას შეფერის:
 „კაბდულ“ გალოპით, ზევსურ-მაყრულით...
 შევახმატკბილებთ სხვა-და-სხვა საკრავს:
 წინწილ-სალამურს და საყირ-ბობლანს,
 რომ ჩვენ სასახლის ლიტანიობას ·
 გულიც ქვეყნისა აძლევდეს ტკბილ ბანს!..
 მაგრამ ჯერ უნდა შეგვატყობინოთ
 წინდაწინ მისი სურვილ-განძრახვა,
 რომ ერთმანეთის არ გვეუცხოვოს
 პირველი შეყრა, ნახვა-მოკითხვა!..

მოციქული.

როგორც მზის შუქი ცა და ქვეყნას
 მიეფინება და ანათებს ბნელს,
 ისე მოუცავს მთელი სამყარო
 თქვენი ასულის ბრწყინვალე სახელს!..
 თვით აფროდიტა, ღმერთი შვენების,
 შურით აღძრული, ღვრის მწარე ცრემლებს
 და ბეჭს უცარავს, უკარგავს ძლევას
 გმირებს, მედიის (თაყვანის მცემლებს!..
 მაგრამ მაინც კი უკვდავის რისხვას
 გმირები აღარ ერიდებიან,
 მოისწრაფიან ყოველი კუთხით
 ბედის საცდელათ და აქ კვდებიან!..
 ერთი მათგანი არის იაზონ,
 ბედის საცდელათ კარზე მომდგარი
 და ითხოვს თქვენგან, ჩვეულებრივათ
 სტუმართ-მოყვრობის გაუდოთ კარი! (თაყვანს სცემს)

იათა.

კეთილი!.. მაგრამ შეტყობილი აქვს
 საყოველთაო მკაცრი პირობა?

მოციქული.

შეტყობილი აქვს და არად აგდებს
 ჯერ უძლეველი მისი გმირობა!..

იათა.

შემოიყვანეთ!.. შევიდეს წრეში
 ორივე მხრიდან გამზავებელი
 და მოსამართლედ ჩვენვე ვიქმნებით,
 რომ მათ უჯეროდ ვერ ახლონ ხელი! (საკრავის ხმაა.
 ხალზი სულ განაბულია. ერთი მხრით იაზონ შემოდის, მეორეთი
 მოქრი. გამზავებული შემოჰყება. თაყვანსა სცემენ იათას.)

ხმა ხალხში.

კარგი ყოფილა!.. შვენიერია!!.

გექსდა (იათას).

ცოდვაა სწორეთ მაგის გალახვა!..

იათა (ჩურჩულით).

ახლა პირობა აღარ გატყდება...
 სასწორ-ლარია ვაშკაცის სიტყვა!
 (იაზონს) შორით მოსულო, ბედის საცდელათ
 და საჭიდაოდ მომზადებულო,

ნერგო სამთავროვ, ელლადის გმირო,
 სახელ-მოხვევით ამაღლებულო!..
 შეხედე იმას, ვისთვისაც თავს დებ! (მიუთითებს მედიაზე)
 თვალით ნახული შეუწონე თქმულს!..
 ნუ აარიდებ თვალს ნურც ამ სარებს
 და ზედ ხმელ თავებს შწყრივათ ჩამოცმულს!..
 და თუ მაშინაც არ დაგიშლია,
 და გული გირჩევს მაინც გმირობას,
 შენი ნებაა!.. ჩვენ უბრალო ვართ!..
 ველარც ჩვენ შევშლით წესს და პირობას!..

იაზენ.

მესმის, მთავარო!.. ხმა ერთ ქვეყნიდან
 სხვა ქვეყანაში გადატანილი,
 მრავალ-კეცდება და ფერადდება,
 გადახეანჯული, გზაში გაზდილი.
 მაგრამ კანონი ეს საზოგადო
 დღეს აქ ოდნათაც არ გამოდგება,
 რა არის მისთვის ქება უბრალო,
 ვისაც შეშვენის ქებათა-ქება?!..
 ჩვენდამი ოდნად მოუწევიათ
 მხოლოდ მის სხივებს, ძლიერო მეფე,
 და მნათობი-კი აქ დარჩენილა
 თვის ელვარებით, სხივ-მოიეფე'.. (თაყვანი მედიას)
 გაფრთხილებისთვის, ჩემი ხელმწიფე,
 უგულითადეს გიძლვნით მაღლობას!..
 ეს ასე შვენის კოლხიდელების
 სტუმართ-მოყვრობას და მასპინძლობას!
 მე-კი, ჩემი მხრით, სხვას ვერას გეტყვით:

გამომივლია ხმელეთი და ზღვა,
 ბევრჯელ ჩავარდნილს მწარე საფრხეში,
 არ ამცდენია შავ-ბედის რისხვა!..
 მაგრამ ამ ჩემ გულს, გათამამებულს,
 ჯერ არ უგრძენია შიში და სიმხდლე!..
 და განა, სურვილ-გადიდებული,
 დღეს უნდა შევკრთე ყოველ ჭირთა მძღე?!

მთქმა.

ბევრი მყოლია მოპირდაპირე...
 ჰკიოხე ამ თავებს, თუ დამკლებია? (ხელს აშვერს სარებს)
 მაგრამ არც ერთი, უნდა გამოვტყდე,
 შენსავით ჯერ არ შემბრალებია!..
 შენს ღმერთს მიმადლე, გულს ნუ აჰყვები,
 გებრალებოდეს შენი მზეობა!..
 თვითონ ღმერთებსაც არ შეუძლიათ,
 რომ მოგაწოდონ რამ შემწეობა:
 ელვის სისწრაფე და მეხის ძალა,
 თეოთ შემოქმედის ნება-განგებით
 მონიკებული მაქვს ყველა ერთად!..
 ამას არ ვამბობ მე თავის ქებით...
 მხოლოთ გაფრთხილებ!

იაზონ.

მაგრამ მე მაინც
 არაფერი მაქვს მეტი სათქმელი...
 სიტყვა გადავდვათ!.. საქმეს შევუდგეთ!..
 აპა ბურთი და ჰა სარბიელი!..
 (დაუკრავენ საჭიდაოს და გმირები ერთმანეთს შეებმიან)

ხმა ხალხში.

ჩეენი წააქცევს!.. ვინ მოგასსენა?
 ვერ ხედავ მაგის გულ-მკერდს და მხარ-ბეჭე?..
 ის კი მაგაზე რაღა ნაკლეა?
 რომ გაიმეტოს, ქორივით გაგლეჯს!..
 რომელი გაგლეჯს, ის ღმერთმა იცის,
 ჯერ კიდევ ძნელი შესატყობია...
 დღეს რომ თამამად ვეღარ ბძანდება,
 ჩეენ მოჭიდავეს კი დატყობია'..
 ხედავ, ერთმანეთს ერიდებიან!
 განზე დგებიან, უტრითალებენ,
 საყურებელი მაშინ იქნება,
 ერთმანეთს ხელს რომ წამოავლებენ!..
 პო! პო! პო! პო!.. შენი ჭირიმე!..
 რა ვაშკაცურად მოავლო ხელი!..
 რა გამოვიდა? ისიც მზათ დახვდა,
 არც ის დარჩება ხელ-ცარიელი...
 ამდენ ჯახება ტრიალ-ტრიალში,
 ვკონებ, სპილოსაც დაესხას რეტი!..
 იმათ-კი ბუზიც არ აფრენიათ,
 უძრავად დგანან ისე, ვით სვეტი!..
 წამოიკიდა!.. ვერ გადიტანა!..
 ვერ ატყობ ბერძენს, რომ ებალება?
 ჩეენი ატყუებს, ეთამაშება...
 იცის, რომ მალე დაიღალება...
 ცუდათ ჩავლეს ერთმანეთს ხელი
 და საძრაობას აღარ აძლევენ!..
 თვითქოს ერთმანეთს შეაქვავდენო,
 ჯერ ერთმანეთის ძალას იკელევენ...
 ეს ჭიდაობა აღარ გამოდის!..

სჯობს, გააშველონ,—უეპველია!..
 ჯერ შეასვენონ, მერე დასჭიდონ...
 ორივეს ძალა გამოელია!.. (აშველებენ და მერე ისევ ჭი-
 დაობენ).

იჩთა (თავისთვის).

რა ემართება ჩვენ მოჭიდავეს?!

როგორ ვერ სძლია, მიკვირს, ამ დენ ხანს! (ხმა მაღლა)

რა ამბავია?!... ვერ ხელავთ ხალხის

ამ უზღელობას და ამდენ ყაყანს?!

(იაზონი დააჩოქებს ცალ-მუხლზე მოქრის).
 ფეხი აუსხლტა... და... გააშველონ! (აშველებენ).

მედია (თირთას).

ახლა რაღა დროს გაშველებაა,
 როცა ნახევრათ წაქცეული ჰყავს?..

თირთა.

ის უკეთ ხედავს!... მისი ნებაა!.. (ანიშნებს იათაშე)
 შენ, როგორც გატყობ, აღარა ხუმრობ!..
 უფრო ბერძნისკენ მიგიწევს გული
 და ჩვენ შერცხვენას აღარათ აგდებ:
 გინდა ის დარჩეს გამარჯვებული?

მედია.

უსამართლობა არ ვარგა, თვარა
 ჩემთვის ერთია, ვინც უნდა იყოს...

თხოთხ (ლიმილით).

მაშ, გაამხნევე ტკბილი ლიმილით,

მესამეთ ბრძოლა როცა დაიწყოს!..

(ჭიდაობენ მესამეთ. მოქრი დასცემს ორივე მუხლებზე იაზონს).

ხმა ქაღებში.

ვაი, საწყალი!.. გადააბრუნებს...

რომ გააშველონ ახლა მაღლია...

(მოქრი გადააბრუნებას უპირებს, მაგრამ იაზონ ძუძუშე მო-
აფლებს ხელს და დასცემს. ხმაურობაა).

ხმა ქაცებში.

ოპო-პო-პო-პო! ხედავთ, რა უყო?..

ეჭვი არ არის, წმინდათ დაძლია!...

(კაცებს წყენა ეტყობათ და ქალებს სიხარული).

იაზონ.

მოკაკვე თითი!...

მოქრი.

გემორჩილები!..

მეტი რა გზა მაქვს!.. დაცემული ვარ,

მაგრამ, თუ ღმერთებს არა უთქვამს რა,

სწორეთ, ღალატით გაცემული ვარ!..

რა გაეწყობა!.. მიწის შვილი ვართ!..

ერთი დრო ქვეყნათ ვის შერჩენია?

ამდენი გმირის სისხლს, აქ დათხეულს,

თუ მაზლვევინებ, ნება შენია!..

იაზონ (აუშვებს).

არა, არ მოგვილავ!.. გეყოფა!.. წადი!..
 შემომივლიხარ თავზე სამადლოთ!..
 და ვინც ღმერთებმა დღეს მომანიჭეს,
 იცოცხლე იმის ჭირის სანაცელოთ!..

იაზონ.

მძლეველო, შენით ამაღლებული
 სახელს იხვეჭავს შენთან ელლადა!..
 ეს ოქროს ტახტი, შეუხეპელი,
 ვითა ლირსეულს, შენ მოგელოდა!
 გილოცავთ ყველა მაგ გამარჯვებას
 და მოგიწოდებო ტახტზე ჩვენს გვერდით!..
 ქება-დიდება ყოვლის შემძლებელს,
 მხოლოდ ლოდინში რომ არ ჩავბერდით!..
 და მოგვევლინა სასიქადულო
 დღეს უძლეველი სასიძოდ გმირი,
 რომ შევასრულოთ ღმერთების ნება
 და არ გავტეხოთ არც ჩვენი ჰირი!..
 (იაზონ ტახტზე ადის. ხალჩი ვაშა-ვაშას იძახის)

გმედა.

შვილო მედია, გასათხოვარ ქალს
 შვენის მოკრძალვა და მორიდება,
 მაგრამ ცოლ-ქმრობის პირობა რადგანც
 მთოვარის ¹⁵⁾ ნებით ცაში რიგდება,
 ყოვლის უარის უთქმელიად უნდა
 დაემორჩილო „უქროს და უშრეტს“,

იმ მიუწდომელ სიმაღლიდან ვინც
 ქვეყნიურ ავ-კარგს სიმართლით უჭვრეტს.

ბძანე, მოგართვან თქროს გვირგვინი,

თვალ-შემკულობით სწორ-უპოვარი

და, ნიშანათ თქვენი მტკიცე ცოლ-ქმრობის,

თავზე დაადგი, ვით საწინდარი!..

(ქალიშვილებს მოაქვთ თქროს ხონჩით გვირგვინი. მედია წინ
 მოუძღვის, იაზონ დაიჩოქებს, მედია თავზე დაადგამს გვირგვინს და
 გაბრუნდება).

L

გაქადა.

გილოუავთ, შეილო, ბედნიერებას!..

შენს სურვილს ჩვენიც ტკბილათ დაერთო...

თქვენი სიცოცხლე, ჭირი და ლხინი,

ამიერიდან იყოს საერთო!..

იათა.

ისმინოს მზემან და ნუ მოგაკლოსთ

მისი სხივები და ელვარება!..

მედიას სატრფო და საყვარელი,

ნაშობ შვილივით, ჩვენც გვეყვარება.

(იაზონს) მედიასია ჩემ სამთავროში,

რასაც საკადრისს-კი ვეგულები:

თვალ-მარგალიტი, ოქრო-ქსოვილი

და ოქრო-ჭედილ სამკაულები!..

იაზონ.

ჩემო ხელმწიფევ! ეინც ბუნებისგან

ქვეყნის საოცრად არის შემკული,

რა საჭიროა მისთვის ზედ-მეტი
 მორთვა-მოკაზმვა და სამკაული?..
 თვით აფროდიტის სარტყელ-ქამარი,
 რომლითაც ის თავს იშვენიერებს,
 მედიას სრულ-ქმნილ თვალ-ტანადობას
 ოდნათაც ველარ გააძლიერებს!..
 სულ სხვა რამე მაქვს შემოსავედრი,
 როგორც ელლადის თქვენთან მოციქულის,
 და ველი თქვენი დიდ-სულობისგან,
 არ გამისტუმრებთ მე გაწბილებულს!..
 „ოქროს-მატყლოვან“ ვერძს ვითხოვ თქვენგან,
 უნდა ელლადას ის დაუკრუნოთ
 და ორი ქვეყნის ძმური კავშირი
 შეჰქრათ საერთოდ და საუკუნოთ!..
 მათ საკუთრებას რომ მათვე მისცემთ,
 ამით მოიგებთ თქვენ ელლადის გულს!..
 მეც ცოტა სახელს... და მედია-კი,
 როგორც მიზეზი, — ქვეყნის სიყვარულს...

თათა.

სიამოვნებით!.. მაგრამ რა ვქნათ, რომ
 არ შეიძლება შეუძლებელი!..
 ზოგჯერ, ნამდვილის ველარ შემტყობი,
 (ჭორის ბუდეა ეს ცრუ სოფელი...) კ.7
 ჩვენ ქვეყნის ამბავს თქვენდამი მხოლოდ
 ჭორად და ზღაპრად მოუწევია
 და თქვენც მაშინვე დარწმუნებულხართ,
 ისე, ვით ყოველ ერსა სჩვევია!..
 აյ რა უნდოდა საბერძნეთის ვერძს¹⁶⁾)

და მასაც კიდევ ოქროს-მატყლოვანს?
 ამ გვარ ზღაპრებით კოლხეთელები
 ბავშვებს ვაძინებთ ჯერ მცირე წლოვანს!..
 ტყავებით ვიჭერთ ჩვენ ოქროს სილას,
 მდინარეების ჩამონატარებს,
 ერთად ვაგროვებთ შესაკრებელში
 და გარეშეებს ვუკეთავთ კარებს.
 იქვე დაუდგამთ ჩვენ მამა-პაპებს
 ვერძი იქროსი, ხატ-ჩამოსხმული,
 ზეციურ ვერძის წარმომადგენლად
 და მისვე სახედ გარ-შეკაზმული.
 მნათობ ცუურ-ვერძს, კოლხეთის მფარველს,
 ამით თაყვანს სცემს ჩვენი ქვეყანა!..
 და აპა, თქვენი ტკბილად მხიბლავი,
 უცხო ზღაპარი და გამოკანა!..

იაზონ (დიდი ხნის სიჩუმის შემდეგ).

თუ ხელ-ქმნილია... ეგ უკეთესი!..
 იმისი მსგავსი ჩამოასხით სხვა,
 რომ აიცილოთ თავიდან ქვეყნის
 სამდურავი და ღმერთების რისხვა!..
 და ეგ დიდი ხნის სადაც ნივთი
 თან გაატანეთ თქვენ ქალს საჩუქრად
 და გულ-ნატკენი ზღაპრით ელლადა
 მით გაიხადეთ ისევ მეგობრად!..

ეპთა.

კი, მაგრამ, შვილო, ვინ გამოიტანს?
 არ ეკიდება ვაგლახად ხელი!..

ყოველ წამს და წუთს თვალ-ყურს აღევნებს...
 თავზე ადგია საშიში მცენლი:
 რქებ-მოჭელილი ბასრი ფოლადით
 გარს უტრიალებს მას ორი კურო...
 იმათი შებმა და მათთან ბრძოლა
 ნურვის ჰგონია საქმე სახუმრო!..
 მეორე მცენლიად გველეშაპია,
 პირიდან კომლის ამომსუნთქელი!..
 უნდა ამ სოფელს გამოეთხოვოს
 ზედ მიშბედავი, მისი შემბმელი!..

იაზონ.

მე შევებმები, თუ თქვენც ინებებთ,
 საშიშ მცენლების არ მეშინია!..
 განგებას ვინც-კი არ გაუწირავს,
 მისთვის ზღვა ჭაა, ლოში — ფინია.

გაქადა (წყენით).

რას აშბობ, შვილო?!.. მათი მორევა
 ხორც-შესხმულს მაღლით არ უწერია!..

იაზონ.

მხთალი, უნდობი მოწყალე ბედის,
 ნაცარ-ქექია... თავის მტერია!..
 რათ მოვიმდურო მე ჩემი ბედი,
 უხვად მომღები ჩემზე წყალობის,
 და გავუწილო მეცადინობა
 ჩემთვის ღმერთებთან შუამდგომლობის!?

გმქადა.

დღევანდელ ძლევით გათამაშებულს,
 შენი გვინია ცა და ქვეყანა!..
 მაგრამ ვერ შეშლი იმ წესსა და რიგს,
 რაც უძლეველმა ერთხელვე ბრძანა!..
 ყოვლის შემძლებელ მნათობთ-მნათობმა...

(უკმაყოფილოდ აწყვეტინებს სიტყვას)

დედაკაცს მისცა სუსტი ბუნება,
 რომელიც მარად ყურში ჩურჩულით
 „არაო“ და „ნუ“ მას ეუბნება.
 ურწმუნია და ბუნების მგმობი,
 გმირულ-სურვილის ხელის შემშლელი!..
 (იაზონს) შენი ნებაა, შეები, შვილო,
 და მოგიმართონ ღმერთებმა ხელი!..
 რომ დაგიშალო, შენც არ დაიშლი!..
 ვხედავ, რომ რჩევით ვერას გავაწყობ!

მედია (უცბათ წამოიძახებს).

აჰ, არა! არა! ნუ წახვალი!.. მოგკვლენ!

იაზონ (მრისხანელ).

მედია!.. შენ აქ მეტი ხარ!.. გატყობ!..
 (მედია მიდის თავჩაღუნული, ქალთა დასი გაჭყვება).
 (იაზონს ღიმილით) ეგეც ქალია!.. საეჭვოთა აქვს
 შენი გმირობა და გამარჯვება,

მაგრამ, რომ გნახავს ძლევა-შემოსილს,
 გაუდიდება ლხენა და შევბა.
 ყურს ნუ ათხოვებ და ნუ აჰყვები
 საქალაჩუნო, სათუთ ქალის გულს!..
 წადი ახლავე, ნუ იგვიანებ
 და ხვალ მოგელა მძლე-გამარჯვებულს!..
 (იაზონი ეთხოვება და მიდის. ხალხი დაიშლება. საკრავის ხმა
 და ხმაურობაა. დარჩებიან მარტო იათა, გექადა და თირთა,
 რაღანაც კარის კაცებს იათა ანიშნებს წასვლას).

გმქადა.

რათ გაიმეტე?! რისთვის ჩააგდე
 მაგ გვარ საფრხებში ის ცოდვის შვილი?

იჩობა.

მე რა ბრალი მაქვს? თვითონ ისურვა
 და ავასრულე მისი სურვილი!

გმქადა.

კი, მაგრამ განა დაგავიწყდა, რომ
 ალარ ექნება მას იქ საშველი?

იჩობა.

კარზე მომდგარი უბედურება
 რომ ავიცდინო, მეც მაგას ველი!..

გმქადა.

რას აშშობ მაგას?!.. რა ხუმრობაა?!

იათა.

მე იმას ვაშშობ, რაც სათქმელია!..
 ნუ თუ შენთვისაც, ჩემო გექადა,
 შორს-მჭვრეტელობა ისე ძნელია,
 რომ ვეღარ ხედავ ჩვეულებრივად,
 ბერძნის მოყვრობით თუ რა მოგველის?!
 ვისგან ნახულა ქვეყნად ნაშობი
 კრავი ფოცხვერის და მტრედი გველის?
 განთქმული არის ქვეყნად ბერძნების
 გაუტანლობა, უმაღურობა...
 სხვა ქვეყნის ერის არად ჩაგდება
 და თავის ტომით მედილურობა!..
 საჭაც ვერ ნახვენ მათ ქვეყნისებურ
 რიგს ცხოვრებისას, წეს-წყობილებას,
 ისე ერი ერად არ მიაჩნიათ,
 ვერც გრძნობენ მათთან კმაყოფილებას!..
 იმათი ქალი პირად მონებას
 ქმრისას ჯერეთაც ვერ აცდენია:
 კარ დაკეტილში ზის, ართავს და ქსოვს...
 უმნიშვნელოა, ქვეყნის რცხვენია!..
 კოლხეთის ქალი ქვეყნის შვილია,
 ქვეყნის ავ-კარგში მონაწილობით,
 რჯულითაც სხვაა, ჩვეულებითაც,
 შეუფერები ბერძნის ზრდილობით!..
 წარმოიდგინე, რა დღე მოელის

იქ ჩვენ მედიას, ცოცხალ-ცქრიალას?
 ეგ ვერ აიტანს ბერძნის ქალობას,
 ვერ დაიჩაგრავს სულ-ხორცის ძალას...
 აღარ ექნება წამს მოსვენება,
 იმ უცხოეთში ათვალწუნებულს,
 და თავისიანს რომ ვეღარ ნახავს,
 ვიღას მიანდობს სანუგეშოდ გულს?

თართა.

ეგ მართალია!.. მაგრამ მედია
 სიყვარულით რომ გამსჭვალულია,
 ყველას აიტანს, შეისიხლხორცებს!..
 სიყვარულს ბევრი რამ შეუძლია!..

იპთა.

ჰმ... სიყვარული!!!.. ის წამიერი
 გრძნობა-გონების ცრუ-გატაცება? ბრძოლა
 ისე დაჭინება, როგორც ყვავილი,
 თუ აღარ ებმის იქ, სადაც ება!..

გეჭად.

ეგ აღრე უნდა გეფიქრებია,
 გვიანდა არის შეშლა პირობის!..
 მით უმეტეს, რომ მოსისხლე ღმერთი
 თავდებ-მოწამე იყო გმირო? ის.

ისთა.

ღმერთები ხელვენ გულში დაფარულს
 და გაარჩევენ ავ-კარგის გიზეზს!..
 მშობელ-ნაშობის ხორციელ-კავშირს
 თვით არ უდებენ სამართალს და წესს?
 ვინ მომცა ნება, გავწირო შვილი,
 როცა წინათვე ვხედავ განსაცდელს?
 დე, ღმერთებმა, რაც უნდათ, ის ქმნან!..
 მე ვერ დავაკლებ ხეჩხს და საცადელს.

გვეჯანა.

ქვეყანა?

ისთა.

დე, ისიც მოსტყუდეს...
 განა ძნელია ახვევა თვალის?
 ბრბო რას გაარჩევს, მყობადით მგრძნობი,
 ყრუ გადასრულის, ბრმა მომავალის?
 ჯერ საქორწინოდ ვიწყოთ მზადება,
 უშეცარ ქვეყნის დასანახავად,
 და რომ მოგვივა ცუდი ამბავი,
 ჩვენც შევიტხადოთ ავი რამ ავად!..
 გამოვიგლოვოთ!.. მერე-კი ისევ
 ვიფიქროთ ქალის გათხოვებაზე
 და მივათხოვოთ სიამით მცხეთის
 მამასახლისის შვილს, ჩვენ ნებაზე.
 გარშმუნებ, მხოლოთ გვარ-ტომობაა

თავმდები ქვეყნად ბედნიერების,
 ჭირის და ლხინის მარად საერთოდ
 შეთანახმების... შეთანსწორების.

(თირთას) დაო, ერთგულო ჩვენი სახლობის...
 კეთილ-ნასვაწო, ნაამაგარო...

ახლაც შეგშვენის, რომ ეს სურველი
 გონების სხივით შენ გაამყარო:
 მედია შენ გყავს შვილათ გაზდილი,
 გემორჩილება და შენი სჯერა,
 დღესაც ურჩიე და შეაგონე...

შენ ხელში არის მის ბედის-წერა.

(გექადას) და ჩვენ-კა, ჩემო თანა-მემცხედრევ-
 წავიდეთ ერთად!.. ღმერთებს მივმართოთ!..
 ჩვენ ჩეულებრივს ლოცვა-ვედრების
 ზედ სინანულის ცრემლები დავრთოთ,
 რომ მოგვიტეონ უნებლიერი
 ჩვენი შეცდომა, დანაშაული!..
 შევსწიროთ მსხვერპლი სადიდებელი
 და დავიმშვიდოთ შემქრთალი გული!.. (შიდიან)...

მოძმედება მიხუთმ

ს ც ე ნ ა

(ძირდასად მორთული სასახლე ოქროს სვეტებითა და ოქროს ხელ-
ტახტებით. ოთხი კუთხით შადრევანები სცემენ).

გამოსცლა I-ლი.

(ტედია შემოიჭრება ჯონით ხელში და უკან ძირა მოსდევს).

ძირა.

მოიცა, შვილო!.. აბა რათ გინდა?
შენ სეც დახტი, როგორც კალია,
და მე-კი ფეხიც ვერ გადამიდგამს.

ძედია.

მერე და, ეგ რა ჩემი ბრალია?
ჩემო, ძიძუნა, განა არ იცი,
რომ მოხუცებას ეგრე სჩვევია?
ხორც-შესხმულს სტუმრად არ აცილდება
ავი სიბერე და შენც გწვევია.

მამა.

და მერე მიტომ მართმევ მაგ ჯოხს, რომ
 ხელი შეუწყო ამ ჩემ სიბერეს?

მედია.

განა სხვა ჯოხი არ იშოვება?..
 გამოგიჭრიან ტყეში მეორეს...

მამა.

კი, შაგრამ ეგ ხომ საკუთრად ჩემთვის
 შელოცვილია?!!.. ნაჩუქარია!..
 სხვის ხელში მაინც ხომ ვერას გასჭრის
 და, აბა, შენთვის რა სახმარია?

მედია.

ვინ შეულოცა?

მამა.

მამიღა შენმა,
 გველ-უნასების მოსაგერებლათ...
 თუ ეგ ხელში მაქვს, არ მეშინია,
 დავდივარ ყველგან დაურიდებლათ.
 ძალიანაც სჭრის: მაგის გასმულ ხაზს
 შხამიანი რამ ვერ გადასცდება;
 თუ მოასწარი, გარშემოხაზე,
 მოიგვერგვება, რგოლში დარჩება.

მედია.

კარგი ყოფილა!.. მაგისთანა რამ,
რომ გავთხოვდები, ჟეც დამჭირდება.

მიძა.

რათ გინდა, შვილო, მაშინ, როდესაც
სადელოფლო ტახტს ბედი გპირდება!..

მედია.

ვინ იცის?! ბედი ცვალებალია:
დღეს რომ ერთია, ხვალ კიდევ სულ სხვა!..

მიძა.

ღმერთები იყონ შენი მფარველი
და აგაცილონ წყევა და რისხვა...
მოიტა, შვილო, ნუ მაგვიანებ...
უნდა მიეხედო იქაურობას...

მედია.

აჰა, წაილე!.. არ გემეტება...

მიძა.

იჸ, ვენაცვალე მაგ შენ ხუმრობას.. (მიღის).



გამოსვლა II-რე.

ମୁଦ୍ରଣ ଓ ପ୍ରକାଶନ (ଶେମନ୍ଦୋଳ).

ପାତ୍ରବିଦ୍ୟା

ରୂ ଅମ୍ବାଙ୍ଗୀ ଦା ରୂପ ଶାୟବନ୍ଧିତ,
ମାଘର୍ଜ କମ୍ବା-ମାଲା ଦା ଏଲତ୍ତାପ୍ରେବିତ?
ଏହି, ଶାଲ୍ପାପ ଏଣିସ, ମାମିଶାକଳିସିପୁ
ଗାମିନ୍ଦବାନଦ୍ୱେବା କାରିସ ପାପ୍ରେବିତ!..

đgođ.

ჯერ ხომ იდრეა და რას დავუშლით?..

ମର୍ତ୍ତା

მაინც, რა გქონდათ სალაპარაკო?

ଧୟାନରେ (ନୃତ୍ୟରେ).

ძველი ამბავი, მაგრამ ძიდისთვის
გისაოცარი და საარიკო...
ჯოხი მიჩვენა, გამოხარშელი,
რომელიც მისთვის გიჩუქებია!..
ასე ჰეგონია ოუ ის ხელობა
ჩემთვის ჯერ არც-კი გისწავლებია!

ତରୁତା ।

აბა, რა, შვილო?

მედია.

გველის შელოცვა...
 გამოსადეგი ჩემთვის, საჭირო,
 რომ გათხოვილმა უცხო მხარეში
 ჰალხი გავკურნო და გავაკვირო..

თირთა.

„გათხოვილმაო?“ აღარ უარობ!
 დაგიჯდა ჩემი აზრი და რჩევა?
 ვისმინოს ზეცამ და ნუ მოგაკლდეს
 ყოვლის შემძლებლის ლოცვა-კურთხევა...“

მედია.

ოქვენ უკეთ იცით, ჩემთვის რაცა სჯობს!..
 მე მხოლოდ შმართებს დაგემორჩილოთ,
 რომ ჩემ ბედს და ოქვენს გამოცდილებას
 შივენდო გულით საშეილი-შეილოთ.

თირთა (აღტაცებით).

მაგას ველოდი შენგან, მედია,
 გონიერი ხარ!.. შორს გამჭვრეტელი!..
 დღეიდან შენით თავს მოიწონებს
 შენი მამიდა, შენი გამზდელი!..
 კეუის ურჩობა, გულის მონება,
 საყოველთაოთ დედათ წესია,
 მაგრამ მედიას კეუა-გონება
 კოველ გრძნობაზე უმტკიცესია:
 ამ გადაპყვება წამიერ გრძნობას,
 პირველ საამოს, მერე სატანჯველს...

არც შეუფარდებს ცხადს საოცნებოს
 და საეჭველზე არ სცვლის უეჭველს...
 წადი, მიმართე საყდარ-სალოცავს,
 მაღლი შესწირე ყოვლის შემძლებელს,
 რომ გაგიმტკიცა ჰქუა-გონება
 და აგაშორა შხვედრსა მავნებელს,
 მეც წავილ, მშობლებს ვუმახარობლებ
 მაგ შენს თანხმობას... შენს აღსარებას...
 და შევუერთებ ჩემ სიხარულსაც
 იქათს მშობლიურ დიდ-ნეტარებას.
 (თავისთვის) ოპ, რა კარგი ხარ ახალგაზლობავ!..
 გუშინ ტიროდა, დღეს მხიარულობს!!..
 მხოლოდ ვაბუკის, გამოუკდელის
 სიცოცხლე მძლავრობს!.. და გული გულობს!.. (მიღის).

მეღია (გააყოლებს თვალს).

არა, მამიდა! ყოველთვის ვერ სჭრის
 ჩვეულებრივად ჰქუა-გონება: მათ
 როცა სურვილი გახელმწიფება,
 გონებაც გრძნობას დაემონება...
 რომ დამიჯერე, თუ არ სურვილმა
 რამ შეგაცდინა და მოგატყუა?
 სად არის შენი გამჭრიახობა
 ქვეყნად გათქმული... და შენი ჰქუა?
 ვინც მიყვარს, უნდა მას ვუდალატო?..
 უარვყო გრძნობა... გავტეხო ფიტი...
 და ვიღაც მცხეთის მამასახლისის
 შვილი შევირთო, რომ არც-კი ვიცი?..
 გაშინ, როდესაც ახლა შევიტყვე

ცხოვრების სიტკბო... სიცოცხლის ფასი!..
 და სიყვარულმა, მოუყირპებელ
 სამოთხის წყარომ, ამიგხსო თასი?!..
 არა, დიდია ჩემთვის ეს მსხვერპლი,
 შეუძლებელი და უსაშველო!..
 გული, მეურჩე სიყვარულისა,
 ისე დასკენება, ვით ჩრდილში მდელო!
 (მივა სარქმელთან და გაჰყურებს დაფიქრებული).
 მშვიდობით, ჩემო ტკბილო ქვეყანა!..
 მშვიდობით, ჩემი სამშობლო მხარე!..
 მშვიდობით ჩემო სალოცავებო:
 მზევ, ვარსკვლავებო და ნაზო მთვარე!
 მშვიდობით, ჩემო კარგო დედ-მამავ!..
 ჩემო მამიდა და ჩემო ძიძა!..
 მშვიდობით... თვალით რახაც-კი ვსჭრეტდი:
 ცაო ფირუზი და ზურმუხტ-მიწა!..
 შევკონე ცრემლით სხვა-და-სხვა გრძნობა
 და ჩავიმარხე ყველა ამ გულში,
 რომ გულთან ერთად გადამეტანა
 ერთ სხვა გრძნობაში და სიყვარულში.
 წარსულის, აწმყოს და მომავალი
 გრძნობის ის არის შესაკრებელი:
 იაზონია მისი სახელი,
 სიკვდილ-სიცოცხლეს ვისგანაც ველი...
 შარავანდედის წინ მაღლის ფიცით
 გავიერთდალეთ სული და გული,
 რომ სიკვდილამდე ერთს მეორესთან
 ალარა გვქონდეს რამ დაფარული!..
 ჩვენს ფიცა და მტკიცს, საშვილი-შვილოს,
 დაშრიალებდა „ჭყონდიდი“ — მუხა!..

ზეცამაც თვისი დაგვრთო თანხმობა:
ცამ გაიყლვა და დაიქუხა!..

გამოსვლა III-ხე.

მედია და იასირ (შემოიჭრებიან).

იასირ.

მედია, მზათ ხარ?

მედია.

აი, მოვდივარ!

იასირ.

მაშ, მალე!.. მალე, ნუ აგვიანებ!..
ეტლი მზათ არის და შენს თეთრ-ჯორებს¹⁷⁾
მე თვითონ გავრეკ და გავაქანებ!

გამოსვლა IV-ხე.

(ისინივე და წინ შემოეფეთებათ სახლთხუცესი).

სახლოს.

საღ მიბძანდებით?

იასირ.

საღ და საყდარში!
ვერ ხედავ, კიდეც გვიგვიანდება?! (მიღიან)

სახლობ.

ჩქარა დაბრუნდით, ივარა, ხომ იცით,
 მალე ბატონიც გამობძანდება. (მიიხედ-მოიხედავს).
 კარის კაცები ჯერ არ მოსულან,
 და ბატონი-კი არ აგვიანებს!..
 სჩანს, უჩვეულო რაღაც აშფოთებს!
 ვნახოთ, რას გვეტყვის და რას გვიბრძანებს?
 სუჯ!.. მობძანდება!..

გამოსვლა V-თე.

ისგვე და იათა, გეჭადა და თირთა.

(გამობძანდებიან მხლებლებით. კარის კაცები შემოვლენ სხვა-და-სხვა
 მზრიდან. იათა, გეჭადა და თირთა ტახტზე დაჯდებიან. ორივე
 კუთხით-კი ლირსეულნი. სხვები ზეზე დგანან.)

იათა.

ააა! სახლოხუცესო!..
 ახალს რას გეტყვი!

სახლობ.

კარგათ მყოფობას!
 ღმერთებმა ძლევა ნუ დაულიონ
 თქვენს ბატონობას და თქვენს მეფობას!..

କଣ୍ଠା

არა იცი რა?

სახლოთხ.

չյր արա, մացրած
ամեն Շըմքով ցացիազնուու...
ա՞, սադաց արու, լին ցուելուտ
լու մոցաեցնուտ, հաց նամցուու!

କଣ୍ଠାନ୍ତିର, ୧୯୬୮

უქმეველია, გუშინდელსავით
ძლევა მოსილი დაგვიბრუნდება!..
თქვენ, ღიდებულნო!.. წინ მიეგებეთ!
შეასხით ღირსი ქება-ღიდება,
რომ საკრავების სხვა-და-სხვა ხმები,
ერთ სალხინო ხმათ შეზავებული,
ცაშდი უწევდეს და ტკბილად სძგერდეს
მისი გამგონე ამ ქვეყნის გული...
შედგენ სერებზე მეგანგაშენი,
საკიდის-კიდო დასცენ საყვირი
და მთელ სამთავროს შეატყობინონ,
რომ მოგვევლინა სასიძოდ გმირი!..
გმირი, რომელიც უძლეველ-ძალთა
დაიმორჩილებს და ითაყვანებს!..

სახლოთს. (რომელიც ერთ კარის კაცს ეჩურჩულებოდა).

აგერ, მთხოვთ კიდევ გხლებიათ!..

იჩთაბ.

შემოიყვანეთ!.. რას აგვიანებს?..

გამოსვლა VI-სე.

ისინივე და მთხრობელი.

იჩთაბ-

შენ ხარ მთხრობელი? აბა რას გვეტყვი,
რომ მოგისაჯოთ სამახარობლო?..
ჩვენი სასიძოს გმირულ განძრახვას
კეთილი მოჰყვა, თუ ცუდი ბოლო?
რამ დაგამუნჯა?!.. ენა ჩაგვარდა?..

მთხრობელი.

უბძანეთ, მომჭრან ცოდვილი ენა!..

გმქადა.

როგორ?! გვიმტყუნა განა დღეს ბედმა
და გაგვირისხდა ბრწყინვალე ზენა?!.

იჩთაბ.

დამარცხდა?

მთხრობელი.

არა, ჩემო ხელმწიფევ!

იჩთა. (შემკრთალი).

რაშ გაიმარჯვა?!.. რა სათქმელია!

მთხრობელი (წყენით).

რაც, დამსწრეს, ჩემის თვალით მინახავს,
 ბატონო, რაღა საეჭველია?
 მამაცს, შეჭურვილს საგმირთა-გმიროდ,
 გვერდში მისდევდა ვიღაც დამკვრელი,
 მის ჩანგის ქლერამ და ტკბილმა ჰანგმა
 მოხიბლა, შეჰკრა მთლად მთა და ველი!..
 შავი მოზვრების მოსახიბლავათ,
 მან თეთრი ძროხა წინ წაიძლოლა
 და მათაც, ვნებით დაქანცულებმა,
 ველარ შეიძლეს რქენა და რჩოლა!..
 მხეცებს დაუცხრო მან გულის წყრომა,
 მოინადირა და მოცახიბლა
 და იაზონმაც სწორეთ ამ წამით
 ისაშუალა და ისარგებლა... (სიჩუმე).

იჩთა.

და ვველაშაპი?

მთხრობელი.

ბურთი ქსროლა,
 ლურსის გუდათი გამოტენილი,
 და რომ ებდლვირა ძილის წამალი,
 მას მოერია სამი დღის ძილი.

თანა (მეშფოთებული მრისხანედ).

აქ ლალატია!.. შეულიც იყოს
 ჩემი ორგული!.. გამცემი ქვეყნის!..
 (მოვა გონებაზე) და გამარჯვებულს მეტი რა ეთქმის?..
 ასრულდეს მისი აზრი დიდი ხნის!..
 სჩანს, რომ ღმერთებიც მისკენ ყოფილან
 და ნდომებიათ მისთვის მედია...
 ყოველი საქმის ბოლო-გვირგვინი
 ამ ქვეყნად მხოლოთ ვარსკვლავ-ბედია!..
 სად არის გმირი?

მთხრაბედი.

ის გაემგზავრა,
 მხოლოდ სამშობლოს მაღიდებელი...
 წაილო კრავი და მასთან ერთად
 მთელი საუნჯე შესაკრებელი...

(საზოგადო აშფოთებაა, ყველანი ზეშე წამოცვინდებიან).

თანა (სასო-წარკვეთილებით).

ვაი სირცხვილო!... მთელი კოლხეთი
 გახდა ბერძნების აწ სასაცილო!..
 ამ სასჯელს განა ის არ მერჩია,
 რომ ვყოფილიყავ სულაც უშვილო?!

(თირთას) დაო! შენს გარდა იცოდა ვინმემ
 ჩვენი სასახლის ის... საიდუმლო?

ତତ୍ତ୍ଵତଃ.

ମେଲାଲାଦ ମେଲାମ ଲା ଲେଗାମ ଅରାଯିନ,
ବିଷ ମର୍ବିନ୍ଦା ମାର୍ତ୍ତିଳ ଶାଖାଲାସିନ୍ଧୁଲାଳ!

ତତ୍ତ୍ଵତଃ.

ମେଲାମ?! ଫାଲିତ, ଯେଲାଙ୍ଗ ମନ୍ଦିରାର୍ଜେତ!..
ରାତ୍ରିମ ଅର ଅରିଲ ଅଜ ପାଶିରି?

ମତ୍ତେରାଥେଲା.

ମି ଦେଖେନ୍ତି ଗାତ୍ର୍ୟା!.. ମିଳିତାନ ତୁରମ୍ଭେ
ଶାଶମି-ଶାଶ୍ଵତରାତ ଶୈଶ୍ଵରାଙ୍ଗ ବିରି...

ତତ୍ତ୍ଵତଃ.

ମର୍ଦ୍ଦେଶାରି!!

ମତ୍ତେରାଥେଲା.

କିଲ୍ପି ଗାମିଲ୍ଲାପ୍ରେଣ୍ଟ,
ମାଗରାମ ଲାକର୍ମନ୍ଦେନ ଶୈଳ-ପାରିଗ୍ରାମ!..

ତତ୍ତ୍ଵତଃ.

କିଂଜାରା!.. ମନ୍ଦିରାର୍ଜେତ!.. ଶୈମାନିକାନ୍ଦେତ!..
ରା ଅମ୍ବାବୀର, ଗାଵିଗା!.. କେଲାନି!.. (ଶୈମରକ୍ଷାତ ମର୍ଦ୍ଦେଶାରି)।
ଶୈର୍ପାନ୍ଧାତ, ମର୍ତ୍ତିରି ଗାଗିନ୍ଧିପ୍ରେତିରାତ,
ରାମ ତ୍ୟାଗେ କେବ କେବାଙ୍ଗ କେମିତାନ ମୁକ୍ତାନିଲ୍ଲା!!

ჰმ?!.. რას გაჩუმდით?.. კრიჭა შეგეკრათ?..
 რატომ არ გახსნით მაგ ჩასამტვრევ კბილს?!

მდეგარი.

ჩემო ხელმწიფე, როგორც გავიგეთ,
 დაუყოვნებლივ მივსდიეთ კვალში,
 მაგრამ გაგვასწრეს, აუშვეს ნავი
 და შეაცურეს შუაგულ წყალში.
 ჩვენ სანამ კიდეს მივადგებოდით,
 დაეშვენ წყალ-წყალ, იხვივით ცურვით!..
 ჩვენ დავრჩით ხმელზე ხელ-ცარიელი,
 ტირილით, მოთქმით, ვაით და ურვით...

გბმოსცლა VII-დე

(ისინივე და ქალიშვილები შემოდიან.)

ქალიშვ.

ვძებნეთ მედია და ვეღარ ვნახეთ!..
 იქ სალოცავში აღარ დაგვიხვდა...
 მასთან ძუძუდაც აღარსადა სჩანს!
 ძიდაც ბევრს ჰფიქრობს და ვერას მიხვდა!..

მდეგარი.

მედია ნავში იჯდა მტირალი,
 თმა გაეშალა... უწუხდა გული!..
 ძუძუდაც თავზე დასტრიგალებდა
 და აბრუნებდა, გამწარებული.

განა მედიაც მოუტაცნიათ?

გეძღვა.

რაში არა ჰეგავს?.. ვინ იფიქრებდა?!..
 ნება ყოფლობით რომ გაჲყოლოდა,
 რაო იჯაფრებდა და იტირებდა?..

მდევარი.

იასირს ჰეგლოვდენ!..

ეგეღ.

როგორ თუ ჰეგლოვდენ?! (გაკვირვებით).

მდევარი.

აღელუუბულ-ზღვის დასამშვიდებლათზე
 თავისიანი რომ ვერ გასწირეს,
 იასირ დასდვეს ბერძნებმა მსხვერპლათ:
 ჩაეგდოთ წყალში... ჩვენც შიგ შევცურეთ,
 რომ სულთა მბრძოლი გამოგვეყვანა,
 მაგრამ, დავხედეთ და მკვდარი იყო,
 ყელში გაერკოთ მსხვერპლისთვის დანა!
 თან წამოვიდეთ... (შემოაქვთ საკაცეზე დადებული)

გექადა.

ვაიმე, შვილო!

თუ მამიშენის წყევლამ გიწია!!..

აღარც დედა-შენს უნდა სიცოცხლე...

ისიც შენთანვე დასამიწია!!.. (უნდა გადავარდეს, მაგრამ ქალები იკერენ. ეხვევიან გარს და აბრუნებენ გულ-შეწუხე-ბულს).

იათა (ზარდაცემული).

მიმტყუნა ბედმა და მომდგენ მკაცრად
ცისა და ქვეყნის ძალთა-ძალები!!

ეს დასადგომი და დასაშრეტი,

ამას რას ხედვენ ჩემი თვალები?!..

მნათობთა-მნათო! ყურს რათ იყრუებ,
როდესაც გესმის ლოცვა-კურთხევა

და ელვაზედაც უსწრაფესი ხარ,

თუ გაიგონე კრულვა და წყევა?!

რათ შეისმინე უგნური სიტყვა,

ცოდვილი პირის გამონათქვამი?

და წინ დამიდევ ცეცხლ-მოსადებათ

უსუსურ ბავშვის საბრალო გვამი?

რაღა ვარ ახლა და რაღა მევიან:

ცაში გარისხულს, ქვეყნად უპიროს,

უძლურ-უღონოს და უსისხლ-ხორცოს,

სასო-მიხდილსა და უშვილ-ძიროს?!....

სიკვდილი მხოლოდ ჩემდა ნუგეშად!.. (უნდა მახვილი ჩაიცეს. შეაჩერებენ).

მაგრამ რას ვამბობ?.. რა საჩქაროა!..

ჯერ შური.. შური!.. შურის-ძიების

დამაცხრობელი სისხლის წყაროა!..
 სიკვდილი ბერძნებს!.. მუსრი საბერძნებს!..
 ხომ გესმის, მზეო, ყოვლად ძლიერო?!..
 უნდა გავმხნევდე... ვიცოცხლო, გავძლო,
 რომ გადვუხადო სამაგიერო!..
 ვინ სთქვა, ნეტავი, ჩემი სიბერე,
 ჩემი სისუსტე და უძლურება?..
 არა!—ვგრძნობ ძალა მიორკეცდება
 და ვყმაწვილდები!.. სიბერე ქრება!...
 ვინ არის მეფე ზღვათა და ხმელთა,
 იათა მთავარს რომ შეედაროს...
 გადააჭარბოს შურის ძიებით
 და უკიდო-ზღვათ სისხლი დაღვაროს?!.
 მალლით მთიებსაც-კი ეხარბება
 ამ ქვეყნიური ჩემი დიდება!..
 და მე ვასწავლი, თუ როგორ უნდა
 სისხლის აღება!.. შურის-ძიება...
 ვაი, საბერძნებს ამიერიდან...
 დედებს ამის დღეს რომ დავაყენებ!.. (ათითებს გექადას).
 მამებს ჩემსავით გულს დავუთუთქავ
 და მკვდრებს საფლავში არ მოვასვენებ!..
 ხა-ხა-ხა-ხა-ხა!... თქვენ, კოლხელებო!
 გესმისთ?—მზათა ხართ? ხელი შვილდ-ისარს!..
 ქვეყნის გაწყვეტით და ოხრებით
 შეუპოვარი ზეცას დავსცემ ზარს!...
 შვილებო, თქვენ ხომ არ გეწყინებათ?
 დამეთანხმებით თქვენც, იმედია...
 ხომ გესმის კარგათ, შვილო იასირ?!.
 ხომ გაიგონე, ჩემო მედია?!...
 ხა-ხა-ხა! ხა-ხა...

ତିରତା.

ପ୍ରିୟନା ଦାନନ୍ଦ!..

ଶୁଦ୍ଧେଭୁର୍ଜେବାମ ଶ୍ରେଣୀ ଦାରୀରା!..

ଯାଏ ମାସ, ଯିନିଙ୍କ ରନ୍ଧନ ଏହି ଶୁର୍ଜେବା

ଅଳାରୁ ପ୍ରାପ୍ତଶ୍ରେଷ୍ଠଶି ଏବଂ ଏହିଙ୍କ ମିଶ୍ରଦାରୀରା!..

ଦାନନ୍ଦ (ଆର୍ଜେଖଲାଦ ତିରତାର).

କୋମ ଗ୍ରହନ୍ୟୁଲି କାର ଶ୍ରେଣୀ, ତିରତାରା,

ଯୁଵଳିର ମନମ୍ଭେଦି ଏବଂ ଶ୍ରେଷ୍ଠଶ୍ରେଷ୍ଠରା?

ମିଶ୍ରଦାରୀରାକୁଳିର ଶ୍ରେଣୀ ହାମଦିଗମେଲି...

ପ୍ରାପ୍ତଶ୍ରେଷ୍ଠର ଗାମତିରାଙ୍ଗ-ଗାମଶ୍ଵାସଶ୍ରେଷ୍ଠରା?

ଗାମନିହିନ୍ଦେ ଏହି ଶାକି ଫଳିତରାକି

ଶାକିର-ଶାକିରାତ୍ରି ମାଲା, ଗ୍ରହନ୍ୟୁଲି,

ରନ୍ଧନ ମର୍ତ୍ତରୀର କ୍ଷେତ୍ରର ଶଳାତ ଗାଦାଏକପ୍ରେସ

ଏବଂ ଶଳା ଦାନ୍ତବଦେଶ ଗାକିଶାସନଶ୍ରେଷ୍ଠରା...

ଶିଥ ମନ୍ତ୍ରିକ୍ଷେପ ମର୍ତ୍ତରୀର ଏବଂ ମନଦାଲାତ୍ରୀ...

(ଶ୍ରେଷ୍ଠରାକିମାନ). ଗାରାରାହିର ମନୋଲାଦ ହେମି ଶ୍ରେଣୀ!...

ହେମି ମେଦାରା!.. ଏବଂ ବାସିନିରାତ୍ରି

ଶ୍ରେଣୀ-ମେନାରେତ୍ରେ ହାତୁଦିଗ ଶ୍ରେଣୀ...

ବା!-ବା!-ବା!-ବା!-ବା!..

ତିରତା.

ଯାଏ ଏହି ଶିକ୍ଷଣି!..

ମାଲ୍ଯ!.. ଏହି ଶିକ୍ଷଣି କିମ୍ବା ଏହି ଶିକ୍ଷଣି

ମାଲ୍ଯ!.. ଏହି ଶିକ୍ଷଣି କିମ୍ବା ଏହି ଶିକ୍ଷଣି

ମାଲ୍ଯ!.. ଏହି ଶିକ୍ଷଣି କିମ୍ବା ଏହି ଶିକ୍ଷଣି

მახვილი გულში და ყელში დანა!.. (მიაშურებს მახვილით).

თარი: ბ.

იქით!.. შეჩერდი, შე უბედურო!..

მახვილი გინდა ჩემზე იხმარო?.. (მიჩერებია თვალებში და ღელავს. იათა მახვილს გადააგდებს და ძირს ეცემა).

აი შემთხვევა მოულოდნელი,

საუბედურო დ სამწუხარო!..

(თავისთვის). სწავლა და ცოდნა, რაც კი ამ ქვეყნად ჰქუა გონიერის განაწონია,

ბრძოს სათვალომაქცო და საგრძნეულო

მიუწდომელი რამე ჰეონია!..

მე შემიძლია, ვსთქვათ, ჩემდა თავად

ეს მომაკვდავი გამოვაბრუნო (ათიობს გექადას).

და კარგის მოვლით და ხელ-შეწყობით

(ათიობს იათას) გადარეულიც ერთ დროს გავკურნო...

მაგრამ ვინ მომცა იმდენი ძალა,

რომ მე შევშალო წესი ბუნების:

აქ გავაცოცხლო მკვდარი იასირ

და იქ დიდება დავსცე ბერძნების?!

(მიუბრუნდება კარის კაცებს) თქვენ, კოლხელებო!.. წაი-

ღეთ მკვდარი!..

გადაუხადეთ რიგი და წესი!..

ოქრო და ვეცხლით შეჭედეთ მუხა,

მრავალ-შტოვანი და უდიდესი,

ზედ ჩამოჰკიდეთ უსულო გვამი, ¹⁸⁾

რომ ყოველის მხრით სცემდეს ნათელი!..

და გლოვის ნიშნად, ჩვეულებრივათ,

ტანთ შეიმოსეთ მხოლოდ წითელი!..
 წინ წაუძღვოლეთ კაბდელთა დასი
 ზორვით, კაბდურით, საყვირ-განგაშით,
 რომ მით მაღლა ცა დაკმაყოფილდეს
 და დედა-მიწა აქ ძრწოდეს შიშით!..
 ჩამოიწყვიტეთ ცველამ საკინძი!..

„ჰოი, შავ-დილავ“ დასძახეთ ზარად
 და მეც მოვიგლეჯ ჩემ თავ-საბურავს
 ნიშნად გლოვისა მარად და მარად!..

(მოიგლეჯს საბურავს, გარედან გალობის ხმა მოისმის. შამო-
 აქვთ ზარავანდედი და უკან ზორვითა და ანთებულ-კვარებით კაბ-
 დელები მოსდევენ, ხალხი ნელ-ნელა თავ-დაღმა ემხობა).

ფარდა ნელ-ნელა ეშვება.

შენიშვნები

1) ისტორიის წინასწარ თქმულობისა და მითების საშობლოთ საზოგადოთ საბერძნეთია ცნობილი!.. უმეტესობა დღემდისაც დაჯერებულია, რომ ისინი შექმნა ელლინების აღტყინებულმა ფანტაზიამ და შერე გადმოსცა მთელ კაცობრიობას. მაგრამ ჩვენ-კი დარწმუნებული ვართ, რომ, პირ იქით, ბერძნებმა გაიტანეს სხვა ქვეყნებიდან სულ სხვა ხალხების ამბები, შეისისხლ-ხორცეს, თავისებურად გადააკეთეს და ფერ-ცვლილი უკანვე დააბრუნეს. ამას ნამდვილათ გვიმტკიცებენ, სხვათა შორის, ძველისძეელი მითები „პრომეთეოსზე“ და „იაზონ-მედეიაზე“. ერთიცა და მეორეც ჩვენი ქვეყნის შეილია: აქ შობილან, აქ გაზღიულან და კოლხეთით ასე გადასულან ზღაპრულად ელლადაში. ავიღოთ პირველი: ბერძნების სიტყვით, „მთავარ-ლმერთისაგან“ ურჩიბისათვის გარისხული პრომეთეოსი კავკასიის ქედზე იყო მიბმულ-მიჯაჭვული. მიჩენილი ჰყავდა მტანჯველად ქორი, ანუ ორბი, რომელიც გულ-ღვიძლს უწიწნიდა, მაგრამ გმირი არ კვდებოდა; წყლული უმთელდებოდა, რომ ხელ-ახლოდ ეგლიჯა მის ჯალათს—უზარ-მაზარ ქორს—და საბრალო ტყვის სატანჯველს დასასრული არ ჰქონდა. ეს ამბავი საქართველოში, მთელ კავკასიაში სხვა-და-სხვა ვარიანტებად მოდებულია, განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ აქ პრომეთეოსი ამირანი ეწოდება. ბერძნულად სიტყვა „პრომეთეოსი“ ნიშავს „შორს-მკვრეტრელს“, აქაც ამირანს „შორს მხედ-

ველობას“ აწერენ: „ცაში არა გამოეპარებოდა რა და ქვესკნელში ჭიანჭველებს ხედავდათ“, გვარწმუნებს ზე-პირ გარდმოცემა. ბერძნები აღარ ამბობენ, თუ რა მან-ქანებით უმთელდებოდა წყლული პრომეთეოსს; ჩვენში-კი უფრო სრულათ არის გადმონაცემი: ერთი ვარიანტი ამ-ტკიცებს, რომ პატარა ფინია ძალი ულოკავდა წყლულს და ურჩებოდათ. მეორე ამბობს, რომ ქორის შემდეგ ყო-ველთვის ფასკუნჯი მიდიოდა, ფრთას უსვამდა და ჰკურ-ნავდათ. ბერძნების გმირი დაუბმელი დარჩებოდა, რომ ხერხიან კოჭლ გეფესტს—ერთ ღმერთთაგანს—არ შეეყარა მისთვის ბორკილი. ჩვენ გმირსაც ვერავინ მიაკრავდა ქედ-ზე, რომ არ გამოჩენილიყო ერთი გრძნეული კოჭლი მჰედელი. ამიტომაც საზოგადოთ მჰედლებზე გარისხებუ-ლი ამირანი დღესაც ცდილობს, რომ თავი აიშვას, აიწყვი-ტოს და რაც ქვეყანაზე მჰედლებია ერთად ყველას მუ-სრი გაავლოს... ეს ისე სწამთ, რომ დღესაც კიდევ მჰედ-ლები ჩვენში დიდ-ხუთშაბათ დილას სამჰედურში უზმოთ და უბრად სამჯერ ზედი-ზედ ურტყმენ უროს გრდემლზე, რომ ამირანის საჯაჭვო პალო ყოველ-წლობით გაამაგ-რონ ხოლმე და თავი არ ააშეებინონ!... ბერძნის მწერლე-ბი ამტკიცებენ, რომ პრომეთეოსი ამარანტის მთაზე იყო კავკასიაში მიკრულით. მესამე საუკუნეში ქრისტეს წინ ჯოვანი როდოსევდი ამტკიცებს, რომ მდინარე ფაზისი ამარანტის მთიდან გადმოდისო, სადაც პრომეთეოსი იყო მიბმული. რა მთა არის ეს ამარანტა ბერძნებისაგან მო-ხსენებული, რომ დღეს აღარ ვიცით? ეს ის მთა არის, რომელსაც ჩვენი ზეპირ-სიტყვაობა „ამირან-მთას“ ეძახის და სადაც ამირანი იყო მიბმული. აღარ გამოვუდევებით წვრილმან რამეებს, ჩვენი აზრის დასამტკიცებლად რაც ითქვა, ისიც საკმაოა. — მეორე ამზავი „იაზონ-მედიაზე“

კიდევ უფრო ამტკიცებს ჩვენ აზრს თავისის უეჭველობით. ელლინების გმირმა, თესალიის ბატონიშვილმა იაზონა შეჰყარა გმირი ამხანაგები, გააკეთებია ნავი „არგო“ და წამოვიდენ კოლხიდისაკენ, ვითომც და მათი ქვეყნიდან დაკარგულ ოქროს-მატყლოვან ვერძის საძებრათ. შემოცურეს ფაზისის მდინარეში შევი-ზღვით. იმ მდინარის პირად იყო საუცხოვო ქალაქი გაშენებული, რომელსაც „ე“ ეწოდებოდა. იქ იჯდა მეფედ „აეტი“, ჰყავდა ერთი ქალი „მედია“ გრძნეული, მამრდის გაზრდილი, იმ მამიდას ერქვა სახელად „თირთერა“ ანუ „ცირცეია“; ამან აწავლა თავის გაზრდილს ძმის წულს, მედის, გრძნეულობა და სხვა-და-სხვ, სამკურნალო, თუ საწამლავ ბალახების ხარშვა.. აქვე, აეტის სამთავროშივე იშვისოდა ის ოქროს-მატყლოვანი ვერძი, რომლის საძენებლათაც იყო იაზონი წამოსული. იაზონმა მედის დახმარებით მოიტაცა ის ვერძი და მედიაც თან წაიყვანა ცოლად. ამ ბერძნულ გაღმოცემაში როგორც ადგილის სახელები, ისე თვით ქალაქებისაც ერთი ყურის მოკვრით უცხოა, მაგრამ, თუ ჩაუკვირდებით, გამოდგება, რომ ყველა ჩვენებურია, „ქართული“, მხოლოდ მათებურად ბერძნულათ გადაიქორთულებული. რა წყალია ეს ფაზის, რომლის ღლეს სსენებაც აღარსად არის?.. — რა და რიონი, რომელიც ფასის მთიდან გამოდის და რომელსაც იმ სათავეში დღესაც ფასის წყალს ეძახიან. აქ გადასხვაუერებულიც არა არის რა. ბერძნული „ფაზის“ იგივე „ფასის“ არის. — რა იყო და რა ქალაქი იყო ბერძნების „ე“, საღაც წლის განმავლობაში მცნარე პყვაოდა? — ნაქალაქევი, ანუ ზღაპრული „იას“ ქალაქი, ის „იას“ ქალაქი, სადაც, ზღაპრის სიტყვით, „ლვთისავარ“ მონადირე მივიდა და ნახა, რომ ზამთარში იქ ია და ვარდი იშლებოდა. — ბერ-

ძნული „ეა“ და ჩვენებური „ია“ ერთი და იგივე უნდა
 იყოს. ვინ არის „აეტა“ მეფე? — კოლხეთის მთავარი, ის
 ქალაქში მჯდომარე „იათა“ მამასახლისი. ამ გვარ შემ-
 თხევევაში ქართული ენის ოვისებაა მრავლობითი რიცხვის
 ხმარება. თავის დღეში არ იტყვის „ზღვის მეფეო“, „ხმე-
 ლეთის მეფეო“ და სხვანი. ამბობს: ზღვათა მეფე, ხმელთა
 მეფე, ვარდთა მეფე, იათა მეფე და სხვანი. „აეტა“ და
 „იათა“ ერთი და იგივეა. ცირცეია და თირთეია ერთი
 და იგივეა, რადგანაც უცხოელები „თანს“ „სანათ“ გა-
 მოთქვამდენ ხოლმე. მაგალითად, პლინიუსი, 29—79 ამ-
 ბობს: კოლხიდაში არის ერთი მდინარე ცირცეი, რო-
 მელსაც ადვილობრივი მცხოვრებნი ცირის წყალს ეძახიან,
 შეგ რაც უნდა ჩააგდოთ გაქვავდებაო.

ეს წყალი დღესაც არის შორაპნის მაზრაში, ჭიათუ-
 რის მახლობლათ და ისევ იმ თერისების მექონეა. თირი
 ძველებურ ქართულათ ქვა არის, გათირგა — გაქვავებას ნიშ-
 ნავს. იათას დას სწამებდენ გრძნეულობას, რომ აღამია-
 ნის როგორც განკურნება, ისე გათირგა-გაქვავება შეუძ-
 ლიათ და მიტომაც დაურქმევიათ თირა, ანუ თირთას. ადვილი საგულისხმოა, რომ ეს ორი სიტყვა: თირთას
 და ცირცეია ერთი და იგივეა. ამგვარათვე აიხსნება სა-
 ხელი მედიაც. სიტყვა „ქალი“ მხოლოდ მერვე საუკუ-
 ნიდან შემოსულია ჩვენში. არაბულათ „ქალიმ“ ნიშნავს
 დედაკაცს, მანამდი ქართულათ დედა-კაცს „დია“ ერქვა.
 აქიდან წარმოსდგება სიტყვა: „დიახახლისი“ და კნინობი-
 თი „დიაუი“. ჯერ კიდევ დღესაც ბევრს შეხვდებით ჩვენ-
 ში, რომ „ქაცია“ ანუ „მევარ კაცი“, „ქალია“ ანუ „მე-
 ვარქალი“ ერქვას. — და თუ-კი „მევარ ქალი“ შეიძლება
 სახელიალ, რატომ „მედია“ კი არ შეიძლებოდა, რომე-
 ლიც ერთსა და იმავეს ნიშნავს? ჩვენი „მედია“, „მედეად“

გადაკეთებული „ბერძნულიდ“. რომელი ერთი მოვთვა-
 ლოთ? რამდენი რამ არის ბერძნებისაგან გადათარგმნილი
 ანუ გადაკეთებული ქართულიდან: მაგალითად, ჩვენი ქვეყ-
 ნის ერთი მდინარეთაგანის ბერძნული სახელი „ჰიპიუს“,
 იგივე ცხენის წყალი არ არის? ის „კვენაკრი“, რომელიც
 დასავლეთით უბერავს კოლხიდას, ე. ი. ჩვენს „კოლხეთს“
 იგივე „ქვენაკრი“ ანუ ქვენა-ქარი არ არის?.. „მოლი“
 სამუშალო ბალახი, რომელსაც მეღია აგროვებდათ,
 იგივე ჩვენებური მოლი არ არის?...

ძილის მომენტები წამალი მცენარეო... იგივე ძილის
გუდა სოკო არ არის, ჩვენ რომ ვეძახით? და მეგრელე-
ბი კი ლურსის გუდას ეძახიან, რადგანაც „რული“ ანუ
„ლური“ ძელებური ქართულია და მცირე ხანს წაძინე-
ბას ნიშნავს! ამ გვარ რამეგებს რომ გამოვუდგეთ, შორს
წაგვიყვანს და ამიტომ ჯერ თავს ვანებებით უფრო დაწ-
ვრილებით გამოკვლევას! ჩვენ გადაწყვეტილი გვაქვს „მე-
დიას“ ტრილოგიათ დაწერა... „მეღია კოლხიდაში“, „მე-
ღია ელლადაში“, და „მედია“ სამშობლოში დაბრუნებუ-
ლი. როცა სამივეს ერთად გამოცემთ, მაშინ უფრო
ვრცელს გამოკვლევას ჩავურთავთ ზემო თქმულის შესახებ
და დღეს-კი მხოლოდ იმას შევნიშნავთ, რაც საჭირო იქ-
ნება ამ პირველ ნაწილისათვის...“

2) როცა გამწარებული ამირანი ჯაჭვის გაწყვეტის
 და თავის აშვებას მოინდომეს და გაინძრევა, მაშინ
 იძრის ხოლმე დედა-მიწაცო, — ჰუკრობდენ ძელად კავ-
 კასიელნი.

3) ძელად კოლხელები ცის მნათოპებს აღმერთებ-
 დენ და მთიებსა სკემდენ თაყვანს, მაგალითად, მზეს, მთვა-
 რეს, ვარსკვლავთ გუნდს, ცის ბურჯებს, დილას, განთიადა
 და სხვათა. მათ-მათ შესაფერად უფალობდენ ლოცვის

დროს: „მზეშინას“, „თინას“, „ოდილას“, „შავ-დილას“ და სხვა. ეს მაშინდელი მათი საგალობელი დღესაც სიმ-ლერათ არის ჩვენში დარჩენილი.

4) კერპთ - თაყვანის - მცემლობის დროს მოფიცარს კერპის წინ ჩამოკიდებულ ზეარაკისათვის ტყავი უნდა გაეძრო, ანუ ანთებული ლამპარი გაექრო სულის შებერ-ვით. „ფუ“-ო უნდა შეებერა სული... აქედან წარმოსდგა სიტყვა „ფუცი“, ანუ „ფიცი“ და აგრევე ხატებისა და სალოცავების ჩამოტყავება, რომელსაც ხალხში დღესაც ხშირად ამბობენ.

5) ორთეოზ, საბერძნეთის გამოჩენილი მესაკრავე და მომღერალი, რომელიც ყოველ-გვარ ცხოველ არსებას ჰქიბლავდა. იაზონ რომ კოლხეთისკენ გამოემგზავრა თან იახლო და ისიც არგონაველებში ერიაო.

6) აქ ზოდიაკები, ანუ ცის ბურჯებია დასახელებული. „არეი“ ანუ „ვერძი“ განსაკუთრებით სალოცავი იყო კოლხელების და მარტო მის სახედ ჩამოსხმული ოქროს ვერძი ედგათ ბომონში.—მოსისხლე ღმერთად უწოდებდნენ „მარებს“ და ეჯერათ, რომ ის, თუმცა მრისხანე იყო, მაგრამ მასთანვე თავმდაბალი და მათ „ვერძს“ მწყემსავდა ცის ლავვარდში.

7) პინდარი. 522—442 ქრ. წინეთ. არგონაველები შევიდენ ფაზისში და იქიდან აეტის სამფლობელოში.

8) აპოლონ როდოსელი. 250—200 ქ. წინეთ. გზაში არგონაველებს თავს დასტრიიალებდა, როცა კავკა-სიის მთები გამოსჩნდენ, ერთი უზარ-მაზარი ქორი, რო-მელმაც ნავი „არგო“ დაჩრდილა. ის იყო პრომეთეოსის მტანჯველი ქორი.

9) ძველათ ეჯერათ, რომ ვისაც უეპრად ორბი თავზე დააჯდებოდა — მეფების იშოვნიდა.

10) ნადირობის ქალ-ლმერთი ბერძნების.

11) ხალიბები ბერძნულიად და ჩეენებურათ ქლიბები ქართველთა ტომის ხალხი, კოლხეთში სცხოვრობდენ ერთ ხეობად. ყველაზე პირველად იმათ დაიწყეს რკინის ხელობა. ესხილი 525—456 ქ. წ. აი რას ამბობს მათზე: „პონტის მარცხენა მხარეზე სცხოვრებენ რკინის მოხელე ხალიბები. აკეთებენ რკინის იარაღს, რომელსაც ქლიბი ჰქვიან და მოაქვთ ელლადაში გასაყიდათ.“ ამასავე ამტკიცებს არიან ნიკომიდელი: ყველაზე ადრე ხალიბებმა შეისწავლეს რკინის ხელობათ. დღესაც არის ისევე ჩვენში, რაჭის მაზრაში ერთი მთა, გული რკინის მაღისა აქვს და უხსოვარ დროიდან ირგვლივ მცხოვრებნი მჟედლობის მეტს არას აკეთებენ. ამ მთას ჰქვიან „წელისი“ ანუ „კედისი“.

12) ფსევდო-პლუტარქი. კავკასიაში იზდება პრომეთეოსის ბალახი; როგორც კლეანტი ამტკიცებს, მედეიაშ სამკურნალო ბალახსა ჰკრეულა. კლავდი კლავდიანი ვერ ქ. შემდეგ. მე კარგად ვიცი ჰოგიერთ ბალახებისა და მცენარეების შხამიანი წვენი, კავკასიაში რომ იზდებიან. იმას აგროვებდენ სასტიკი მედეია და ცბიერი ცარცუია.

13) პოლიდორი. 140 ქ. წ. პელეოსი ურჩევდა იაზონს, რომ ის წასულიყო კოლხიდაში ოქროს-მატყლოვან ვერძის საძებრათ.

14) კაბდელებს ეძახდენ ჩვენში კერპობის დროს მღვდლებს. (ლოცვის დროს) ისინი ზორვის დროს, ე. ი. კმევის დროს, ჰგალობდენ. იქიდგან წარმოდგა ჩვენებური სიტყვა „ზარი“ და „კაბდური“, რომელსაც დღესაც კიდევ აქა-იქ სამეგრელოში მღვრიან.

15) მთვარე სიყვარულის ღმერთათ მიაჩნდათ და საკოლ-ქმრო პირობასაც ძველათ მის წინ დებდენ.



16) აპიან. 150 ქ. წ. ადგილობრივი მცხოვრებლები კოლხიდაში ცხვრის ტყავებით იქცერდენ ოქროს სილას და ეს იყო ოქროს-მატყლოვანი ვერძი.

17) აპოლონ როდოსელი. 250—395 ქ. წ. რო-
დესაც-კი შენიშნა მედეიამ ცისკარი, დაიწნა თმები, იუ-
ხო სუნნელება და ჩაიცვა ძვირფასი ტანსაცმელი. თავი
მოიბურა თეთრი თავსაბურველით, ტანზედაც სუნნელო-
ვანი ზეთი იცხო, იახლო თორმეტი მოახლე, შეაბმევინა
თეთრი ჯორები, ვითომ-და გექადას საყუდარში სალო-
ცავად მიდიოდა, მაგრამ გაიპარა და პრომეტეოსის ცრებ-
ლებისაგან შეზავებული წამლებიც თან წაიღო.

18) ძველათ კოლხელები მხოლოდ ქალებს გარსებ-
დენ მიწაში და მამაკაცო-კი ხეზე ჩამოჰკიდებდენ ხოლმე.
ამას ამოწმებს ეჭიანი და ნიკოლოზ ღამისკელი.

ქუთათლის სიზმარი

(ისტორიული ოცნება)

I

სული წმიდის მოუენის ღამეს, სანამ საცისკრო ზა-
 რის პირველი წერიალი ქვეყნად გაისმოდეს, ზეცას ჩა-
 მოქვრენ ზარს და მაშინ ცა, გინდ მოღრუბლულიც
 იყოს, გადიყრის და გუნდ-გუნდი ვარსკვლავები თავს
 ჩენენ. ისინი არიან თურმე ჩვენი გმირ-მამა-პაპების
 სულები. იქედებიან იმ ძღვილის პირდაპირ, სადაც უკა-
 ნასკნელად მათი ღვაწლი დაგვირგვინებულა და მაღლით
 სხივებს აყენებენ. სხვათა შორის ერთი დიდებული მნა-
 თობი ქუთაისის ძველი ტაძრის ნაშთებსაც ზე ეგვირგვი-
 ნება და, ნათლის კიბით ქვეყნად ჩამოსული ანგელოსთ
 გუნდი, ხმა-ტკბილად დაგალობებს: „მიხსენ მე მტერთა
 ჩემთაგან, ღმერთო, და მათგან, რომელნი აღდგომილ
 არიან ჲემზედა, განმარინე მეო“. ის მნათობი არის ვარ-
 სკვლავი მთავარ-ეპისკოპოსის,—ანტონ ქუთათელისა. ან-
 ტონ იყო დიდებული გვარიშვილთაგანი, დედის ერთა,
 იმერეთში საერისთავოდ განძრახული, მაგრამ, როდესაც
 დედა მისის მოძღვრებით დროისა და ვითარების სა-
 კადრისად შეისწავლა ქვეყნის სიბრძნე, მაშინ მოინდო-
 ბა სულითაც განათლება და მიენდო მწიგნობართ-უხუ-
 ცეს ანტონ ჭყონდიდელს: შედგა ბერად და მალე ისე
 გამოიჩინა თავი, რომ ერთ-ხმათ აირჩია მთავარ-ეპისკოპო-

სათ და მიიღო ქუთათლობა. იმ დროს წმიდა მამებს
 დიდი გავლენა ჰქონდათ საეროდ ქვეყნის გულის მო-
 გებითა და ნდობის მოპოვებით. სამოქალაქო საქმეებსაც
 კი მათი რჩევა-კურთხევით აბოლობდენ. ანტონ ქუთა-
 თელსაც, რასაკვირველია, როგორც მათში ყოველფრად
 პირველს, ისე გატაცებული ჰყავდა სრულიად იმერეთი,
 რომ დიდებული, ზეიადი და შეუპოვარი გიორგი მეფე
 იძულებული იყო პატივი ეცა მისთვის, თუმცა მიქელ
 ქათალიკოსი-კი სხვებ ასმენდა და აგონებდა მასზე. საე-
 რო საქმეებით გარემოცულს ქუთათელს, საზოგადოდ
 დრო აღარ რჩებოდა, რომ თავი შეესვენებია და მხო-
 ლოდ ხანდახან, ლამ-ლამეობით შედიოდა იქვე, ტაძრის
 მახლობლად, სამღვდელ-მთავრო სახლის წინ გაშენებულ
 პატარა წალკოტში და ეძლეოდა მაღალ ოცნებას. იმ
 ხანებში მოუსვენარის მიქელ ქათალიკოსის შურის-ძიე-
 ბით გადააყენეს ჭყონდიდელი, ჩამოხადეს მწიგნობართ
 უხუცესობა და გაგზავნეს გარეჯის უდაბნოში. თვით
 ანტონ ბრძენმა გულ-გრილად იტვირთა ეს ახალი ხვედ-
 რი, მაგრამ ქუთათელი-კი ააღელვა მისი მოძღვრის უსა-
 მართლოდ გაუპატიურებამ!.. დღისით საქმეებს აყოლებ-
 და გულს, მაგრამ ღამით-კი გაუტყდა ძილი, შეციდა წალ-
 კოტში და იქ ფიქრობდა, როგორი ეპისტოლე გაეგზავ-
 ნა მეფის გიორგის დის რუსულანისათვის ჭყონდიდლის
 თაობაზე. ფიქრებმა გაიტაცეს: გაახსენდა უზრუნველი
 სიყმაწვილე, როდესაც საღამოობით დედის კალთაში ედეა
 თავი; დედაც თავზე უსეამდა ხელის, კოცნიდა და ზღა-
 რებს ეუბნებოდა!.. მოიგონა ის ზღაპარიც, თუ როგორ
 გაჩნდენ ქვეყნად ვარდი და ეკალი, რომელსაც დედა
 ათქმევინებდა ხოლმე პატარა ანტონს. ის ჩამოჯდა ქვა-
 ზე მუხის ძირში, მიეყრდნო ხეს, წარმოიდგინა, რომ

კითომც ახლაა ის დრო და მოპყვა ზღაპარს თავის გუნებაში: „იყო და ორა იყო რა, ორი ძმა კაცი იყო— „ერთგულა“ და „ორგულა“. პირველი ქვეყნის სამსახურსა და ერთგულებაში გაღარიბებული და მეორე კი — ორგულობით გამდიდრებული. უმეტესობის ჭიუა ფელშია და რაც შიგ არ ეჩირება, იმას ვერ ხედავს!.. „ორგულას“ ზოგი სიბრიყეით, ზოგი შიშით და ჰათრით, ზოგი ანგარიშით პატივს სცემენ და ხელს აფარებენ; „ერთგულა“-კი ყოველგან და ყველასაგან უსამართლოთ იჩინებოდა. ასე ლევდენ ეს ძმები თავის დღესა და ხოველს. მხოლოდ ეს-კი იყო, რომ „ორგულა“, რაც უფრო და უფრო მეტად ძლიერდებოდა, უფრო და უფრო შფოთავდა და მისმა გაუმაძლარმა გულმა არ იცოდა მოსვენება. „ერთგულა“-კი თავისთვის იყო გულ-უბიწოდ, წყნარად და თავისთავად მოსვენებით ერთათ დაიხურენ ორივე. „ორგულა“ იგლოვა ხალხმა, დიდი პატივით დაასაფლავა და მარმარილოს ფიქალი დაადგა ლოდათ. „ერთგულას“ სიკვდილი-კი ბევრს არ შეუტყვია!.. არც არავის უგლოვია: აიღეს, ჩააგდეს საფლავში და მიაყრეს მიწა სამაღლოთ. მეორე დღეს გაიარეს მწყემსებმა და ნახეს, იმ ახალ საფლავიდან უცხო ბუჩქი ამოსულა, რომელსაც შვენიერი ყვავილი გამოულია და ზედ ბულბული დაჭიკვიკობს. ის ბუჩქი იყო გვამი „ერთგულასი“, ყვავილები—მისი ქველი საქმეები და იმ ყვავილებს ფერს აძლევდა შიგ გამჯდარი, ქვეყნის საერთგულოდ დათხეული სისხლი და ოფლი. მისი ანგელოსიც ბულბულად შემოსხდომოდა და უგალობდა მის სულს. ნახეს, გაუკვირდათ და თქვეს: ეს რა შვენიერება რამ ამოგარდნილა საფლავიდან ასე უეცრათო? თქვეს და დაარქვეს იმ ბუჩქს „ვარდი“. იმ ხანებშივე ზოგიერთებმა შე-

ნიშნეს, რომ „ორგულას“ საფლავზედაც რაღაც მყრალი
 ბალახები ამოსულია და მწარედ იჩხვლიტებიან. ლოდს
 ქვეშ დაუბუდებია ბაყაყებს და საზარელი ხეით ყიყინე-
 ბენ. ის ბალახი იყო „ორგულას“ გვამი, მყრალი სუ-
 ნი—მისი ქვეყნიური ღვაწლი და ბაყაყიც—ეშმაკი. ნა-
 ხეს და გაუკვირდათ! თქვეს: ეს რა საშინლად იჩხვლი-
 ტებიანი? თითქმის კაცსა ჰქონდენი?! თქვეს და დაარჩევს
 „ეკალი“. ამ ზღაპრების მოგონებაში ძილი მოერთა
 მთავარ-ეპისკოპოსს და ნახა საკვირველი სიზმარი: „ქუ-
 თაისის ტაძარს ირგვლივ ცეცხლი შემოდებია, კამდის
 უწევს მისი ალი, მაგრამ საკვირველი ის არის, რომ მხ-
 ლოდ ანათებს და არასა სწვავს!.. საყდრის თავიდან გად-
 მომდგარა მეფე ბაგრატ-დიდი და ანიშნებს ქუთათელს,
 რომ ისიც იქ ავიდეს მასთან, მღვდელ-მთავარი ეთანხმი-
 ბა, მიღის, თამაშად აპოსტლს ალს და ადის ისიც საყდრის
 თავზე. იქიდან ბაგრატ გადაახედებს აღმოსავლეთისაკენ
 და დაანახებს, რომ გელათის ტაძარიც იმ გვარითვე გა-
 ნათებულია. ამ თა ტაძარს შუა ნათლის გზა არის გა-
 ყვანილი და ბაგრატს იმ გზით მიჰყავს გელათს მთავარ-
 ეპისკოპოსი. ამ ჰაეროვან გზაზე გაბედვით აღგმენ ფქვს
 ორივე და გადადიან გელათს. იქ დაუცვდებათ მეფე და-
 ვით აღმაშენებელი და უჩვენებს მათ საკვირველ სანახავს:
 დგას დიდებული კუბო და იმ კუბოდან უცრად ერთი
 რაღაც უცხო ფრინველი, მტრედის სიმშევიდის მექონი,
 გველის სიბრძნის და შევარდნის ჭვანგებისა, ერთს შეინ-
 ვარდებს ჰაერში და მერე გაექანება კავკასიის ქედისაკენ,
 სადაც მიჯაჭვულ ამირანს ყვავ-ყორანი აწვევია!.. გაუ-
 ქროლ-გამოუქროლებს იმ გუნდს, სრულიად გაპტანტას
 და გამობრუნდება ისევ... კუბო გაქრება!.. მის ნაცვლად
 დგას ოქროს ტახტი და ზედ მზეთ-უნახვად გადაქცეული

ფრინველი დაჯდება. ერთი მხრით ბაგრატ ამოუჯდება
 და მეორე მხრით—დავით. გადაცემენ სამეფო გვირგვინს
 ქუთალელს და ეტყვიან, რომ ის გვირგვინი იმ მხეთ-
 უნახას დადგას თავზე! ქუთათელი ასრულებს მათ სურ-
 ვილს, მერე მოიყრის მუხლს იმ დედოფლის წინ და უნ-
 და, რომ თაყვანი სცეს“. ამ დროს თავს დაჰკრაგს ძირს
 და გამოელვიდება. ამ უცნაური სიზმრით გაკვირვებულ
 შლილ-მთავარს მთელი ღამე აღარ დაძინებია: ლოც-
 ვი გაატარა და მეორე დღეს გაეშურა ქალაქისაკენ,
 რომ იქ ენახა თავისი მოძღვარი—ნაკუონდლევი ან ტონ
 —და მისთვის მეთქვა ის სიზმარიც. გზაში შეიტყო
 გიორგი მეფის გადაცვალება.

II

ძმაზე მგლოვიარე, შავით მოსილი რუსუდან დედო-
 ფალი მუთაქაზე იყო გადაწოლილი და ფეხთით უსხდენ
 დარბაისელთ ცოლები; მათ რიცხვში ჯავახიანთ ქვრივი ვა-
 ხახიც ერია.

— მაშ ასეა საქმე?! იკითხა დედოფალმა.

— დიახ, დედოფალო! — მოახსენა ერთმა ქალთაგანმა.
 სასახლის ნამოძღვრალს, სვიმონ მეუდაბნოეს აუხსნია ქუ-
 თათლის სიზმარი. ის უცნაური ფრინველი თამარ—გიორგის
 ასული—არის და, ხომ მოგეხსენებათ, თუ როგორ რწამს
 ხალხს ყოველი მისი სიტყვა—აღვლებით თხოვილობენ,
 რომ თქვენის ძმის დიდებულ ტახტზე დაჯდეს მისი ასუ-
 ლი თამარ. დიდებულებმა ხმა გაიკმინდეს და ურჩობას
 ველარ ბედავენ.

— კი, მაგრამ რა იციან, რომ ის უცხო ფრინველი,
 კუბოდან ამოფრენილი, ასული არის და არა და გიორგი

მეფისა? — ცბიერად სთქვა ვახახმა და გადახედა რუსულანს.
 — არა, ჩემო ვახახ! — უპასუხა რუსულანმა ღიმილით, —
 წყნარი და შშვიდობიანი თამარ დაუნიშნავს ზეცას და ჭვე-
 ყინა ურჩობას ველარ გაუწევს!.. ის მე შვილად გამიზღია
 და ჩემ უკითხავად ერთი ნაბიჯიც არ გადაუდგამს!. ამ
 დროს შემოვიდენ რუსულანთან დიდებულნი: ვარდანიძე,
 საღირიძე, ამანელიძე და სხვანი და მოახსენეს: „დღეს შენ
 ხარ თამარის მშობელი! ჩვენ ვიცით, რომ თამარი გონე-
 ბით სრულია და მისთან შენი მორჩილი. უბრძანე, რომ
 მწუხარება და მამის გლოვა იკვართოს და სამეფო ტახტი,
 თავის მამის სახსოვრად, ხელი მოჰკიდოს, განაგოს საქარ-
 თველო და დაიპყროს ტახტი მამისაო“! მაშინ ადგა რუ-
 სუდანიც და შევიდა თამართან.

III

ტფილისი ხალხს ველარ იტევდა, გარშემო გორები
 სულ მოფენილი იყო წვრილ-ფეხობით. შვიდ სამეფოში
 გამორჩეულთაგანი მისთანა აღარავინ დარჩენილა, რომ იქ
 არ ყოფილიყოს. უჩვეულო და საარაკო რასმე ელოდენ:
 სამეფო ტახტზე ადიოდა მეფე გიორგის ასული თამარ..
 მამიდა მისმა — რუსულან დედოფალმა — გამოიყვანა თერამე-
 ტი წლის შვენიერება და წყნარად დასვა ტახტზე. ქუთათელ-
 მა გვირგვინი დაადგა — „აი, ის მზეთ უნახავი, ქუთათელს
 რომ სიზმარში დაუგვირგვინებიაო!“ გაივლო ხალხმა გუ-
 ნებაში. რაჭის ერისთავმა კახაბერმა ხმალი შემოარტყა
 და თაყვანი სცა. თამარს სახე შეეცვალა, წამოდგა ზეზე,
 გადაავლო კრებულს თვალი, ნელა აიღო მაღლა ხელი და
 სთქვა: — „შიშველი ვიშევ და შიშველადვე მეგულების გას-
 ვლა ამიერ სოულით! მეც ერთი თქვენისთანა სამეფოს მსა-

ხურთაგანი ვარ, ბედმა .წილად მახველრა უდიდესი
 ტვირთი, რომელსაც დღეიდან კისრად ვიღებ ~~თქვენთან~~
 შეთანხმებით და თქვენისავე დახმარებით! ვეცადოთ, რომ
 დაბალი ავამალლოთ და მაღალი გავაძლიეროთ! (ა), ის
 უცხო ფრინველი, მტრედივით მშვიდიო, წაიჩურჩულეს ქა-
 ლებმა). ჯერ უნდა მოვუპოვოთ სამეფოს შინაგანი მშვიდო-
 ბა და პირველათ თქვენ მოგმართავთ, წმინდა მამებო! ორ-
 კეცია თქვენი მოვალეობა: აქ, ქვეყნიერად ვალდებული,
 იქ ზეცასაც პასუხისმგებელნი ხართ! სხვებზე მეტად უნდა
 იღებოთ და მეც თქვენგან მეტს მოვითხოვ (ა), ის უცხო
 ფრინველი, გველივით მეცნიერიო! — იფიქრა სასულიერო
 კრებამ). შემდეგ შინაგანი მშვიდობისა ვალდებული ვართ,
 რომ მოვიშოროთ გარეშე მტრი, ზოჯერ შემაწუხებელი
 ჩვენის სამეფოს ნაპირებისა, და თქვენ მოგმართავთ, გმირ-
 ნო, მამი ჩემის დიდებული მეფის გიორგის წინამძღოლო-
 ბით გაწვრთნილნო და გამართულნო! (ა), ის უცხო ფრინ-
 ველი, შევარდენის ჭვანგებითაო! — წარმოიდგინა ჯარმა), მე
 მსურს, რომ მიეცეს გზა ნიჭის და ფასი დაედვას ღირსე-
 ბას!.. გაირჩეს ერთგული და ორგული! ამისათვის მე
 ფათხოვ ზეცით მადლს და კურთხევას და ქვეყნათ თქვენს
 შემწეობასა და მორჩილებასაო!“ გაათავა და გადაავლო
 თვალი კრებას!.. მომლიმარ, ნათელ სახეზე ცრემლები მარ-
 გალიტებრ მოგორავდენ. თამარის შვენიერებით, დიდებუ-
 ლობით, საგულისხმო სიტყვით მოიხიბლა ერი!.. რაღაც
 უცნაურმა ძალმა გამსჭვალა... საოცარი მდუმარება ჩა-
 მოვარდა!.. ამ დროს სასულიერო კრებაში, ყველაზე წინ
 წამოდგა ღრმა მოხუცებული სეიმონ მეუდაბნოვე, თვით
 თმარის ნამოძღვრალი... უცნაური აღტაცებით ფერ-მიხ-
 დილმა დაიძახა: „გესმისთ მაღლით რეკაო?“ ყველამ ცას
 შეხედა, მარა ვერა გაიგონეს-რა სხვებმა; მხოლოდ შემ-

კრთალმა ქუთათელმა-კი უპასუხა: „შესმისო“! გააშეირა ხე-
 ლი პირ-და-პირ ისევ იმ მოხუცმა და თქვა: „ხედავთ იალ-
 ბუზს, როგორ იხრის თავსაო?“ მიიხედეს სხვებმაც და ვე-
 რა დაინახეს-რა!.. მხოლოდ ჰყონდიდელმა შეკრთომით
 მიუგო: „ვხედავო!“ „დიდ ხარ შენ, უფალოო!“ — შესხახა
 ჸეცას ბოლტელმა „და საკვირველ არია საქმენი შენ-
 ნიო!“ — დაუმატა ტფილელმა მიქელ კათალიკოსმა. „ლირს
 არს, ლირს არსო!.. — დაიძახა ერთხმად სასულიერო კრებაშ.
 — „გაუმარჯოს თამარ მეფეს, იდიდოს საქართველოო!“ —
 გადასხახა ჯარს სარგის მხარ-გრძელმა და ჯარმაც გაი-
 შეორა: „გაუმარჯოს, იდიდოს და გაძლიერდესო!“ — „მრა-
 ვალეამიერო!“ — სთქვა გამრეკელმა, აპუკა მთელი ერი,
 დასხახეს ერთხმად „მრავალეამიერ“ და ხმა გაისმა კიდით
 კიდე.

სიკვდილი

მაშ, ეს ყოფილა სიკვდილი... მეტი არაფერი?!.. ოვა-
 ლები დახუჭული მაქვს, მაგრამ ვსედავ, გული აღარ მი-
 ძერს და ვგრძნობ კი. გონებაც ისევ თავისავე რიგზეა.
 მხოლოდ სხეული დამდუნებია: ადგომა მინდა, ხელ-ფეხს
 ვეღარ ვანძრევ, ხმის ამოღება მსურს—ენა არ მემორი-
 ლება. ჰერე, მოდი და ირიკვე ახლა!..

მაღლობა ღმერთს!.. რა გაეწყობა!.. ვნახოთ მაინც,
 კიდევ რაღა იქნება?— „სიკვდილი წერააო“, ამჲობს ხალხი.
 „უმიზეზოდ მე არავის ვერჩიო“— უთქვაშს სიკვდილს და
 შართალიც არის.— ჩემი, სიკვდილის შიზეზი რაღა იყო?
 ანთება!.. ეს ანთება რამ-ლა გამოიწვია? აბა, დავუგდოთ
 ყური, საზოგადოება რას ამბობს?! „დაუდევარი კაცი იყო,
 თავის პატივი არ იცოდა, თბილად ვერ იცვამდა, ციც
 ოთახში იდგა, საზაფხულო ტანისამოსით დაიიღოდა და
 სხეანი“. ფიქ! ვერ უყურებთ?!.. ბრალს შევე მდებენ.! ახა-
 რებული თუ გინდათ, ეს არის, თქვენმა მზემ! „ვის არ
 უნდა თავი შეფერ და ცოლი დედოფლათო“! განა მე კი
 შძულდა ჩემი თავი, მაგრამ საშუალება?.. „არა ეგ ტყუი-
 ლია, მაგას რა ბევრი რამ უნდოდაო?“— სარწმუნოთ გაი-
 ძინან— „ჩვენთვის ეთქვა, ჩვენ მოვუხერხებდით მაგ საშუა-
 ლებასაო!“ ტყუიან, თქვენმა მზემ! ჩემებრ საწყლებს მე
 თვითონ რას გამოვართმევდი და მდიდრებისთვის რომ

შიმებართა—გამკიცხადდენ, სირცხვილში ჩამაგდებდენ და სირცხვილს ისევ სიკვდილი ჯობია!.. და რა აქვთ ნეტავ საბოლიშო? ან ადრე ვინ რას თხოვდა მაგათ და ან ახლა ვინ რას ესაყვედურება, რომ პირაქეთ მკვდარს მამტყუნებენ? ასეა აღამიანის ბუნება!.. თავისი თუ არაფერი ეხარჯება, თავის გამოაჩენას არა ურჩევნია რა!.. კუდაბზიკობა ცხოვრების ერთი ჭახრაკთაგანია. ეჭ, რაც იყო,—იყო!.. ახლა გვიან-ლაა ყველაფერი! მაღლობა ღმერთს, რომ ჭირისუფლები არ დამესწრენ, თვარა შეიქნებოდა ერთი „ვაი-უშველებელი“, ტირილი, ყვირელი, მოთქმა, თავ-ცემა... ყველაფერი, რასაც კი უგულო ჩვეულება მოითხოვს, და ის თქვენ მტერს, რაც მე დღე დამადგებოდა! სულით დავიტანჯებოდი!.. ახლა კი... მაგრამ, რომ არც ახლა-ფარ მოსვენებით! ეს აუარებელი ხალხი რომ შეკრებილა, რაო ჩემო? სიცოცხლეში არ უკითხავართ, ავათმყოფი არ უნახავართ და ახლა-კი თავს იტეხენ სიკვდილის შემდეგ?!.. სინანული? სინანული კი არა და ის კიდევ!.. რა ბძანება!.. ყველას თავ-თავის საკუთარი გულის საფხანი რამა აქვს და მკვდარს მიზეზათ მიღებს... მამადლის. ზოგი მხოლოთ მიტომ მოდის, დარწმუნდეს: მართლა მოვკვდი თუ არა? ზოგი ამბობს გუნებაში: ცოცხალი ხომ მინახავს და მინახავს, მოდი, ახლა მკვდარსაც დაგხედავ, როგორია! ზოგი რას ფიქრობს და ზოგი რას!.. ზოგიც მარტო ფეხის ხმას აჰყოლია!.. საზოგადოოთ-კი ყველა იმ აზრისაა, რომ უკანასკნელი ვალი უნდა მოვიხადოთო. დიდება შენ სახელს, ღმერთო! პირველი ვალი როდის ახსოვდათ, რომ ამ უკანასკნელს აღარ ივიწყებენ? მაგრამ ჩანს, რომ ეს მეორე უფრო ადვილი და გასართობი ყოფილა!.. ალბათ, ამის მიზეზია, რომ ხალხმა თავი მოიყარა და სახლში ტე-ვა აღარ არის... საკვირველია,—ხმა მაღლა ლაპარაკს ვე-

ლარავინ ბედავს მკვდართან!.. თითქოს ეშინოდესთ ჩე-
მი.. უკულმა სამართალი თუ გინდათ, აბა, ეს არის!..
სიცოცხლეში არავინ მერიდებოდა, მიყვიროდენ, უსამარ-
თლობით და ცილის წამებით მაყრუებდენ და ახლა-კი
მართლის თქმასაც ვეღარ იხერხებენ ხმა მაღლა!.. მხო-
ლოთ ჩურჩულობენ. დიახ, ჩურჩულობენ, მაგრამ, სული
ფხიზელი ყოფილა, ვერაფერს გამომაპარებენ... ყველაფე-
რი მესმის... „ჰეე! — ეს არის ჩენი სიცოცხლე? „მოვიდა
იქნოვრა, მოკვდა, წავიდა და გაქრა“! — თქვა ერთმა
შეუს კოლოფმა დიდი შეფერებით, თითქოს საკვირველი
რამ ეთქვას. — „დიიიაა! ეგ არის მსოფლიო კანონი!“
— უბასუხა თავის ქნევითა და თვალების გაძყეტით მეო-
რე და გაჩუმდენ. — „სამწუხაროა ახლანდელი ქართვე-
ლების მდგომარეობა: აი, ახლა ეს ნიჭიერი კაცი იყო,
მაგრამ უკულმართათ გაატარა თავის დღე და სოფელი!
ერც თავის თავს არგო რამ და ვერც ქვეყანას!.. შეე-
ლო დაწინაურებულიყო და კაცი გამხდარიყო! ახლა-კი
თითქოს არც-კი ყოფილიყოს ქვეყანაზე“, — ბრძანა ერთმა
ბობოლამ. — „მართალსა ბძანებთ, მაგრამ ეგ საზოგადო,
საყოველთავო სენია დღეს“, — მიუგო შეორემ და გავიდენ
მეორე ოთახში. „ღმერთმა აცხოვნოს, მაგრამ ცუდი ენის
პატრონი კი იყო: თვითონ არას გერჩოდა, მაგრამ, თუ
გამოიწვევდი, ერთს მისთანას გეტყოდა, რომ გულიდან
აღარ ამოგცილდებოდა!.. მაგის შიშით ხმა ვეღარ ამოგვე-
ლო!.. ნამეტანი იყო, მამეტანი!.. თავხედი, ბრიყვი, უზე-
ლი, შეუპოვარი!.. ეჭ, მაღლობა ლმერთს, მოცრანით...
გადავრჩით!..“ წაილაპარაკა ერთმა. — „რას დაფიქრებულ-
ხარ?“ — ეკითხება ერთი ვინმე ახალგაზდა გაქიღარებულ
პუბლიცისტს. — „ამაზე ვფიქრობდი“. — აძლევს პასუხს და
ათითევს ჩემკენ — „მაგის ნიჭის პატრონს შეეძლო ბევრი

ნაყოფი მოეტანა ჩვენი ქვეყნისათვის და უნაყოფიათ-კი
 ჩიიარა მაგისმა შრომამ! ეს სულ მისი ბრალია, რომ მე
 არას მიჯეროდა და თავის ნებაზე დადიოდა“.—კაცო,
 შენ ჩემი თქვა!.. არ დამიჯერა, არ იქნა, ვერ დავაწყებიყ
 ჩემებურათ წერა!.. ორმოც წელიწადს წერდა და ქარ-
 თული-კი მაინც არ იცოდა... ვერ ისწავლა!.. თუ არ
 გადავასწორეთ მაგის ნაწერები, კაცს არ წაეკითხება!..
 რაღაც უცნაური ენა... იმერული...“—ჩაერია მეორე.—
 „ეეჭ!.. ლირს კი გადასასწორებლათ? ასე არ მოიპოვა
 აზრი მაგის ნაწერებში, როგორც ურის სახლში მირონი!
 ცარიელი ღლაბუცობა და ლაზლანდარობა!..“—დაუმა-
 ტა მესამემ.“—„ეგ ხომ ყველა ვართალია, მაგრამ მაინც
 უნდა პატივით დავასაფლავოთ ქვეყნის დასანახავათ!..
 „მე სიტყვასაც-კი ვამზადებ“,—განაგრძო მეოთხემ.

— „მეც! მეც!..—მეც!..“ გაიმეორეს სხვებმაც და
 გავიდენ.—„რა გშვენის ეგ შავი კაბა“! წაულაპარაკა
 ერთმა ფრანტმა ახალ-გაზდა ქალს.—„იჰ, რა ღროსია?“
 მიუგო სიმოვნებით გაწითლებულმა ქალმა და ცბიერათ
 შეხედა.—„სიყვარულმა უდროობა არ იცისო!“—უბასუხა
 ფრანტმა და გაჩუმდენ. ამგვარი რამეები ბევრი მესმის—
 გულზე ვსკდები, მაგრამ სულს ხომ გული არა აქვს!..
 სსსუუ!.. აგრე პატიარი ბავშიც ეკითხება დედას: „დედი-
 კო, ახლა ღექვებს ძლილ დაწერს?“

— არა, შვილო! —უბასუხებს თვალ-ცრემლიანი დე-
 და,—ვეღარ დაწერს.

— ლატომ?

— რატომ და აქ აღარ იქნება, ფუფალისთან წავიდა.

— იქ ლას გააკეთებს?

— იქ... შეეხვეწება ფუფალის, რომ ნიკო გააბედ-
 ნიერე და კარგი კაცი გამოიყვანეო!.. შენი შუამდგო-

მელი იქნება, შეილო, და შენც ილოცე!... შეავეღრე
ლმერთს!.. პირჯვარი გამოისახე!—ი აგერ მღვდლებიც
მოდიან, პანაშვილი უნდა გადაიხადონ!..

გმადლობ შენ, უფალო, რომ ეს ერთი ჭირისუფა-
ლი მაინც გამჩენია აქ!.. ეტყობა, სოფლიდან არის ჩა-
მოსული.

აი, შეიმოსენ... სანთლებს არიგებენ.. ანთებენ!..
„მამაო!“— მიდის ერთი ახალგაზდა მღვდელთან და ეუბ-
ნება, „მამაო, მგონი, უცხო ენაზე აპირობთ პანაშვილის
გადახდას?“

— დიახ. მაშ როგორ!?

— აჲ, ნუ ინებებთ მაგან!

— კი, მაგრამ აქ ბევრი მისთანებიც არიან... რომ
არ იციან...

— მე მგონია, თქვენ მკვდრისათვის იხდით პანაშვადს
და არა ცოცხლებისათვის!—აწყვეტიებს სიტყვას.

— მკვდრისათვის?.. ჰმ, მაგისოვის სულ ერთი არ
იქნება? შენ მტერს ნურა გაუგია მაგან ვეღარა გაიგოს-
რა,—წაიბუტბუტა წვერ-ცამეტამ, მაგრამ აასრულა-კი,
ძალა უნებურათ, ახალგაზდის რჩევა. ამიგეს წესი!.. გა-
თავდა!.. შეიქნა ჩოქეოლი.

დამიპირეს გასვენება!.. მაგრამ წამოდგა წინ ისევ ის
ახალგაზდა და ამბობს: „მოითმინეთ, ბატონებო!.. უნდა ეს
ლექსი მოისმინოთ, სადაც განსვენებულის უკანასკნელი
სურვილია გამოცხადებული!“ ამოილო და წაიკითხა:

ა ნ დ ე რ მ ი

ოთხი ფერი კუბოსთვის
უბრალო, შეუძველეთა
და ოთხი მუშავ წამდება,
რომ გამასკენონ სედეთა!

առ զգութեանցին, առ սօրոց,
 առ առ այս բարեմանա
 առ մօնք!.. մռաւէ տնքակա
 մը եղանակ զամոցոն...
 —

մօնք, շռմ նազ մո քամեանեան,
 և առ այս սեց մզգաւոր!
 Կայտեցած միջանու պամեաւուս
 և ուղաց մայրուց կամտաւու...
 —

միջ սայցաց սեսօնիս լուռաւունուց,
 քայտեաւունուց ոյք մտարա
 և զարսէցաց զան կոչուց,
 մօնեցու մռաւեազ-ըստարյ;
 —

ջուլ-ջուլու զամաւունունուատ
 մանիմ մօնուցանու կյանարու,
 շռմ մօս մարաց նան-սալամյունու
 սոցաւունուն ջայցաւու յարու...

սալամու զարդու հօրունեմ
 հաւացնու համեցնեսու „նանու“,
 օյզը մասեաւունու ծանիյէնոյ
 մաս այտիմու ու նան!..

և մօնէն նարուու զգութեանատ
 յուտսար ջայսանա սեց ամես:
 ըստ մօրս սոցաւուն-սորունեան,
 ուրուց սույցու սամես...

ას მირჩევნაა ძვირფას ძეგლს,
უთველ გკარ სანახალას,
რომ იქ უშე-დღეს კედაგდე
მოზარდულ ქართულ-თაობას!

იქ თამაშობდეს, ცელქობდეს,
ქხორცებოდეს ქართველ კრს!..
და თავისუფლათ დამღერდეს
ძეგლებურ „მრაგალ-უამიერს“...

უცელამ ყური დაუგდო. მოისმინეს და სიცილი და-იწყეს. მხოლოთ მეთაურებმა კი თქვეს: „ახლა გვიან-ლა არის, მომზადებული ვართ, ხალხი ცერემონიას ელის, უცდის და ხომ ვერ მოვატულებო!.. ამას რომ ყური მოვაკარი, ვამეცინა გუნებაში: — არა, მეც თუ სულელი არა ვარ, სიცოცხლეში ვინ ამისრულა სურვილი, რომ სიკვ-დილის შემდეგ გამიგონონ-მეთქი!.. დამავლეს ხელი და გამიტანეს. დიდიალ ხალხს მოყეარა თავი; ქუჩები სულ გატენილი იყო, მაგრამ მწუხარება კი ვერავის შევატყვე — ისევ ქალებს, ბოვშებს და უბრალო მდაბალ ხალხს უფრო ეტყობოდა!.. სხვები-კი მოვალეობას იხდიდენ. უფრო მეტი სეირის ხალხი იყო!.. მე მგონია, ხახ-ჩობელაზე რომ ვინმე წაეყვანათ, მაშინაც ისევ ეს და ამ-დენივე ხალხი მოგროვდებოდა. სულ ტაატით მიმასვე-ნებენ... ეს გვირგვინები რაღა ოხრობაა!? გაგონილა ამ-დენი!? სიცოცხლეში გამირბოდენ და ახლა-კი უკან მო-მდევენ?.. „წმიიინდაააო ღმერთო, წმიიინდაააო ძლიიიე-როო!“ გალობს მოსწავლეთა გუნდი... ეს კი არა მწყინს!.. შშიობლიური რამ ხვდება გულს!.. მაგრამ, მაინც, ნეტა მალე გათავდებოდეს ეს მსახიობა!.. უჰ, როგორც იქნა!

ძლივს არ მიმასვენეს საფლავამდი!.. მაღლობა ღმერთს, ახლა კი ჩამდებენ პირლია საფლავში და მოვრჩები, მოვისვენებ!.. მაგრამ, რა ბრძანება!.. აქაც კიდევ ერთი ჭირი... უარესიც მემართება: მეხვევიან გარს, გაუკეთებიათ რაღაც მაღლობი ადგილი, დგებიან ზედ ვიღაც-ვიღაცები და ასაქაქებენ ენას!.. რას არ ამბობენ, ღმერთო ჩემო!.. „ჩაესვენა მზეო“, „დაბნელდა მთვარეო“, „მოწყდენ ვარ-სკვლავებიო“ და სხვანი. ასე გატლეკაც იქნება?!.. მერე, ვინ ამბობს ამ სიტყვებს, ასე ურცხვათ? სულ ის ხალხი, რომელსაც, სანამ ცოცხალი ეყუავი, ჩემი ლანძღვისა და ცილის წამების მეტი არა გაუკეთებია-რა!.. ჰე, ახლა კი მომასწრეს და კუდაბზრკაობენ! ოჯ, რა შეურაცყოფა ეს ამათი ფარისევლური სიტყვები და ცბიერი ალერსი!.. ამათ უნდათ, რომ მჭევრ-მეტყველობით თავი გამოიჩინონ და გული იჯერონ. უმ, ძლივს არ გაათავეს!.. მაღლობა ღმერთს!.. მაღლობა ღმერთს!.. ახლა-კი თავს მანებებენ!.. ძლივს არ გადავრჩი!.. აი, დახურეს კუბოს თავი... აქედენ... აკაკუნებენ... ჩამიშვეს სამარეში... მიწას მაყრიან... ახლა კი მშვიდობით, ჩემო სამშობლოვ!.. ვნახოთ იქ რაღა იქნება.

სამარეში სულიც თან ჩამყვა და გამიკვირდა. „ოი! ოიო! — შემომძახა ვიღაცამ — „ვინ ხარ რომ თავზე მაწვები და ქვლებს მამტვრევო?“

— თვითონ შენ ვინა ხარ, რომ მაგრე ოხრავ და კვნესი? — დავეკითხე მეც.

— მეე? დიდიხნის მკვდარი!.. აქაური მიწის შვილი ნუ გგონივარ! ჩემისათანებზე ნათქვამი: „სადაური სად მოკვდება, სად უთხრიან სამარესო?..“

— როგორც ვხედავ, მაგისთანა ანდაზა ერთი მეც მერგო ახლა: „ვერიდებოდი ლოლოსო, დამხედა სოფლის

ბოლოსო!“ მე იქ, მაღლა მეზარებოდი და შენ კი აქ, დაბ-
ლაც დამახვდი?

— ვინ მოგიწევია? მე აქ ჩემთვის, აგერ თოხმოცი წე.
ლიწადია, მარტო-მარტო ვწევარ და არავის შევუწე-
ბივარ.

— ჩემი ნებით არც მე ჩამოვსულვარ! რაღა გაეწყო-
ბა, უნდა მოვითმინოთ და გავიტანოთ ერთმანეთი; მაგ-
რამ ეს კი უნდა მითხრა: თუ მართლა ამდენი ხნის მკვდა-
რი ხარ, აქამდის გზა ვეღარ გაიგენი საიქოსკენ?

— ვიყავი, მაგრამ არ მიმიღეს... დამაბრუნეს, შენ
იქ სისხლში გასვრილ ხარ და არაუგო გაფიბანია!.. გაწ-
მენდა გეჭირვებაო. საუანონო დამდევს და აქვე გამომგზავ-
ნეს. ერთი საუკუნე უნდა დავრჩე და მერე უნდა კა გა-
ფუღვე გზას... ოკი წელიწადი კიდევ მიკლია, მაგრამ, ლვთის
მაღლით, დრო მაღე გარბის.

— ღმერთმა გისმიხოს და გზა მშეიღობისა მოგცეს!
მანც რას იკეთებ ამ ქვეყნათ?

— აზეთერს, დღე აქა ვწევარ და ღამე კი, დღე და
ლამის გაყრადან მამლის ყაულამდე, მაღლა დავტანტალობ.
როგორც მავნე და მოჩვენება, ხალხს ვაფრთხობ და ქვე-
ყნას ვაშინებ.

— ვერაფერი ხელობა გქონია! თუ იკი, მე რამდენ
ხანს უნდა დავრჩე აქ?

— ორმოც დღეს, რომ ცოდვილ დედამიწას საუკუ-
ნოთ გამოეთხოვო, მტერსა და მოყვარეს სათითოვოთ უნ-
და დაუარო, რომ ზოგს შენდობა მისცე და ზოგს შენვე
მოთხოვო. მაშინ გაიწმინდები და აქაური ქუჭყი საიქიოს
აღარ მიგყვებაო.

ამ საუბარში ჩენ კიდეც შამოგვალამდა. დღე-და-
ლამე გაიყარა და ჩემი მეზობელი ამოძერა მაღლა. მეც

თან ამოვყევი, მაგრამ ის თავისთვის წავიდა და მე ჩემ-
თვის. ყველაზე უმაღ მე ჩვენი სტამბისკენ გავექანე. მუ-
შები მოწყენით დამიხვდედ: ჩემზე ჩამოვეგდოთ საუბარი.

— ჰე, ახლა ხომ გეშველა? სულ იმის წუწუნებდი: იმის
ხელს ვერ ვარჩევ და ბევრ დროს მაკარგვინებსო! მორჩი
და მოისვენე“, — უთხრა ერთმა მეორეს.

— „შეკაცო, გულის წყრომის დროს რასაც კაცი
იტყვის, განა ყველა მართალია? ნეტა ის არ მომკვდარი-
ყო და მე შრომა ერთი-ათათ მომმატებოდაო“, უპისუხა
მეორემ. „მართალს ამბობ, მე და ჩემთა ღმერთმა! მეც შემ-
ხვედრია მისი სტატიის აწყობა, გამჭირვებია ამოკითხეა,
მაგრამ მაგიერათ ბოლოს სიამოვნებაც მინახავსო“ — დამა-
ტა მესამემ. „ახლა-კი ველარც მის სტატიას ავაწყობ და
ველარც სხვებისასო.“ „რატომთო? — კითხეს. „რატომ და
სტამბიდამ გამომაგდესო. ისეთი სტატია მოიტანეს განსვე-
ნებულზე, რომ მე აწყობა შემეზიზლა და უარი ეთქვიო.
ჯერ ვითომ ქებით იყო დაწყებული, მაგრამ ბოლოს კი
ისეთი ლანძლვით თავდებოდა, რომ ქებას აქარწყლებდა
და გინებას აორკეცებდაო. გამომაგდეს... რა გაეწყობა!
თუ ვიშოვნე სხვაგინ ადგილი, ხომ კარგი; თუ არა და შინ
გავუდგები გზას გურიისაკენ, ლომი ბევრი მეშოვება და
ლობიოო“, — თქვა, ამოიხვენეში და გაჩუმდა. მე მისმა სიტ-
ყვებმა შემაწუხეს. „ღმერთმა გიშველოსთ-მეთქი“ — გავისუ-
გუნებაში და გამოვედი გარეთ. პირდაპირ ერთი რედაქტო-
რისაკენ წავედი. რედაქტორი თავი მოეყარათ ყველა თა-
ნამშრომლებს. ერთი მათგანი რედაქტორის თანაშემწე-
ებუბებოდა:

— მაშ არ დაბეჭდავთ?

— არა!

— რა მიზეზია?

— ის, რომ ურიგობაა ახლა მაგისთანა სტატიების წერა! ისევ თფილია, ჯერ კარგათ არ გაცივებულა და შენ კი თავზე ქვა და გუნდას აყრი; ამას არც მტერი მოგიწონებს და არც მოყვარე.

— შენ სიცოცხლეშიაც არ ყოფილხარ მაინცა და მაინც მისი წინააღმდეგი და ახლა ხომ სულ... მომეცი ჩემი სტატია, რომ თვითონ რედაქტორს წავაკითხო... მოშენინდა მათი ყურის გლება და შევძვერი რედაქტორის ოთახში. რედაქტორი მოწყვენილი, მარტოთ-მარტო თავის თავს ესაუბრებოდა: „რამდენი ხანი ვიცნობდი და ჩემ დღეში მისგან პირადი წყენა არ მახსოვს. საზოგადოთაც, მართალია, ერთი მიზანი გვქონდა, მაგრამ ის სულ სხვა-გზით მიდიოდა და მე სხვით. ჩემი გზა იმას არც ერთხელ არ დაუქოლავს და მაშ რათ მძულდა? რათ შეჯავრებოდა? მაგრამ ენის მიტან-მოტანა რა საძაგლობა რამ არის! მუ-შს რომ გადაატანიო რამე ერთი სახლიდან მეორემდი, გრძა იმას გზაში მტვერი არ ეყრება და არ ჩირქიანდება? სეთივეა გადატანილი სიტყვა: სულ სხვა ფერით გადადის და სხვა ხორცით. გონებამ ეს ყველაფერი იცის, მაგრამ გული კი მაინც უსამართლო ენის ამყოლია. ეჭ, ვინ დაი-ჯერებს, რომ მისმა სიკვდილმა მე ასე გული მატკინა“!

ამ დროს მემოვიდა თანამშრომელი და გადასცა სტა-ტია. რედაქტორმა ჩამოართვა, გადაიკითხა რამდენიმე პწე-რი, წარბები შეკმუხნა, გადასცა უკანვე და წყრომით უთ-ხრა: „ამის დაბეჭვდა არ შაიძლება, შენ არ გესმის რა დროს რა უნდა. ეს სტატია რომ დაბეჭდილიყო, მე შენ რედაქტიაში არ დაგაყენებდი“. კუდ-ამოძუებული თანა-მშრომელი გამოვიდა გარეთ ბუტისტით: „მოდი და გაუ-გე ახლა მაგათ თავი და ბოლო? ხან ასე და ხან ისეო-ჩემ ჭირს, თუ არ დაბეჭვდვენ! ჩემთვის სულ ერთია: მარ-

ჯვნივ ვიქწები, თუ მარცხნივ. მეორე სტატიაც ხომ მზათა მაქვს ამ სტატიის წინააღმდეგი. იმას მეორე რედაქტიაში წავიდებ და სიხარულით დამიბეჭდვენ“. — თქვა და გასწია. დავედევნე მეც. რედაქტიაში დიდიან-პატარაიანა ყველა დიდი შეწუხებული დაგვიხვდა. ჯერ კიდევ თვალზე ცრემ-ლი არ შეშრობოდათ. რედაქტორს კრიკა აღარ ესნებოდა. თამამათ შევიდა დაწუნებული სტატიის ავტორი რე-დაქტიაში და ლიმილით გაუშვირა ხელი რედაქტორს. მაგ-რამ რედაქტორმა არ ჩამოართვა და უთხრა: „სხვა რო არა იყოს-რა, ორი შენი ხნის მაინცა ვარ და მაგრე მე-დიდურათ რომ მიტურტურებ ხელს, როგორ არ იყო, რომ უზდელობაა!..“

— „მე... მე... მე სტატია მოვიტანე მიცვალებულ-ზე“ — თქვა ცოტა შერცხვენილმა სტუმარმა.

— ქებაა თუ გინება? დაეკითხა რედაქტორი.

— რასაკვირველია, ქება.

— მაშ, არ შეიძლება დაბეჭდვა. წაილეთ უკანვე. თქვე-ნისთანა კაცების ქება-დიდება იმას სიცოცხლეშიდაც შე-ურაცყოფათ მიაჩნდა და ახლა ხომ საფლავიდან ამოღება იქნება. შერცხვენილი მწერალი გამოვიდა გარეთ, რეტ-დასხმულივით დადგა ქუჩაზე და ამოიხვნეშა: ჰელე! აღარუ იქით და ილარც აქეთ! ახია ჩემზე, რას ვერჩოდი განსვე-ნებულს? ერთი საწყალი ვინმე ვიყავო, ბრუნდი და მართა-ლი ყველა თავში მიფაჩუნებდა. იმან პირველათ შემნიშნა, თავზე ხელი დამისვა, გზაზე დამაყენა და მე კი ყელა-ლრე-ნით გადაუხადე? სულ ლუკმა პურის ბრალია. ღმერთმა დასწყევლოს სიღარიბე. არც ერთხელ საკუთრათ ჩემთვის მათრახი არ გადუქნევია, მაგრამ მისი შორს გატკოცილი შოლტი, როგორც მე, ისე ჩემისთანებს ბევრს პირდაპირ ხვდებოდა. აი, თუ გინდა ეს, რომელიც გულიდან იღარ ამომშორდა.

კისი არის და ან სადაურია?
შეცი, შეცი, კუდ-ქიცინა მურია!...

କେମି ଏଣ ମୋତ୍ରଦିଳି?... ତାଙ୍କୁରେ ଯମିଲ୍ଲାଗରିବା!..
ଏ ଯରତ୍ୟଂଲା, କ୍ଷେତ୍ରର, ପରିପ୍ରେସ ମ୍ହରିବା?!

კიდევ რო უკის!.., რადგან უცნაურდა
თათა, თათა, სალახანავ მურია!

ମଦ୍ଦର ଜ୍ଯୋତି ମନ୍ଦିରରେ ମାତ୍ରରେ ଶୁଣି,
କିମ୍ବା ଶିଥିରେ ନିଃଶ୍ଵାସରେ ମହିଳା!?

մաշնութեան կամաց առաջարկը կազմութեան մասին է:

კინც გააძლებს, მისი შინაურია,
იმას მონებს და კვდს უშენეს მურია..

ან კი რა ქნას? ბეჭებით უძლურია.
ქუცი, ქუცი! საცოდვეკო მურია!

ଲୁହୁରୁଦ୍ଧ ପୂର୍ବିନ୍ଦା ମୃତ୍ୟୁ,
ତୁ ଏକ ଶିଳ୍ପ ହୁ ଏକ ଅନ୍ତର୍ଗ୍ରହ ବ୍ୟାହରି...

„აი, ახლა ეს არავის არ შეეხება, მაგრამ ბევრს კი
 მისი სარკე გონია და შეც გულში ისრათ მესობა. ჩანს,
 რომ ალბათ შეც მურია ძალლი ვარ. ვიყო... ვიყო,
 ოლონდ-კი თავი როგორმე გავიტანო. პატრონი ძალლს
 ხან გაუჯავრდება, კარში გააგდებს, და ხან ისევ დაუძა-
 ხებს და მოეფერება. ძალლს რა უჭირს, სანამ ყეფა-კი
 შეუძლია და კუდის ქიცინი. ეჲ! ეჲ! წავალ ისევ ჩემ ძველ
 რედაქტირაში“... შემეზიზლა, მაგრამ მაინც შენდობა მი-
 ვეცი და გავექანე „პურ-ლვინოსაკენ“, რადგან ვახშმო-
 ბამაც მოატანა. იქ ნაცნობები ვახშმათ იჯდენ და მე მი-
 გონებდენ. ჩემი ნათქვამი გაიმეორეს, იცინოდენ, ხარხა-
 რობდენ და ღროს ატარებდენ. ერთმა მათგანმა აავსო
 სტაქანი ღვინით, წაუქტია თავი და თქვა: „ლმერთმა სა-
 უკუნო განსვენება მისცეს, სამასი მანეთი-კი გაყვა ჩემი
 საიქიოს, მაგრამ შენდობილი იყოსო“. შევხედე თვალებ-
 ში ურცხვათ მოტრაბახეს, მაგრამ რაღას ვიტყოდი.
 ლმერთმა ხომ იცოდა, თვითონ გამომართვა ერთხელ სამი
 მანეთი და აღარ დაუბრუნებია. სხვებმა, ვითომ ჩემ ნათ-
 ქვამათ, ანეკდოტები გაიმეორეს, მაგრამ ყველა ჩემი;
 არ იყო და რაც იყო, ისიც დამახინჯებული ლმერთ-
 მა შეგინდოს-მეთქი გავივლე გუნებაში გულ-ნატკენმა და
 თავის დასამშვიდებლათ წავედი პირდაპირ გულითად მე-
 მეგობართან. შევედი თუ არა ოთახში, ის ვნახე, რაც
 სიცოცხლეში მეჯავრებოდა. ჩემ გულითად მეგობარს სხვა
 ვინმე უჯდა გვერდით და ანუგეშებდა: „კარგია, კმარა,
 არ გშვენის მოწყენა. შენ ცოცხლებზე იფიქრე და მკვდა-
 რი ლმერთს ჩააბარე. წავიდა, მორჩა, გათავდა, ხომ ვე-
 ღარ დააბრუნებ!“

— შენ კარგათ იცი, ჩემო სიცოცხლევ, რომ მე ის
 შენსავით არ მყვარებია, ის მიყვარდა ისე, როგორც მახ-

ლობელი ნათესავი და შენ კი... — უთხრა ალექსით ქალ-
 ბა და ჩაუდვა ხელი ხელში. კაცმა ხელზე კოცნა დაუწ-
 ყო. მე გული დამწყდა და სხვა რომ ვეღარა მოვახერხე-
 რა, ფენჯერზე დავაკაუნე. შეკრონენ, წამოცვინდენ ზეზე,
 კაცი მოდგა ფენჯერთან და, რომ ვერა დაინახა-რა, თქვა:
 ჩიტი უნდა ყოფილიყოს. გაბრუნდა და ისევ ალექსი
 დაუწყო ქალს. მე კიდევ პირვანდელზე უფრო ძალუმათ
 მივეხალე და მივეხალე ფენჯერს. მაშინ-კი მართლა და-
 ფეხებული ქალი გულში ჩაეკრა კაცს და იმანაც გასამ-
 ხნევებლათ ხელები მოხვია. ვთქვი: თუ ასე ვაფრთხე ესე-
 ნი, მე სანუგეშოს ვერას ვნახავ-მეტქი- მოვსხლტი გულ-
 შეწუნებული და ისევ საფლავში ამოვყავი თავი. ამ პირ-
 ელმა დღემ ბევრი ვერა მასიამოვნა რა, მეორე ლამეს,
 მესამეს, მეოთხეს... ორმოცი დღის განმავლობაში სულ
 დავიარე, რაც ამ ქვეყნათ ნაცნობები მყავდა. ღმერთო,
 რა არ ვნახე? რა არ გაეიგე? მტრებიც და მოყვრებიც
 სულ სხვა თვალით დავინახე. ავიც და კარგიც მხოლოთ
 ახლა გავარჩიე. იმათ ამბავს, ერთხელაც იქნება, მოგახსე-
 ნებთ; მაგრამ ახლა-კი ყველას შენდობა მოვთხოვე და
 გამოვეთხოვე ქვეყანას. მეორმოცე დილას მომიკითხა
 სულთა მხუთავმა, შემიგდო ტრთაზე და გამაქანა საიქოს-
 კენ.

ამიტაცა სულთა მხუთავმა და გავფრინდით!.. მთვა-
 რეს აცილდით, ვარსკვლავებს გვერდი ავუარეთ და მი-
 კაწყდით ერთ მნათობს: „აქ არის ქართველების სავა-
 ნეო“! — მითხრა ჩემმა წინამძღვარმა და შემიუვანა წალტო-
 ტში. ქვეყნიურ ოცნებას არ შეუძლია წარმოიდგინოს
 მისი სიკეთე!.. თვალ-გადუწვდენელ ტალავერში ტახტზე
 იჯდენ ორ პირათ მეფე-დედოფლები. ყველაზე პირველი

ადგილი ეჭილა კაცებში, დავით აღმაშენებელის, ქალებში თამარ მეფეს. მათ მახლობლათ იყვენ: ვახტანგ-გორგ-ასლანი, ორი ბაგრატი, გიორგი ბრწყინვალე და სხვანი... რიგ-რიგათ იყვენთ ჩამწურივებული ლირსების და გვარათ; ზოგიერთები ისე შორს იყვენ, რომ ბუჩის აღნათაც აღარ მოჩანდენ... ირაკლი ვერსად შევნიშნე და, რომ ვიკითხე, ისე მითხრეს: „სარდლების გუნდში გადავლა ინგბაო“!.. — გიორგი-მეთქი? — „გიორგის მუცელი სტკივა და გორავს სულ ბოლოშიო“.

როცა მიმიკანეს, თაყვანი ვეცი მეფეთა-მეფეს. დიდებულმა ჯერ ვინაობა გამომყითხა და მერე მიბანა: „რასა იქმს და როგორ არი ჩემი ქირნახული ქვეყანაო?“ — შემიძლია, ბევრი რამ მოგახსენოთ მის დიდებულ და საქებარ წარსულზე; აგრეთვე ბევრი რამ გიმახარობლოთ და გიწინასწარმეტყველოთ მის საიმედო, უეჭველ მომავალზე, მაგრამ აწმყოზე ნურას მკითხავ, ჩემო ხელმწიფევ!“ შევევედრე მე.

როგორ გეტყობა, რომ იმ ქვეყნიდანა ხარ!.. უზდელო, წარსული ამბავი ჩვენ უკეთ არ ვიცით! მოძავალსაც შენ ჩვენზე უკეთ როგორ დაინახავდი იმ ქვეყნიურ ხორციელი თვალით? შენ მხოლოთ იმას გეკითხებით: დღეს რასა იქმს ჩვენი ქვეყანა?

— ვაი თქმასა და ვაი უთქმელობას!.. მოყვარეს რომ უნდა, ისე აღარ გახლავთ, მაგრამ არც-კი ისეა, როგორც მტერს უნდა.

— მაინც?

— რაღა მაინც!.. ლვთის წყალობითა და რუსეთის მეცადინეობით ნელ-ნელა ილვიძებს, მაგრამ ჯერ კიდევ მაგრათ ვერ დამდგარა ფეხზე.

— რატომ?..

— მოგეხსენებათ, ახლათ გამოლვიძებულზე, სანამ კარგათ გამოირკვევოდეს, კაცი ბატბაცებს და უსწორ-მასწორათ ადგამს ბიჯს. და როდესაც მოიმარჯვებს ძალ-ლონეს, მართლ-მორწმუნე ერის შემწეობით... გამობრუნ-დება, გასწორდება.

— მაშ ჩემი ძველი ტაძრები, ჩემი ციხე-ქალაქებიც, მტრის ოხრებულები, ისევ ხელ-ახლა გაახლდებიან?

— უეპველია, რადგანაც საძირკველი მთელი აქვთ!..

— ჩვენც მაგის იმედი გვაქვს!.. ღმერთში ხელი მოუმართოს ყველას, ვისაც-კი ჩვენი საქართველოსათვის კე-თილი სურდეს!.. სხვას კიდევ რას იტყვი?

— თევზის ანდაზას.

— ჰო, შენით არ გინდა რომ თქვა?

— კარგი იქნება, თუ თქვენვე მკითხავთ და მაპასუ-ხებიებთ.

რომ მომისმინა დავით ალმაშენებელმა, ფიქრში ჩა-ვარდა და, ცოტა ხნის სიჩუმის შემდეგ, მიუბრუნდა თა-მარს:

— დედოფალო-მეფეე! შენ, მხოლოთ შენ, შეგშვე-ნის, გამოპყიოთხო დაწვრილებით ქვეყნის ამბავი ამ ახალ მოსულს.

თამარმა ღიმილით შეხედა, თითქოს შუქი მიაფინაო და მიუგო.

— ღიდებულო მეფეთ-მეფეე! მხოლოთ ერთათ ერთი შზის ელვარება პფანტავს ბნელს და აყენებს დღეს. მთვა-რე მხოლოთ ბნელში კაშკაშებს და წყნარათ ისვრის სხი-ვებს, იმ სხივებს, რომელიც მზისაგანვე წყალობათ მიუ-ლია. ჩემი შუქი თქვენივე ანარეკლი ელვარებაა!

— არა, ჩემო ღირსეულო შვილის-შვილო! მე, როგორც მამასახლისს, საუნჯე გარედან შემიკრებია და ოჯახში შემომიტანია; შენ, როგორც ქვეყნის შესაფერ დიასახლისს, მიგილია, შეგინახავს, მოგივლია და სწორი თავდარიგი მიგიცია. შენ უჩემოთ და მე უშენოთ თითო სრული არ ვექნებოდით, ნახევარ-ნახევარი დავრჩებოდით. ისეთივე პირველობა შეგვერის მეფეთა შორის, როგორც მე, და მაშ, შენი ჭირნახული ქვეყნის ამბავი შენვე გამოჰკითხე.

— უმჯობესია, ჩემო მწყალობელო, ჩვენმა კარის კაცებმა ყველამ თავ-თავის ხელობის შესახებ გამოჰკითხოს და ჩვენ მოვისმინოთ.

მოეწონა ეს რჩევა დავით ალმაშენებელს და გაგზავნეს შიკრიკი სარდლების გუნდში: „უპირველესი მათგანი გამოცხადდეს“.

დაბრუნდა გაგზავნილი და მოახსენა: „სარდლებში დიდი უთანხმოება გახლავთ, ბატონი! პირველობას ერთი-მეორეს უთმობენ, მხარებრძელები გამრეკელს, გამრეკელი კახაბერს, კახაბერი—კიაბერს და ყველა ერთათ-კი—გიორგი სააკაძეს შეჰყურებენ; მაგრამ გიორგი სააკაძე შორს იჭერს თავის პირველობას.

— თავმდაბლობა გმირთა ბუნება! ბძანა ალმაშენებელმა და გაჩუმდა.

— რადგანაც ისინი ვერ შეთანხმებულიან, კანონის მდებლებს მივანდოთ და იშათ გადაწყვიტონ ეგ საქმე, ურჩია თამარმა.

წინ წამოდგენ ალბულა ათაბაგი, გიორგი ბრწყინვალე და ვახტანგ მეექვსე; შევიდენ სარჩიელში, მაგრამ იმათშიაც უთანხმოება მოხდა. ალბულას და გიორგი ბრწყინვალეს ვახტანგ არ დაეთანხმა.

— რა ამბავია? — ბძანა აღმაშენებელმა. — აქაც აღარ
იშლიან ქართველები თავის იმ ქვეყნიურ ჩვეულებას?

— მეფეთ-მეფეო! მოახსენა ვახტანგმა, ესენი ახახე-
ლებენ გიორგი სააკადეს. მართალია, ის გასაოცარი გმი-
რი იყო და „მისი საქმენი საარაკონი“, მაგრამ მის ღვაწლს
ჩრდილი ფარავს.

— არა! შემცდარი აზრია! — თქვა გიორგი ბრწყინვა-
ლებ, — მართალია, დიდი მოურავი სპარსულ კაბას იცვამდა
და თათრულ ჩალმას იხვევდა თავზე, მაგრამ ის ყოველ-
თვის და ყოველგან მაინც ქართველი იყო. სამშობლოს
სიკარულით უძგერდა გული და მზათ იყო სულიც შე-
ეწირა; და თუ მისმა ღვაწლმა უნაყოფოთ ჩაიარა, ამის
მიხეზი უფრო სხვები იყვენ; მაშინ, როდესაც ის თავი-
სი ვაშკაცი შვილებითა და მცირე გუნდით საარაკო საქ-
მებს ჩადიოდა, მოხმარების ნაცვლად სხვები ხელს უშლი-
დენ. თვით თეიმურაზ პირველი შტვირის გუდით კარი-
კარზე დაწანწალებდა და როცა ქართლ-კახეთს შავი დღე
ადგა, ის იმერეთში „შაითარვანიას“ ლათაიობდა. არა
თუ ქართლ-კახეთს მიაყენა ჭირი მისმა კარ-და-კარ სია-
რულმა, თვით იმერეთიც გარყვნა, მისი დამოუკრებით.
მისმა ასულმა დარეჯანმა აურ-დაურია მთელი დასავლე-
თი საქართველო და თითქმის სასოწარკვეთილებამდის მი-
იყვანა. ამისთანა დროს მეტი რაღა ექნა გიორგი სააკადეს?
ქვეყანა მას ტყუილა ადებს ბრალს.

— კი, მაგრამ სპარსელები ხომ იმან მოიწვია? თათ-
რებს ხომ ის გპატიეჟბოდა? გარეგნობით ხომ შეცვლი-
ლი იყო? იკითხა ვახტანგმა.

— მართალი არის, მაგრამ ეს სულ მოსატყუებელი
მოჩვენება იყო. თვითონ შენ არ იყავი, რომ ფრანგობა
გინდოდა მიგელო? გათათრებითაც გათათრდი, მაგრამ შენ-

ხე ექვი არავის შემოუტანია, ერთგულებათაც ჩაგითვა-
ლეს ეგ შენი გადასხვაფერება—ძმიტომ, რომ შენ შეფე
იყავი და ის-კი უბრალო კაცის შვილი.

აქ დიდი უთანხმოება მოხდებოდა, რომ თამარ არ
ჩარეულიყო და არ ებძანებია: „მეც თანახმა ვარ გიორ-
გისო! მოიყვანეთ სააკაძეო“!

წინ წამოდგა სიმღაბლით სააკაძე, საოცარი და სა-
ოცნებო თვალ-ტანადი მოურავი. შევხედე თუ არა, მა-
შინვე გამევლო გუნებაში: „აი, ეს ყოფილა რუსთველის
ტარიელი-მეთქი „მთელი მისი დღევანდელი ჩამოშავლობა
რომ ერთათ შეაწევოთ, მის ფეხის ფრჩხილათაც არ გა-
მოჩდებიან“. იმას უბძანეს, რომ გამოეკითხათ ჩემთვის
ქვეყნის ამბავი. ისეთი თვალით-კი შემომხედა, თითქოს
უნდოდა შეეტყო, ეს ჭია-ლუა საიდან მოთრეულოა და
ცალყბათ მკითხა: „რასა იქს დღევანდელი ქართველობა? ხომ
ისევ ისე ძველებურათ არის?

— აღარ, ბატონო! თავი უწვრილდება, გული უპა-
ტარავდება და მუცელი უდიდედება, ვუპასუხე.

— ჰმ! ვაშკაცათ კიდევ ვარგან?

— რატომ არა? თავისიანზე გულ-დიდი გახლავან,
გარეშეების-კი შიში აქვსთ.

— იარაღს როგორ ხმარობენ?

— ძალიან კარჯათ! როცა ლხინში არიან, ძალიან
გამბედავათ აძგერებენ ხოლმე ერთი-მეორეს. შინაურო-
ბაში თავს არ იზოგვენ, მაგრამ გარეშემ თუ შემოუძახა,
მაშინ-კი ხელის კანკალი მოუდით ხოლმე.

— მაში, დღეს სახელგანთქმული გმირი აღარავინა
გყავსთ?

— როგორ არა? დარჩია, მიქელაიშვილი, დათუნა-
შვილი, კურუა და სხვანი.

— მადლობა ლმერთს! მათი ლვაშტლი? მათი გმირობა?

— დიდი და შესანიშნავი! თუ საღმე შეიგულებენ ქვრივ-ობოლს, უიარალოს, უძლურ დედაქაცს, მაშინ ძალიანს ვაჟკაცობას იჩენენ! თავს დაესხმიან ხოლმე და გაურცვენ.

ეს რომ ვთქვი, ვეღარ მოითმინა ვახტანგ რჯულის მდებელმა და მომაყვირა:

— კანონი და სამართლი?

— აბრუნდ-ჩაბრუნდიზე ტრიალებს, მათ უფრო, რომ ცრუ-მოწმობა კანონათ შემოვიდა; ცრუ ფიცი — აბაზათ ლირს.

— როგორ თუ ცრუ ფიცი? მომიძახა ერთმა წვერო-სანშა, — სარწმუნოება?

— ისიც სხვა გზით მიდის. დღეს აღარც ლოცვაა და აღარც მარხვა. ადრე რომ ზარები „მოდი-მოდის“ იძხოდენ, ახლა „წადი-წადის“ გაიძახიან.

— ეს სულ ცუდი აღზდის ბრალი ყოფილა! და რას შერებიან ქალები? ნუ თუ აღარ არიან ცოლები, დედები და დები? — იკითხა შეწუხებით თმარმა.

— გახლავან, დედოფალო! გახლავან, მაგრამ სულ სხვანაირათ გაიმლერიან.

— განათლებული თაობა? — იკითხა პეტრიშიმ.

— განათლებული თაობა ჯერ ისევ ჩრდილშია... რა-საც სხვაგან გაიგონებენ, სულ იშას იმეორებენ, თავისთა-ვათ ვერაფერს ვერ ახერხებენ. არც ერთი მათგანი კა-ტათ არ ჩაიგდება, მაგრამ ლომობას-კი ჩემობენ. როცა საქმე მოითხოვს შრომას, ერთი ალთას გარბის და მეო-რე ბალთას. უბრალო თავმოყვარეობას და თავის პაწაწ-კუნა პირადობას ქვეყანას და ქვეყნის საქმეს მსხვერპლათ წირვენ. გული კუჭი გონიათ და თავი — ფეხები.

აქ ისე გამიტაცა ლაპარაკის სურვილმა, რომ, ვგონებ, ერთს წელიწადებაც ვეღარ გავათავებდი მათ შესამკობელ იამბიკოებს, რომ ვიღაც მოხუცი არ გამომხტარიყო და არ გაეწყვეტინებინა სიტყვა... ის იყო თურმესაბა-სულხან თრბელიანი. გულდაწყვეტილი მიუბრუნდა მეფეებს და მოახსენა.

— როგორ გეკადრებათ ამის ყურის გდება! არ იცით, ეს ვინ არისო? მე რომ სიბრძნე-სიცრუეში ყია-მყრალა მყავს აწერილი, ის გახლავსთო და სულ უსიამოვნო რა-მეს ლაპარაკობს, თვარა ღმერთმა ნუ ქნას, რომ საიქო ასე გაფუჭებულიყოსო.

ეს რომ მოისმინეს, დავით ოლმაშენებელმა ულვაშებ-ში ჩაიცინა; თამარმა გაილიმა და თქვა: სწორეთ მართალი უნა იყოსო! ეს აქაურობასაც აურევსო და ისევ გა-აგდეთ იქითკენ, საიდანაც მოსულაო. თქმა და გაგონება ერთი იყო. გამოცვინდენ აქედან, იქიდან ბოქოულები, მტაცეს ხელი, ერთი მისთანა პანლური მჩანთეს, რომ სულ ბზიალ-ბზიალით წამოვედი მაღლიდან, გამხდა ბრევე მი-წაზე და კიდევაც გამომელვიდა.

სულიძო

საუკარლის საფლავს კუძებდი,
 კერ გნახე!.. დაჭარგულიყო!..
 გულამთსკვნილი გნიოდი:
 „სადა ხარ, ჩემო სულიძო?!”

კერდში კარდი შეპნიშნე,
 ობლათ რომ ამოსულიყო;
 გულის ფანცჭლით კერთსაგდი:
 „შენ ხომ არა ხარ სულიძო?!”

ნიშნად თანხმობის კოკობი
 შეირსა... თავი დახსრო,
 ცეცრ-მარგალიტი რიური
 დაბლა ცრემლებათ დაყარა.

სულ განაბუღი ბუღბუღი
 ფოთლებში მიძალულიყო,
 მიკესმატებილე ჩიტენას:
 „შენ ხომ არა დარ სულიძო?!”

შეიფრთხიალა მგრასანმა,
 უკავილს ნისკარტი შეახო,
 ჩაიგვნეს-ჩაიტეიგა,
 თითქოს თქვა: „დას, დასხო!“

დაგვქათქათებდა კარსკელავი,
 სხივები გადმოსულიყო,
 მას შეკეპთხე შეზრდევით:
 „შენ ხომ არა ხარ სულიძო?!”

დასტური მომცა ციმციმით,
 სხივები გადმომაჟარა
 და იმ დროს ყურში ჩურჩულით
 ნიაკმაც ასე მახარა:

„ეგ არის, რასაც ეძებდი,
 მორჩი და მოსკენეო!
 დღე დაიღამე აწ ტკბილათ
 და ღამე გაითენეო!“

„სამათ დაშლილა ის ერთია:
 გარსკვდაგათ, ბუღბუღ, გარდათო,
 თქმენ ერთმანეთი რადგანაც
 ამ ქვეუნათ შეგიუგარდათო.“

მენიშნა... აღარ დაკეტბ
 საუკარლის ჭუბო-სამარეს,
 აღარც შეკჩივი ქვეუნას,
 აღარ კლკრი ცრემლებს მდუღარეს!..

ბუღბუღს უურ კუგდებ, კარდს კუნოსავ,
 გარსკვდაეს შეკეურებ ლხენითა
 და, რასაცა კერძნობ მე იმ დროს,
 კურ გამომითქვამს კნითა!

ისევ გამესსნა საცოცხლე,
 დღემდი რომ მწარეთ კრუღ იყო,
 ახლა კი კიცი, სადაც სარ:
 სამგან გაქვს ბინა, სულივე!

მ ა ვ მ ე თ ი

ეთნოგრაფიულა, სტატისტიკურა და მატოლიული

წერალი.

საგეოგრაფიულ მეცნიერება უნდა გა-
 მოტყეფეს, რომ ოსმალეთის საქართვე-
 ლოს ზოგიერთ ნაწილს, როგორც, მა-
 გალითად, შევტეს და მთიან ლაზის-
 ტანს, ნაკლებათ იცნობს, ვინემ შიდა
 აფრიკას.

სამი თვე ისმალეთის საქართ. გ. გ.

I

ისტორიიდან ვიცით, რომ ძველათ შევშეთი შეად-
 გენდა კლარჯეთის ნაწილს; კლარჯეთად იწოდებოდა
 მთელი დასავლეთი საქართველო სამხრეთ-აღმოსავლეთ
 სომხეთის და დასავლეთ-საბერძნეთის საზღვრამდე. დასავ-
 ლეთ - საქართველოს ნაწილი ცხადათ. არის აღნიშნული
 ლენორმანის შეთერთმეტე ქარტაზე. შევშეთს ძველს ქარ-
 ტებშიაც საკმარისი აღგილი უკავია და, თუ საღმე დასავ-
 ლეთ საქართველოს აღგილები-კი არის მოქცეული¹⁾, იქ
 თქვენ შევშეთის მდებარეობას თვალ-და-თვალ შენიშნავთ,
 რადგანაც შევშეთი დასავლეთ საქართველოში ერთ უმთავ-
 რეს შესანიშნავ კუთხეთ ითვლება.²⁾

¹⁾ საქართველოს ისტორია დ. ბაქრაძისა, გამოცემა 1890 წ.

²⁾ ქართლის ცხოვრება ნაწილი პირველი.

შავშეთი შესანიშნავია ყველაფრით: ბუნების, არქეოლოგიის, გეოლოგიის, მინერალოგიის, ბოტანიკის და ზოოლოგიის მხრით; მწერების, დედა-მიწის გულში ჩარჩენილ, ისტორიის წინა დროების ნიშნების მხრით და ათასი კიდევ სხვა ამ გვარი რამებით. ყოველივე ეს მკვლევარს თვალ-წინ გადაეშლება და დიდ ცნობის მოყვარეობას აღუძრავს, რომ ეს შესანიშნავი მხარე შეისწავლოს და გაიცნოს ისე, როგორც აწინდელი ახალი მეცნიერება თხოულობს, როგორიც საჭიროა ჩენონვის და გამოსაღები.

შავშეთი და მისი მკვიდრნი ძველის-ძველათ ემორჩილებოდენ დასავლეთ-საქართველოს მამასახლისს, რომელიც მცხეთის მამასახლისის ხელ-ქვეითად ითვლებოდა.¹⁾ შავშეთი ძველათ მარტო ადგილ-მდებარეობის მხრით არ იყო შესანიშნავი, ის შესანიშნავი იყო თვით მცხოვრებთა ზნით, ხასიათთ, ჩვეულებით და ლაპარაკით. დასავლეთ საქართველოს მცხოვრებნი თითქმის სულ ერთი ზნისა და ხასიათის იყვნენ და ერთი ენის კილოთ ლაპარაკობდენ, გათი ცხოვრება ერთი საზოგადო ხასიათის სურათს წარმოადგენდა. გათში მხოლოდ შავშელნი გაირჩეოდენ; ესენი არ ჰგვანდენ დანარჩენ ქართველებს.

სწორეთ შავშეთის ასეთი ლირსება იყო იმის მიზეზათ, რომ ქრისტეს შობის ბევრათ უწინარეს, ყველა გამოჩენილი გმირები შავშეთში ისადგურებდენ და ცხოვრებდენ. ამასვე ვხედავთ ჩვენ იმ დროს, როდესაც საქართველოში ქრისტიანობის ნიშნების შემოტანა იწყეს და როცა უკვე მოციქულებმაც ისურვეს ამ კუთხის გაცნობა. ყველა მქადაგებელს, ქრისტიანობის მღალადებელს

¹⁾ საქართველოს გეოგრაფია ვახუშტისა. 1848 წ.

და მოღვაწეს პირველით აქ შემთხვევია დროებით მაინც უხოვრება და მერე აქედან სხვა მხარეს გამგზავრება. ქრისტიანობის გავრცელების შემდეგაც ამასვე ვხედავთ შავ-შეთში. თვით იმ დროსაც, როცა ქართველებმა იწყეს ძლიერების მხრით გამოჩენა, შავშელებმა პირველი ალაგი დაიკავეს ამ აღორძინებაში. ხშირად მომხდარა, რომ საქართველოზე მოსეული მტრები მარტო შავშელებს გაუდევნიათ და მით გადურჩენიათ დანარჩენი საქართველოს ადგილები მტრის შელახვისაგან.

განათლების და მწერლების აღორძინების დროსაც შავშელებს თითქმის უპირველესი ადგილი ეჭირათ, უმეტესი ნაწილი ჩვენის სულიერ მწერლებისა შავშელები იყვნენ: თვით ეჭვთამე, ითანე და გამოჩენილი გთარგი მთაწმინდებაც. ასეთ მოღვაწე პირთა სახელების მოხსენებას რომ გავჰყვეთ, მაშინ ერთობ შორს წავა, რადგანაც შავშეთი თავის წარსული ისტორიული ცხოვრებით და სწავლულ პირთა რიცხვით სავსეა. როგორც უწყიან, თვით გამოჩენილი შოთა რესთაველიც აქ აღზღიულა, ტბეთის ტაძრის მახლობლად დაარსებულ სასწავლებელში. იონე შავთელიც, რომელიც თავის თავს შავთელად უწოდებს, აქაური ყოფილა. იმერ-ხევსა და შავშეთს შუა სძვეს სოფელი შავმთა, რომელშიაც დაბადებულა თვით იონე შავთელი. დღეს ეს სოფელი წარმოადგენს ნატამალს, აქ აღარაფერია დაშოენილი.

სასულიერო და სამოქალაქო მოღვაწეებს გარდა, შავ-შეთში სასულიერო პირთა რიცხვიც ძველათგანვე დიდი შწიგნობრებისაგან შედგებოდა. ჩვენს მეტად ძველს ისტორიულ მწერლობაში, რომელიც-კი გადარჩა ყოველ ნაირს ცეცხლსა და უბედურებას, შესანიშნავი ადგილი უკავია ტბეთის ტაძრის ეპისკოპოსის სტეფანე მტბეჯარის

აღწერას, რომელიც მეთე საუკუნის დასასრულს სცხოვ-
რებდა და რომელმაც მისეიღ ასალდისხდის ცხოვრება აშოგ
ერისთავთა, ერისთავის პრძანებით აღწერა. ასეთ მწიფნო-
ბარ მღვდელ-მთავრებით სავსე იყო შავშეთი.

უნდა შევნიშნოთ და აღვიაროთ, რომ ბუნების
თვის ძალოვნება დასავლეთ საქართველოს იდ-
გილ-მდებარეობაზე უმოქმედებია და იქ ათასნაირათ გა-
დუსხვაფერებია აღვილ-მდებარეობათა სურათები სხვა აღ-
გილების სურათებთან. ასევე უმოქმედნია ერზე და იქა-
ური ქართველობაც დანარჩენ ქართველებზე ბევრათ წინ
დაუყენებია: იგინი შეუმკვიდრეობის ღირ-
სებით, მათში ჩაუნერგავს უმაღლესი შნო, შემძლებლო-
ბა და მიხვედრა. ცხადი საქმეა, რომ უმწვერვალესთა მთა-
ბართა და ბუნების შემკობილებას დიდი ზე გავლენა უნ-
და ჰქონდეს თვით სულიერს ცხროვრებაზედაც, ე. ი.
კაცობრიობაზე და, ან კერძოთ რომ ვსტკვათ, შავშეოში
შავშელ ქართველებზე.

როდესაც არღანუჯისკენ ბაგრატიონები გაძლიერდენ, ამათ პირველათ იცნეს საქართველოს დაკანიგებული მდგომარეობა, მათ თავს იდვეს საქართველოს გაძლიერების საქმე, განიძრახეს „ქართველთა დანაწილებულ თემთა შეერთება და დაკავშირება. რომ იმ დროს მათ ერთგულნი და გამოჩენილნი შავშელნი არა ჰყოლოდათ, მაშინ, ეჭვი არ უნდა, ბაგრატიონები ვერც აფხაზეთს დაიკერდენ და ვერც მოექლს საქართველოს შეაერთებდნენ ერთ გვირგვინოსან პირის ქვეშ... მაგრამ უცლა ეს მოხდა შავშელთ გმირთა მეოხებით, რომელთა ღვაწლა და ამაგსაც „ქართლის ცხოვრება“ ცხადათ მოგვითხრობს. ამ შრომას და მეცადინეობასაც ერთობდიდი ადგილი უკავია იმ ხანითა ისტორიაში, როდესაც

იწყება საქართველოს აღორძინების ხანა, როცა დასავლეთი საქართველო აღმოსავლეთისას დაუახლოვდა და როცა ყოველივე ეს აღგილები ერთ გვირგვინოსან მეტის გამგეობის ქვეშ მოემზუდა.

ასეთი იყო ისტორიული ლირსება და მნიშვნელობა შავშეთისა, ასეთი აღგილი ეკავა მას ძველათ საქართველოს ისტორიაში, ასეთი ლირსების მექონი შვილნი და გმირნი გამოდიოდენ შავშეთიდან და ნათელს ჰუნდენ დანარჩენ ქართველთ სახეს და მხნეობას. ჩვენ არ ვიტყვით, რომ საქართველოში ასეთ ლირს-შესანიშნავ პირებათ მარტოთ შავშელნი ყოფილიყვენ; არა, ეს ასე არ არის, შავშელების ალაგის გინდ მოუხეშავი მოხისელნიც ყოფილიყვენ, ასეთისავე ლირსების მექონ პირებათ გარდიქცეოდნენ, რაღანაც შავშეთის აღგილ-მდებარეობას და სხვა-და-სხვა სახელმწიფოთა მეზობლებრ პირობებს სხვაფერი ზე გავლენა ჰქონდა შავშელებზე, სხვაფერი წარმატებითი მხარეები და აღორძინება დაატყო. ამის დასასაბუთებლად ჩვენ ცხადს საბუთს გვაძლევს ერთად-ერთი ბიზანტიის მეზობლერი დამოკიდებულება საქართველოსთან და ნამეტურ დასავლეთ-საქართველოს და შავშეთთან. ესენი დიდის მხნეობით და მამულის სიყვარულით აღმოჩნდენ და ამის მხრით ჩვენ უპირატესობას ვუთმობთ მათ.

ჩვენ ამის საბუთისთვის ძალიან შორს არ წავალთ. იძის დასამტკიცებლათ, რომ შავშელნი ჩვენი მამულის წინაშე დიდის დიდებით ბრწყინვენ, კმარა დავა-სახელოთ თუნდ შემდეგი თხზულება, რომელიც შეუდგენია, შეუმუშავებია და შემოუტანია ჩვენს მწერლობაში ითნე შავთლის. ეს შრომა არის არათმეტი გული საპასექოცნილი, ანუ, როგორც ჩვენი ძველი მწერლები უწოდე-

ბენ, ხუთასიანი ქორონიკონის სახელმძღვანელო. დ. ბაქ-
 რაძის სიტყვით, ეს შრომა შესანიშნავია არითმეტიკული
 და მატემატიკური ტერმინებით. ამ შესანიშნავ შრომას
 ბროსებაც მიაქცია ყურადღება და მან ფრანგულ ენაზე
 გადაიარგმნა და ქართული ტექსტით და რუსული და-
 მატებით ცალკე ტომათ დაბეჭდა, კომენტარია რუსულ
 ენაზე აქვს. ბროსე ვრცლად საუბრობს იონე შავთელის
 ბიოგრაფიაზე და იმის ნაშრომის ლირსებაზე, თუ ამ შრო-
 მას რა მნიშვნელობა უნდა მისცენ არამც თუ ქართველთ,
 არამედ თვით ევროპიელთაც, რომელთათვისაც ამ შრო-
 მას, როგორც საშუალ საუკუნის ნაშთს, ერთობ დიდი
 მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს მინიჭებულით.

II

შავშეთი მდებარეობს დასავლეთ-საქართველოში, სამ-
 ხრეთის მხარეს; აღმოსავლით აკრავს არისანის მთები, რო-
 მელთა სიმაღლე 10000 ფუტამდი იქმნება. ეს მთები საქარ-
 თველოს ისტორიაში ცნობილია, რადგანაც აქედან მრა-
 ვალ მდინარეთა სათავეები იწყება; დასავლეთით საზღვრავს
 კარჩხალის დიდებული მთა, რომლის სიმაღლეც 12 ათას
 ფუტამდე ითვლება. დასავლეთ-საქართველოში და მასთან
 მთელს ოსმალეთის საქართველოშიც ეს ყველაზე მაღა-
 ლი მთა არის. სამხრეთით ისაზღვრება ოლთისის მთებით
 და მიდამოებით და ჩრდილოეთით ჩირულის მთებით და
 აჭარა-საქართველო-ჯავახეთით.

მდებარეობა შავშეთისა არის მეტათ ლამაზი, ყო-
 ველი მხრით მთებით აკრავს და თვითონ შავშეთი
 შუაშია მოთავსებული, თითქოს ბუნებას მისოვის ეს
 გარე მთები განგებ გარს გალავნათ შემოურტყამს; ამ მთე-

ბიდან თვალ-წინ გეშლებათ მთელი შავშეთი, ამ მთების შტო-გორაკები შუაგულ შავშეთშიაც შედის და ჰყოფს მას რამდენსამე ხეობათ და ვაკე-მინდვრებათ.

სხენებულ მთების უმეტესი ნაწილი ტყით არის მო-
 ფერილი; ტყე თან-და-თან მცირდება, მთის სიმაღლის მი-
 ხედვით, და მწვერვალზე-კი სულ ისპობა. ასეთი მაღალი
 მთები აქვთ ხშირია. ეს მთები ზაფხულობით მსუქან-ნოყი-
 ერი ბალახით იმოსება. აქ სხვა-და-სხვანაირი მთის სუნნო-
 ვანი ყვავილებიცაა. შავშეთს მაღალი ტიტვლიკანა მთები
 აკრავს მთლათ არდაგანის, ოლთისის, არსიანის და შირატის
 მხრადან; ამ მთებიდან კვალ-და-კვალ შეიძლება, რომ კაცი
 გაემგზავროს შირატის ხეობის მთით კარჩხალის მთაზე.
 შირატის ხეობა და ამის მთები ჩვენს ისტორიაში არაა
 მოხსენებული. რიგიანათ ვერც ჩვენი დროის გეოგრა-
 ფიული ქარტანი და აღწერანი აღნიშვნენ. ეს მთა ძევს
 სხალტის ხეობასა და შავშეთს შუა.

ყველა ეს შვენიერი მთები დიდათ შველის შავშე-
 თის მკუდრთ: ზაფხულობით ამ მთებზე დიდ-ძალი ხალ-
 ხი დადის, საქონელი აჲყავთ, მთელი ზაფხულობით აქ
 რჩებიან და საქონელს აძოვებენ; აქ სადგომათ სახლებიც-
 კი აქვთ გაკეთებული. საქონელი აქ შვენიერათ იკვებე-
 ბა, მთის ბალახს მათზედ დიდი ზე-გავლენა აქვს; აქაუ-
 რი საქონლის რე, ყველი და ერბო მეტათ მსუქანიც
 არის. აქ სძოვენ ძროხა, ხარი, კამეჩი, ცხვარი და ნამე-
 ტურ თხები. აქეთ თხების შენახვას ძრიელ მისდევენ.
 ყველაზე საუკეთესო ბალახის მექონ მთათ ჩირულის მთა
 ითვლება, რომელიც დასავლეთ საქართველოში აღმოსავ-
 ლეთ-ჩრდილოთ ძევს და რომელსაც ზედ ეკვრება არ-
 სიანის მთები. დღეს ჩირულის მთები შავშელებს, არდა-
 ნუჯელებს, აჭარელებს და შირატის ხეველებს ეკუთვნის;

შავშელნი ამის კმიუოფილი არ არიან და ამბობენ, რომ ჩირულის მთები ჩვენს საკუთრებას შეადგენსო: ძველათ თამარ დედოფალს ეს მთები ჩვენთვის დაუმტკიცებიათ. ჩვენს ძველებს ხელშეუშლელათ ეკავათ ეს მთები და ახლა-კი სხვები გვეცილებიანო. აღრე შავშელებს ამის დასამტკიცებელი ქალალდები ჰქონიათ და დღეს-კი არა-ფერი გვაქვსო, იქნება ძველ ქართულს წიგნებში ამის შესხებ რამე აღმოჩნდესო.

როგორც კარჩხალის მთიდან, ისე არსიანის მთიდან, ჩირულის, შირატის, რევფის, არდაპანის და ოლოსის მთებიდან მთლად ჩანს დასავლეთი საქართველო, მთლათ ჩანს ის ნაწილი საქართველოსი, რაც დღეს ოსმალეთს უკავია, ე. ი. პარხალი, ლაზისტანი, თორთომი, ხახული, იშხანი, ვანის კუთხე და ბევრი კიდევ სხვა ადგილები. როცა კაცი კარჩხალის მთიდან შეხედავს მთელ დასავლეთ-საქართველოს და წარმოიდგენს მის სივრცეს, სილამაზეს, მოხდენილობას და აგრეთვე იმას, თუ ამოდენა ადგილებში რამდენი ქართველობა უნდა ყოფილიყო ძველათ დასახლებული, უნდებლიერ გული შეუწუხდება. სწორეთ ისე მომივიდა მე, როცა შირატის ხეობიდან დასავლეთი საქართველო დავინახე, როცა ჩემ თვალთ წინ გადაიშალა ჩვენი დიდებული სამშობლო—თვალ უწვდენელი სივრცის მექონი საქართველო, რომლის საზღვრები საპერძეთსა და სომხეთამდის მიდის. ამოდენი ადგილების დაკარგვა, ამოდენ ქართველ ხალხთა მოცილება, ცხადი საქმეა, ჩვენი ძალოვნების-თვის დასალუბი იყო. მე არ შემიძლია, მკითხველს გარდაცვე ის მწუხარება, რა მწუხარებასაც ჩვენი მამულის-შვილი იგრძნობს იმ დროს, როცა ის ზემოხსენებულს მაღალს მთებზე ავა და იქიდან ძველათ დალუპულსა და

განადგურებულს საქართველოს ადგილებს გადახედავს!..

ამ შევნიერ მაღალ მთებზე მენახირეები თავისი ნახირით მარიამობისთვის ნახევრამდის რჩებიან, შემდეგ-კი აქ დგომა აღარ შეიძლება, რადგანაც მთებს ჩამოთვეს ხოლმე. აქ ორი-სამი საექნის სიშალლე თოვლი იცის და ამიტომ მწყემსები ნელ-ნელა მთების ძირ-ძირ იწევენ და რამდენათ თოვლი, ბურუსი და სიცივე უსწრობს, იმდენათ ისინი ძირს იცვლიან და ბოლოს შინ მიდიან. უნდა აღინიშნოს, რომ მწყემსებათ აქ უმეტეს ნაწილათ ქალები არიან, ნამეტურ ხნიერი დედაკაცები და პატარა გოგოები. მთელ ზაფხულს ესენი ისე ატარებენ დროს, რომ მათ მამაკაცები ერთხელაც არ მოიკითხავენ, ერთხელაც არა ნახავენ. ამ მხრით აქ ქალებს შიში არა აქვთ.

ამ მთებზე ერთი საოცარი ის არის, რომ აქა-იქ აუარებელი ქვის ნამტვრევები ჰყრია; კაცს გააკვირვებს ის, თუ ასე ოსტატურათ იმოდენა ქვები რამ დაამტვრია და ან საიდან გაჩნდა, როცა ხსენებული მთები სულ რბილი მინდვრებისაგან შედგება და არსად არაფერი კლდეები არა ჩანს. ამას, რასაკვირველია, გეოლოგიური გამოკვლევა უნდა.

იქაური მკვიდრნი ამბობენ, რომ შავშეთს ოსმალურათ ნისლათას უწოდებენო, ე. ი. ნისლიან ქვეყანასო, ოსმალთა წიგნებში ასე მოიხსენება ამ ადგილების სახელით. ვახუშტის თქმით, შავშეთს სახელი მისგან დარქმევია, რომ შავშეთში ყოველთვის, ნაძვნარას შეოხებით, სიბნელეა, შავით არის მოსილი და იმიტომ უთქვამთ, რომ „შავშიო“. ამ ნაირათ სიტყვა შავშიდან წარმომდგარა სიტყვა შავშეთი. ეს შესაძლებელია, რომ სწორეთ ასეც იყოს, რადგანაც მთელი შავშეთის მთები, პატარა გორა-

კები და ხეობანი სულ ნაძვის ტყით არის მოფენილი: დილით, როცა კაცი ადგება და გამოვა კარში, შე-ხედავს იგი მთელს შავშეთს, მეტათ შავით მოსილს, თითქმის შავი ფერისას. ნისლი-კი ძალიან არ იცის აქ; ეს შავი სუდარა მას აკრავს იმ დრომდის, ვიდრე მზეს დაუპირდაპირდება, მერე-კი ისე გაბრწყინდება და განათ-დება მთელი ეს კუთხე, რომ კაცი მასზე უკეთეს და ლა-მაზს სხვას ვერას ჰქოვებს.

შავშეთს ოთხივ კუთხით მაღალი მთის ფერდობი-დან პატარ-პატარა რუები ჩაუდის, ხოლო ტბეთის გვერ-დით-კი ღელე მიმდინარეობს, რომლის სათავეები არსიანის მთაზე იწყება. ერთი ღელეც შავშეთის სათლეს გვერდ-ზე ჩამოდის მაღალი ხეობიდან; ბოლოს ეს ღელეები წიფთის ციხესთან ერთდებიან და მაღლე ჭოროხს ერთვიან.

შავშეთში წყაროები და მდინარეები მეტათ მარგებელი, წმინდა და ანკარაა. მაგრამ აქ წყაროები და ღელეები ისე უხვი არ არის, როგორც აქარაში და იმერხევში. ბევრ სოფლებში ზაფხულობით წყალის კლება იცის. საკა-კი წყარო გამოდის, ყოველგან მეტათ ცივი წყაროები იცის, ისე ცივი, რომ ხამ კაცს უცბათ დალევაც-კი გაუჭირდება. სხვა რამ მეუვე წყაროები, ან თბილი აბანოები აქეთ არ არის, გარდა სოფ. მიქელეთისა, რომელიც იმერხევ-ში მდებარეობს. მოგზაური ცხადათ შენიშნავს, რომ შავშეთის მცხოვრებლებს ხშირათ უნდა აკლდებოდეთ წყა-ლი. აქ ყანები ხშირათ ირწყვება; გარდა ამისა აქეთ თი-თქმის ყოველ ხეობაში არხები აქვთ გაყვანილი. უცხო მნახველი გაჰკვირდება, მათ ისეთ მაღალ ციცაბო კლდე-ებზე აქვთ გაყვანილი არხები და სხვა საშუალებანი, რის მეოხებითაც ბალახი ყოველ პატარა ადგილებშიაც-კი მო-დის.

შავშეთში იზრდება მრავალ ნაირი ხე, ბალახი, ყვავილები და ხეხილი. აქ ხილი კარგი იცის, ნამეტურ ეოლი (ბჟოლა). ეოლს აქ ჩვენებურ თუთას უწოდებენ. ეოლი ძრიელ მრავლობს, ისე რომ ეოლის ბადაგსაც აკეთებენ და ზამთარში თაფლის ალაგას ხმარობენ. ეოლიდან გამონაწური ძმარი აქ მე პირველათ ვნახე და ერთობ გავკვირდი. ზაფხულის სიცხიან დღეში მოითხოვეს ეოლის ბადაგი და ძმარი, მერე ესენი ცივ წყალში გახსნეს, ერთმანერთში აურიეს და გულის გასაგრილებლათ დალიეს; თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ იქაური ცივი წყაროები ამაებს არ საჭიროებენ, მაგრამ რაკი ჩვეულებათ ჰქონიათ მიღებული, ამიტომ ამით უცხო სტუმარს პატივს სცემენ ხოლმე. ხილის მოსავალი შავშეთში ხან უხვათ იცის და ხან ნაკლებათ. როცა უხვათ მოდის, მაშინ შავშელებს ხილი არდაპანში და ყარსში გადააქვთ და იქა ჰყიდიან და სხვა-და-სხვა რამებზე სცვლიან.

შავშეთზე არდაპანი, ყარსი, ართვინი და სხვა დასავლეთ - საქართველოს დაბები თითქმის ერთნაირ სიშორებზე მდებარეობენ; მაგალითებრ, შავშელები არდაპანში მეორე დღის შუადღეს ჩადიან ქვეითად, ხოლო ყარსში მისვლას-კი ორ დღეს უნდებიან. საქონელს ცხენებს ჰყიდებენ, რაც-კი ექნებათ გახაყიდი: მსხალი, ვაშლი ან სხვა რამ და თვით-კი ფეხით მისდევენ. თუ როგორ, რას ჰყიდიან იქ და რას იღებენ, ამის მე არა ვიცი რა და, როგორც ეტყობა შავშელ კაცს, ისინი ამაში დახელოვნებული არ უნდა იყვენ.

შავშეთს ისეთი ალაგი უკავია, რომ მისი საზღვრების ბოლოზე იწყება ერთი მხრით ბათომის ოლქის მიჯნა, მეორე მხრით ყარსის, მესამე მხრით ოლთისის და მეოთხე მხრით არდაპანის მიჯნები. ოთხივე მხრისკენ აქე-

დან გზები მიღის; აქედანვე გაღის არზრუმის გზაც; შავ-შეთში ერთი გზა აჭარიდან მერისის ხეობით გადადის. აქედან მინდიეთის ტყის მახლობლივ უნდა წახვიდეთ, გადაიაროთ კარჩხალის მთის წინ, გაიაროთ ფაფათის ძალა, სადაც ფაფათის ციხეც დგას; ამ ციხის იქით სოფელი ბაზიერეთია, საიდანაც იმერხევი დაიწყება და რომელსაც მისდევს შავშეთი. აქ შევჩერდები და ფაფათის ციხის შესახებ სახალხო თქმულობას გაღმოგცემთ.

სალხი ამბობს, რომ ფაფათის მთის ციხე სამ დას გაუკეთებიათ. თითო ქვა თითო დას აუტანია მთაზე; ერთს მეორე ქვაზე შეუდვია ქვები და ასე ამ გვარათ სხვა ქვები და უკანასკნელ ამათ გაუკეთებიათ ეს ციხეო. უწინდელ დროში ეს ქალები თურმე დიდათ იქებოდენ და იდიდებოდენ. მთელს იქითა მხრის ხალხში მათი მხნეობისა და გმირობის ცნობები ისმოდა. მათზე გამოუთვამთ ძველათ:

სამმა დამმა ფაფათელმა,
 ფაფათს ფაფა ნაჭამებმა,
 მაღალ მთაზე სამი ქვითა,
 ჩვენ ვაკეთეთ ციხე ქვითა.
 სამსა ძმასა ქადაგლებსა,
 ქადაგს ქადა ნაჭამებსა,
 ვეტყვით, თუ იმ ქვებს დასძრავენ
 ჩვენ წავყვებით მაშინ ცოლათ.

ეს ლექსი ძველათ ვრცელი ყოფილა, მაგრამ უამთა მიმდინარეობას დაუკარგავს და აღმოუკვეთია ხალხში სრული მისი ხსოვნა. ეს იყო ისლამის ნაყოფი. ლექსში გამოყვანილი ყოფილა ის ცნობა, რომ ვაჟები

ქალებს თხოულობდენ, მაგრამ ქალები არ მიჰყვებოდენ: ესენი ეტყოდენ: — ჯერ თქვენი გმირობა გვაჩვენეთ და მერე წამოგყვებით ცოლათო. ასეთი იყო ძველათ ზე და ხასიათი ქართველი ქალებისა... ამას ხომ ცხადათ „კუჭხის ტყებსნის“ თინათინის საქციელიც ამტკიცებს ავთანდილის წინაშე.

მოსავლის მხრით შავშეთი შესამჩნევია. აქ მოდის პური, სიმინდი, ქერი, ღომი, ლობიო (მეტათ კარგი სცოდნია), კართოფილი, ვარხალი, მწვანილეულობა, ერთი სიტყვით, აქეთ კაცი რასაც-კი დარგავს და დათესავს, ყველაფერი ხეირობს; გარდა ბრინჯისა, აქ ყველაფერი უხვათ მრავლობს და მოდის. მოუსავლობა აქ იმ დროს იცის, როცა წელიწადი გვალვიანია, ანუ გადამეტებული წვიმიანი. ისიც-კი უნდა ითქვას, რომ აქაურ შვენიერ ადგილებს ბევრნაირი შრომა სჭირდება, რადგანაც შავშეთს გარშემო მეტათ შავი მრისხანე მაღალი მთები საზღვრავს, რომლებიც შავშეთს ხშირათ და ადვლილათ აჯილდოვებენ ხოლმე ქარით, სეტყვით, დიდი წვიმით, თოვლით და ვინ იცის რაებით არა. ასე რომ აქაურ მუშა ხელს ერთობ დიდი შრომა უნდება.

შავშელნი მაინც დიდი მხნეობით მუშაობენ: აქ კაცი, ქალი, მოხუცებული და ყმაწვილები ერთ თავად მუშაობაზე არიან დაბანდებული; ზაფხულში ამათ ყველას ყანებში, ვენახებში და მთა ტყე-მინდვრებში დაინახავთ სამუშაოზე. დილიდან საღამომდის მოუსვენრათ და მხნეობით მუშაობენ ისე, როგორც ჩვენში ქართლის მხნე გლეხქაცობამ იცის. შავშელებს მუშაობა ისე უყვართ და მას ისე ეტრჭიალებან, როგორც აჭარლები, გურულების მსგავსათ, კოპტიობას და ნავარდობას. ზაფხულში ერთი საქმის მუშაობას მეორე მოსდევს, მეორეს — მესამე

და შემდეგ შემოდგომა და ზამთარიც მოდის. ზამთარი აქეთ დიდი იცის და ამიტომ შავშელი ზამთრის სარჩეოს ზაფხულში იმზადებს; ზამთარში ესენი მარტო შინაური საქმეების კეთებას უნდებიან და საქონლის მოვლას. გარჯა-მუშაობის მხრით შავშელები ბევრათ მაღლა დგანან დასავლეთ-საქართველოს სხვა დანარჩენ ქართველ-მაჭა-დიანებზე.

წყნარი მუშაობა და მშვიდობიანი მხარეები შავშელებს ძრიელ შეუთვისებიათ; ესენი დილა ადრიან წამონტებიან თუ არა, მაშინვე სამუშაო გზას გაუდგებიან და ამისთვის ისინი ხშირათ დილის ლოცვასაც აკლდებიან. უამისოთაც-კი დღისით, როცა ამათ გაცხარჭბული მუშაობა აქვთ — დღეში ხუთჯერ არ ლოცვალობენ ისე, როგორც სხვა მაჭადიან ქართველებმა იციან და ნამეტურ აქარა-ქობულეთელ ქართველ ფანატიკოსმა მაჭმადიანებმა. მე დავესწარი შავშელებს მუშაობის დროს, თან მყვანდენ აქარელი კაცები. როგორც ლოცვის დრო მოვიდა, აქარელებმა ლოცვა დაიწყეს და შავშელები-კი მე მესაუბრებოდენ. საქმე ისე მოეწყო, რომ, ცოტა არ იყოს, აქა-იქ მუშაობის დროს შავშელებს აქარლების შერცხვათ ლოცვის შეუსრულებლობის გამო და ამიტომ იმათაც ილოცვეს, თუმცა, როგორც შევატუე, არაფრათ-კი ეპიტნავათ აქარელების საქციელი, მაგრამ რას იზამდენ. არ-მლოცველი მუსლიმანი, მუსლიმანი არ იქნებათ. შავშელი კაცის დაკოუიებული ხელები ცხადათ ამტკიცებს მათს მაღალ მიმზიდველობას შრომა-მეცადინეობისადმი.

ცხადათ ჩანს, რომ ისინი ისეთი ფანატიკოსებიც არ არიან, როგორც დანარჩენ საქართველოს მაჭმადიანები; მაგალითებრ, ამათთან რომ ვინმე ქრისტიანი მივა, ისინი

მას სჯულის შესახებ-კი არ დაუწყებენ დავიღარაბას, კამა-
 თობას და ლაპარაკს, არამედ გამოჰკითხავენ ქვეყნის ამ-
 ბებს, სალაურობას, მოსავლიანობას, მთავრობის ვითარე-
 ბას და სხვა. ყველაფერს დიდი კმაყოფილებით და სია-
 მოვნებით მოისმენენ და მიიღებენ. თქვენ მათ მცი-
 რე რამესაც ვერ შენიშნავთ, რომ ისინი ქრისტიან
 კაცს ეჭვით უმჩერდენ. ისინი უმზერენ მას ისე, რო-
 გორც სტუმარს და არ იციან, როგორ ასიამოვნონ,
 როგორ ემსახურონ, როგორ რა მიართვან, როგორ
 ამონ და სხვა; ყოველი მათი მიმოხვრა და საჭკიელი
 გარემოცულია მაღალი სტუმართ-მოყვარეობის თავა-
 ზით და პატივისცემით. ერთ სიტყვას, ერთ კრინტს
 ვერ გაბედვენ თავისუფლათ თქვან, რომ მასზე თქვენ-
 გან აჩევა არ მიიღონ და თქვენს თვალსა და სახესაც არ
 შეხედონ.

შავშელი ფატალისტი არაა. იმან კარგათ იცის,
 რომ კაცის ცხოვრებისთვის მხნეობა უფრო მაღლა უნდა
 იდეს, ვინემ ლოცვები; ამიტომ ისინი მუდმივ მუშაობას
 უნდებიან. ეს მოლა-ხოჯებმაც კარგათ იციან, მაგრამ
 არ უშლიან და ნებას აძლევენ ლოცვის წესები შეისრუ-
 ლონ ისე, როგორც მათ სურთ, როგორც მათი ცხოვ-
 რების საჭიროება ნებას მისცემს. ხოჯა-მოლები მიტომ
 იქცევინ ასე, რაღანაც შავშელი თავის მუშაობის ღროს
 მონა არის მათი, მაშენებელია ჯამების და წმინდა მუს-
 ლიმანი, წმინდათ აღმსრულებელი მაშმაღიანების წეს-რიგ-
 ჩვეულებისა. ერთმა ხოჯამ ასე მითხრა: შავშელები ყაჩაღ
 აქარლებს არ გვანან, ესენი მუდამ მუშაობას ახმარებენ
 ღროს; რომ არ იმუშაონ, უამისოთ ზამთარში ვერ
 იცხოვრებენ, ამიტომ ხშირათ ესენი თვით პარასკევ დღე-
 საც-კი მუშაობენ, მაგრამ, რა ვქნათ, ამით არა დაშავ-

მას სჯულის შესახებ-კი არ დაუწყებენ დავიდარაბას, კამა-
 თობას და ლაპარაკს, არამედ გამოჰკითხავენ ქვეყნის ამ-
 ბებს, საღაურობას, მოსავლიანობას, მთაგრობის ვითარე-
 ბას და სხვა. ყველაფერს დიდი კმაყოფილებით და სია-
 მოენებით მოისმენენ და მიიღებენ. თქვენ მათ მცი-
 რე ჩამესაც ვერ შენიშნავთ, რომ ისინი ქრისტიან
 იას ეჭვით უმზერდენ. ისინი უმზერენ მას ისე, რო-
 გორც სტუმარს და არ იციან, როგორ ასიამოვნონ,
 როგორ ემსახურონ, როგორ რა მიართვან, როგორ
 ამონ და სხვა; ყოველი მათი მიმოხვრა და საქციელი
 გარემოცულია მაღალი სტუმართ-მოყვარეობის თავა-
 ზით და პატივის ცემით. ერთ სიტყვას, ერთ კრინტს
 ვერ გაბედვენ თავისუფლათ თქვან, რომ მასზე თქვენ-
 გან რჩევა არ მიიღონ და თქვენს თვალსა და სახესაც არ
 შეხედონ.

შავშელი ფატალისტი არაა. იმან კარგათ იცის,
 რომ კაცის ცხოვრებისთვის მნიშვნელოვანი უფრო მაღლა უნდა
 იდგეს, ვინემ ლოცვები; ამიტომ ისინი მუდმივ მუშაობას
 უნდებიან. ეს მოლა-ხოჯებმაც კარგათ იციან, მაგრამ
 არ უშლიან და ნებას აძლევენ ლოცვის წესები შეასრუ-
 ლონ ისე, როგორც მათ სურთ, როგორც მათი ცხოვ-
 რების საჭიროება ნებას მისცემს. ხოჯა-მოლები მიტომ
 იქცევიან ასე, რადგანაც შავშელი თავის მუშაობის დროს
 მონა არის მათი, მაშენებელია ჯამეების და წმინდა მუს-
 ლიმანი, წმინდათ აღმსრულებელი მაჰმადიანების წეს-რიგ-
 ჩვეულებისა. ერთმა ხოჯამ ასე მითხრა: შავშელები ყაჩაღ
 აქარლებს არ გვანან, ესენი მუდამ მუშაობას ახმარებენ
 დროს; რომ არ იმუშაონ, უამისოთ ზამთარში ვერ
 იცხოვრებენ, ამიტომ ხშირათ ესენი თვით პარასკევ დღე-
 საც-კი მუშაობენ, მაგრამ, რა ვენათ, ამით არა დაშავ-

დება რა, ღმერთს მუშაობა არ ეწყინება და ივი კაცობა
და კაცის კვლა-კი დიდათ. შავშელები ყოველივე იმი-
საგან გაშორებული არიან.

მართლაცა და უნდა ვთქვა, რომ მთელი შავშეო
დავიარე და მე იქ ერთობ იშვიათად შემხვდენია ოთფ-
ხანჯალ-ხმალ-დამბაჩიანი სოფლელები. წარმოიდგინეთ
მათი ზნე-ხასიათი და გარჩევა აქარლებისაგან, რომ და-
ნასაც-კი არ ატარებენ! მგზავრობის დროს, ბევრ ალაგის
ყანაში მუშაობის დროს ვნახე ხალხი და მათაც ერთს არ
ამოუჩნდა სსენებული იარაღებისაგან ერთი რამ მაინც.
გამოვიყითხე მიზეზი ასეთი უიარაღობისა და მათ მით-
ხრეს, რომ ჩვენ იარაღის მიმყოლი ხალხი არა ვართო,
ჩვენი იარაღი თოხი, ბარი, ნიჩაბი და გუთანიაო; რაში
უნდა გამოვიყენოთ იარაღი—მუშაობის დროს არ გა-
მოგვადგება და სხვათრივ რის მაქნისია, რა უნდა გვიშვე-
ლოს მანაო!.. ასეთი ჩვეულება შავშელებს მემკვიდრეო-
ბით ჰქონიათ, როგორც მითხრეს. მათი ძველებიც სწო-
რეთ ამ ზნისა და ხასიათის ყოფილან. ასეთ ზნე-ხასიათს
მათში ერთობ მაღალი ადგილი უჭირავს. ეს, მე მგონია,
მათში უნდა დამკვიდრებულიყო მას შემდეგ, რაც ისინი
ოსმალოს ხელში ჩავარდენ და დაკვეითდენ, თვარა, რო-
გორც ჩვენი მატიანე აღნიშნავს, შავშელები ძველათ მე-
ტი მხნეობით, გმირობით და თავ-გადადებით იბრძოდენ
საქართველოზე მოსეულ მტრებთან. ეს ღირსება მათ
თვით იმ წყვდიად ხანაშიაც-კი ემჩნევათ, როცა ისინი
შეილდ-ისრით იყვენ შეიარაღებული.

მათს ასეთ საქციელს და მიღრეკილებას დიდათ
შეუწყვია ხელი ყაჩაღობისადმი მიღრეკილობის თვით-მო-
სპობისათვის. შეგმედი ჭაცის ყაჩაღობა არც ძველათ და
არც შემდეგ არ გაგონილა. იქმნება აქა-იქ მომხდარა,

მაგრამ ეს ყოფილა იშვიათად და კანტი-კუნტად. ყაჩა-
 ღობა ამათში არ ყოფილა და თუ ყოფილა, ისიც ქურ-
 ღობის მიზეზით-კი არ დაბადებულა, არამედ სხვა რამ სა-
 პოლიტიკო და მოქალაქური მხარეების მეოხებით; ისიც
 კი უნდა შეინიშნოს, რომ შავშელებთაგანი თუ ვინმე
 ყაჩაღით გავარდნილა, ის უნდა რამე განწირულებაში
 ყოფილიყო ჩავარდნილი და ან სხვა-და-სხვა თემთა მცხოვ-
 რებთაგან გამოსულ ყაჩაღებს უნდა მიეზიდოთ. მაგალი-
 თებრ, შავშელები აქარლებს მთლათ ყაჩაღებათ სთვლიან,
 ასე ამბობენ, რომ აქარლების ხელობა ყაჩაღობა არისო,
 ნამეტურ მაქახელებს ძევლათ იმათი ყაჩაღობისაგან მო-
 სვენება არ, გვქონდათ; ისინა არ მუშაობდენ, მთელი
 წელიწადი ყაჩაღობდენ და მითი ცხოვრობდენ.

პირუტყვის მოშენებას და გამრავლებას შავშელები
 საქმარისათ მისდევვნ; ესენი ამრავლებენ ცხვარს, ძროხას,
 თხას, კამეჩს, ცხენს და სხვა პირუტყვებსაც. ცხვარსა და
 თხას უფრო უხვათ ამრავლებენ. რაც შეეხება პირუტყვე-
 ბის მოვლას, ეს იმათ კარგათ იციან: დიდათ უფრთხილ-
 დებიან საქონელს და ღიღსა და შეუსაბამო ტვირთს არ
 აჰეთდებენ, თუ დაუდებენ ხოლმე. ზაფხულში საქონლის
 უმეტესი ნაწილი მთებზე დაუდით და ზამთარში ბოსლებ-
 ში ინახვენ. ბოსლები ამათ შევნიერათ აქვთ გაკეთებუ-
 ლი: შევნიერი ხის ოდები, თბილი და ნათელი, ასეთ
 ბოსლებს საქართველოს სხვა კუთხეში სახლებათაც ვერ
 ვპოვებთ! შინაური ფრინველებს მოშენებას-კი ისე ვერ
 მისდევვნ შავშელები, როგორც ქრისტიან ხალხში; ესე-
 ნი ცოტა ერიდებიან ქათმის შენახვის მის გამო, რომ ქა-
 თამს საკენ კი და მოვლა უნდა და ის იმის ფასათ არ ღირ-
 სო; თითო ოროლა ქათამს ინახვენ კვერცხის დასადებათ;
 ეს ნაკლი ამ ახალ შემოერთებულ ქვეყნებში ყველგან

ემჩნევა; მაჟახელში ერთ ქათამში მგზავრმა 70 კაპ. მისცა და ისიც რის წვალებით იშოვნა, მთელს სოფელში ძლიერ ერთს დედაკაცს აღმოუჩნდა ორი ქათამი. ესენი ქათმის უყოლობის მიზეზს მუშაობას აბრალებენ, მაგრამ ეს არ უნდა იყოს შესაწყინარებელი მიზეზი. შირატის ხევში, სოფ. ოლადაურში, გურჯი-ჰაჯი-ლომინ-ეფენდი ქარცივაძის სახლში ცველა შინაური ფრინველი ვნახე და მის მწმობ-ლებს-კი ერთიც არ მოეპოვებოდა!..

ფუტკრის მოშენებას და ყაჭის ჭიას მოყვანასაც მისდევენ შავშელები, მაგრამ ამათში ერთიცა და მეორეც სამწუხარო მდგომარეობაშია ჩავარდნილი; აქ არც ერთს ეტყობა წარ-მატება და არც მეორეს: საფუტკრე სკები მათ ტყეში აქვთ ხეებზე დატოვებული ისე, ლვითისანაბარათ. რასაც იშოვნიან თაფლ-სანთლოს, მას ფუტკრებისაგან მოცემულ წყალობათ თვლიან. თაფლი-კი კა სწოდნა. წმინდა სინ-თლის კეთებასაც მისდევენ და გარდამეტებულს აქა-იქ დაბეგ-ში ჰყიდიან. აქ ყაჭის ჭიაც-კი კარგათ იკეთებს, რომ ხე-ლის შემწყობი ჰყინდეს. აქ თუთის ხეები (ბჟოლა) მე-ტათ მრავლობს, მეტათ დიდრონი ფოთლები აქვს, დო-დი მარცვალი იცის და მასთან შაქარივით ტკბილია. თმ-ბაქოს (თუთუნის) მოყვანას შავშელები ისე არ მისდევენ, როგორც აქარლები; ამას აქ აღგილ-მდებარეობა და ნია-დაგი არ უწყობს ხელს. დასავლეთ საქართველოში თუ-თუნი უფრო დასავლეთ, სამხრეთ და ჩრდილო აღგი-ლებში მოდის. შავშელები თუთუნს სხვა ქართველ მაჰმა-დიანებისაგან ყიდულობენ. აქეთ ისე ბევრს არ სწევენ თუთუნს, როგორც სხვა ქართველი მაჰმადიანები.

შავშეთში ხილის დამწიფება ერთობ გვიან იცის, მაგალითებრ, თუთა აქ მწიფდება მარიამობისთვეშიაც-კი, თუმცა არის სხვა ისეთი ხეხილი, რომელიც აღრე შემო-

დის. აქ ყოველ გვარ ხეებს თავისი განსაკუთრებული ნიადაგი და თვისება აქვს: ერთ ხეობაში რომ ხილი სისრულეში შედის, მეორეში უკვე მწიფდება. აქაური ხილი ძალიან გემრიელია და თვალისოვისაც კარგი.

შავშეთის ტყეები მდიდარია გარეული ნადირითაც. ამ ოთხი წლის წინეთ მაჭახელში ვეფხვი მოუკლავთ, რომელიც თურმე არზრუმის გზით ჯერ შავშეთში შემოსულა, მერე აქედან კარჩხალის მთისკენ გაუვლია და მაჭახელში ჩასულა. შავშეთში იცის მგელი, თეთრი და შავი, ველური ლორი, ირემი, დათვი, შველი, თხა, კანჯარი და სხვა. დათვი და ლორი აქ ყანებს სასტიკათ მტრობენ, ნამეტურ დათვი სიმინდს ემტერება.

როგორც შევიტყვე, შავშეთში ძველათ ფერიარხანებიც (საფერიტოები) ყოფილა, მაგალითებრ, შავშელების-თვის ტანთსაცმლის მასალა აქვე შზალდებოდა ძველათო. მურღულში ნამეტურ ქალები ყოფილან გათქმული ამ ხელობით. ესენი შავშეთში აკეთებდენ ყველაფერს, ასე რომ უცხო ადგილებიდან რამე ნივთების ანუ ჩითეულების შემოტანა სულ არ ჭირდებოდათ. ეს ხელობა და მასთან ერთად ადგილობრივი ტანთსაცმლის მასალის ჭრა-კერვა აქ 1830 წლებამდის დარჩენილა, შემდეგ-კი შემცირებულა და დავიწყებას მისცემია. ამის მიზეზი იყო ის გარემოება, რომ ოსმალობან დაუწყიათ ხოლმე ფაბრიკების ნაწარმოების შემოტანა და გავრცელება. ძველათ რომ შავშელები განთქმული იყვნენ ხელსაქმის ცოდნით, ამას ცხადათ ამტკიცებს ჩვენი ისტორია, რადგანაც შავშეთში შეკერილ და მოქარეულ საეკკლესიო ნივთებმა ჩვენ დრომდისაც მოაღწიეს.

შავშეთლებს ძველათ სხვა-და-სხვა ხელოსნობა სკოდნიათ, მაგალითად, ხურობა, დურგლობა, კალატოზო-

ბა და ნამეტურ ქვის მჭრელობა, მიწის მზომელობა და გამოქანდაკება. სცოდნიათ აგრეთვე ხმალ-ხანჯალების და თოფ-დამბაჩების კეთებაც. ეს უკანასკნელი უფრო ზედ მიწევნით სცოდნიათ მაჟახელში. იარაღის სიყვარული იმათ-ში უკანასკნელ საუკუნეში მეტათ დამდაბლებულია. აწინ-დელ შავშეთში ბევრი რამ ხელობათაგანი აღარაფერია დარჩენილი. აქ იციან ჩინებულათ ხის და ქვის სახლების კეთება და ესეც, როგორც შევიტყვე, უკანასკნელ საუკუნის ბოლოს მეტათ დაცემული ყოფილა, მაგრამ ბოლოს ლაზების მეოხებით შემოსულა და ხელახლა სწრაფათ გავრცელებულია.

როგორც ჩანს, შავშელებს საქმარისი სიყვარული უნდა ჰქონდეთ სუფთა ცხოვრებისა. შავშეთის სოფლების ნახვით კაცი აღტაცებაში მოვა. ყოველი სოფელი სავსეა შვენიერის ხის და ქვის სახლებით. უმეტეს ნაწილათ აქ სახლებს აკეთებენ ორ-სართულიანს; ძირის სართული საქონლისთვის ბოსელათ აქვთ გაკეთებული და ზედა სართულში-კი თვითონ დგანან. სახლის იატაკები შვენიერათ არის გაკეთებული; ყველა სახლს წინ გძელი ჰარმადა (აივანი) აშვენებს. სახლი უმეტეს ნაწილათ სამი-ოთხი ოთახისაგან შედგება. ერთი ოთახი სასტუმროა, ერთი ქალებისათვის, ერთი მამაკაცებისათვის და ერთი, პატარა ოთახიც, სამლოცველოთ. მაპმადის სარწმუნოება ამას აუცილებლათ ითხოვს, რადგანაც ქალები და კაცები საერთო ცხოვრებას მოკლებული არიან. ასეთი ჩვეულება მთელს ქართველ მაპმადიანებს აქვთ მიღებული. უნდა შევნიშნოთ, რომ სახლების მხრით ქართველ-მაპმადიანები ბევრად მაღლა დგანან თვით ნამდვილ ოსმალებზედაც-კი. ოსმალეთში კაცი ისეთ შვენიერს ხის ოდებს და ქვითკირის სახლებს ვერსად ნახავს, როგორიც და-

საელეთ საქართველოში ქართველ-მაკედიანებს აქთ.

შავშელი გლეხის სახლის ახლოს დგას საბძელი. საბძელს ესენი აკეთებენ მთელ-მთელი რგვალი ნაძვის ხე-ებისაგან. აქაური საბძელი ჩვენს გლეხეკაცობას სადგომ ბინათაც-კი დაენატრება. მე, როცა შავშეთი ვნახე და მი-თხრეს, რომ სახლების ახლოს ისინი საბძლებიაო, ჭეშმა-რიტათ გავკვირდი. საბძლის ახლოს შავშელის სახლ-კარ-მიდამოს აშვენებს კალო. კალო აქ ისეთივე იციან, რო-გორც ჩვენში. განიავება, გალეწვა, შენახვა და სხვა თი-თქმის იგივეა, განსხვავება არა არის რა, მხოლოთ არის ისეთი ადგილები, სადაც ხშირათ ნიავი (ქარი) არ იცის ხოლმე და ამიტომ განიავება ცოტა უჭირდებათ.

აქეთ ყანების მორწყვა იციან. ხშირათ ისეთი სიც-ხეები იცის, რომ არ მორწყან, მოსავალი თითქმის არ მოუვათ.

შავშელები, როგორც შენიშნულია, ძველათ არ ყო-ფილან და არც ახლა არიან ვაჭრობას შეჩვეული. ესენი დღესაც არ მისდევენ წვრიმალ რამების ვაჭრობას. ამით არამც თუ მარტო შავშელები არიან შენიშნული, არამედ ეს ეტყობა მთელს მაკედიან-ქართველებსაც. ესენი ვაჭ-რობას სხვა თვალით უმზერენ. სწორეთ ამის მიზეზი უნდა იყოს, ჩემი ფიქრით, ის, რომ წარსულ საუკუნეში შავშეთში გაჩნდენ სომხები და კათოლიკები, რომლებ-მაც ვაჭრობა იწყეს და ხელში ჩაიგდეს მთელი შავშეთის ერის აღებ-მიცემობის საქმე!.. მცირე ოდნათ შავშელებ-მა ამათი მეოხებით გაახილეს თვალები და ცოტ-ცოტა-თი თვითონაც იწყეს ვაჭრობა.

რადგანაც აქ სიტყვა სომხებზე ჩამოვარდა, ამიტომ იმათაც მოვიხსენებთ და გავაცნობთ მკითხველებს. შავ-შეთში ოთხი სოფელია სომხებით დასახლებული. ორში

კათოლიკები ცხოვრობენ და ორში გრიგორიანები. მე ამათ შესახებ იმას ვიტყვი, რაც ჩემი თვალით ვნახე და რაც მათ მიამდეს. სომხები და კათოლიკები ძველათვე და-სახლებულან აქ და ვაჭრობა დაუწყიათ. ამათი ვაჭრობა ძალიან მცირე ყოფილა, ესენი ყოველთვის შიშ-ქვეშ ყო-ფილან მომწყვდეული, ხშირათ ცარცვავდენ ხოლმე აქა-იქ, ნამეტურ მეგზავრობის დროს; ისინი ისე შავშელებისაგან არ იცარცვებოდენ, როგორც სხვა თემის მუსულმანთა-გან. ამათი მდგომარეობა იქამდის სამწუხარო ყოფილა, რომ ესენი მაპმადიანებისაგან ყოველს წუთს ელოდენ აღგვას!... ამათი ვაჭრობაც ისე წარმოებდა ყოველთვის, როგორც ერს ჰსურდა. რის გამო აქაურ ვაჭრებს ყოველ-თვის სული ეხუთებოდათ პირში!..

აქაური სომხები და ფრანგები მეტათ წყნარი და მშეიღობიანი ხასიათის მექონე ჯრიან. მოგზაურ ქრისტია-ნების დიდი პატივის მცემლი; ესენი როცა-კი შავშელში ვინმე ქრისტიან მოგზაურს ნახავენ, დიდათ ესიამოვნებათ, უხარიათ, არ იციან როგორ ასიამოვნონ მას... ამ მხრით სანაქებოა მათი წყნარი, მშეიღობიანი საქციელი, პურ-მარილის სიყვარული და სხვა. ამათ მიამდეს შემდეგი:

ოსმალოს დროს ჩვენი საქმე ისე იყო წამხდარი, რომ როცა კი მაპმადიანები ისურვებდენ, ჩვენ ჩვენი საკუთა-რი სახლიდან გამოგვრეკდენ, შიგ თვითონ მოთავსდებო-დენ და ცეკვა-თამაშას დაიწყებდენ. უარის თქმას ვინ გა-ბედავდა, ყველას აგვიკლებდენ. გარდა ამისა, ვისმეს ქორ-წილს რომ გადვიხდიდით და პატარძალს საქორწილო ტანთ-საცმელს ჩავაცმევდით, ეს ტანთ-საცმელი რომ ჩვენს მოხელეებს ენახათ, ისინი მეორე-მესამე დღეს კაცებს გა-მოგვიგზავნიდენ და შემოგვითლიდენ, რომ თქვენი პა-ტარძლის ტანთ - საცმელი გამოგვიგზავნე ეხლავ, თვარა

მოვალთ და აგიკლებთო... უნდა იმედგარიყავით ჩვენცა,
 პატარძლისთვის ახალი ტანთ - საცმელი უნდა გაგვეხადა,
 შეგვეხვია ბოხჩაში და გაგვეგზავნა დანიშნულებისამებრ,
 ვინც ითხოვდა, და თუ არ აუსრულებდით სურვილს და
 სიტყვას, მაშინ შენი მტერი, რაც ჩვენ დღე დაგვადგე-
 ბოდა... ერთი რამ დღესასწაული დღე, ლხინი ან რამე
 ისე არ შეგვეძლო გადაგვეხადა, რომ მათგან რამე დევნა
 და მუქარა არ მიგველოო...

შავშეთსა და იმერ-ხევში სულ სომეხი რიცხვით
 250 კომლი იქნება. აქეთ სამი ეკულესია, ორი კათოლი-
 კების და ერთი გრიგორიანების. აქეთ პატარ-პატარა სას-
 წავლებლები და ასწავლიან წერა-კითხვას. ვაჭრობის გარდა,
 ესენი მეურნეობასაც მისდევენ და ზოგნი მათში გამდიდ-
 რებულან კიდევ. აწინდელ შავშეთის მაჰმადიანებთან მათ
 კარგი განწყობილება აქვთ. ესენი ცხოვრებენ დაბა სათ-
 ჯეს, ოქრო-ბაგეთს, სათჯეს, პზივაურს და მამა-ნედისს.
 თოსავე ამ სოფლის მცხოვრებ გრიგორიანებმა და კათო-
 ლიკებმა ქართული დაპარაკიც იციან შეძლების და გვარად.
 ისმალიურს უფრო კარგათ ეწყობიან. აქ მცხოვრებ კათო-
 ლიკების შესახებ დიდი ხანია, რაც ჩვენს კათოლიკებში
 შემდეგი აზრი ტრიალებს და აქ არ შეიძლება, არ მო-
 ვიყვანოთ.

ამბობენ, ქართველთა დევნულების დროს, ზოგიერთ
 ქართველებს, რომლებსაც სურდათ მაჰმადიანებისაგან თა-
 ვი გადაერჩინათ, თავის-თავი კათოლიკეთ აღიარესო და
 კათოლიკის სარწმუნოებას შეუერთდენო. შემდეგ ამ ქარ-
 თველ კათოლიკებისათვის საეკკლესიო ენათ სომხური
 ენა იქნა შემოღებულიო. რაკი საქმე ასე მოხერხდა
 და ქართველ კათოლიკების საეკკლესიო ენათ სომხური
 ენა გარდიქცა, მას შემდეგ ქართველებმა იწყეს სომხურათ

ლაპარაკის მაჩვევეა და დროის განმავლობის მეოხებით მათ სამშობლო ენათ სომხური ენა გარდიქცაო. აი, ასეთ კათოლიკების რიცხვს გყუთვნიან არდანუჯის, შავშეთის, ართვინის და ბევრი კიდევ სხვა აღგილების კათოლიკებიო, რომლებიც დღეს თავის ვინაობას სომხობრთ ხატავენო. ამ აზრის დასამტკიცებლად კმარა ისიც, რომ ჯერაც კიდევ მათში ქართული ენის სიტყვები არ აღმოფხვრილა და ლაპარაკის დროს ესენი ძალიან ბევრ ქართულ სიტყვებს ხმარობენ ისეთ სიტყვებს, რომლებსაც არავითარი მსგავსება და ნათესაობა არა აქვთ სომხურთან.

შავშელები არა მარტო ვაჭრობში და სხვა და სხვა ხელსაქმეებში არიან უკან ჩამორჩენილი, განათლებითაც ერთობ დაბლა დგანან. დღევანდელი ამათი განვითარების ზომა XII საუკუნის განვითარებასთან შედარებით ერთობ დაბლა დგას!.. მთელ შავშეთში არ მოიპოვება ერთი კაცი, რომ რისმე შესაფერი ცოდნა ჰქონდეს, იცოდეს ევროპიული ენები, მეცნიერება და სხვა. ევროპიული ენების კი არა და, რუსული ენის მცოდნე არავინ არის; ერთ კაცს ვერ ნახავთ, რომ მასთან შეიძლებოდეს განვითარებული კილოთი ლაპარაკი. ამათი მდგომარეობა დღეს ისეთი პირობებით არის გარემოცული, რომ, მემგონია, ჯერ დიდი ხანი გაივლის ისე, რომ ამათში ან განათლება შევიდეს და ან განათლების მნიშვნელობის მცოდნე პირები გაჩნდენ. ამას თავისი მიზეზები აქვს და, რასაკვირველია, რომ ეს მიზეზი მაჰმადიანობა და მისი ფანტაზმია. სამწუხაროდ, შავშელები და მთელი მაჰმადიანებიც სწავლა-განათლებას ისე უმზერენ, როგორც იარაღს, ცხოვრების და სიმდიდრის მოპოვებისთვის და არა ისე, როგორც ძალას და სახსარს კაცის გონების

გასანათლავათ, გასასპეტაკებელათ და გასაშვენებლათ. ასეთ იარაღათ ამათ უფრო ჩვენებური სწავლა მიაჩინათ, თვარა თათრულს სხვა ფერ უმზერენ; თათრული სკოლები, მათი ჰაზრით, ღვთისა და მაპეალის სახლია.

ჩვენ აქ ლაპარაკი ჩამოვაგდეთ სკოლების უქონლობის გამო. დიახ, შავშეთში სკოლები არ არსებობს. თუმცა ხოჯებსა და მოლებს-კი ყოველ ჯამეს გვერდით აქვთ გამართული პატარა მედრესები, მაგრამ იქ არა საპედაგოგიკო წესები არა არსებობს რა და მათი არსებობა უფრო საზარალოა, ვინემ სასარგებლო. ხოჯა მთელის წლობით მარტო ან-ბანს და ლოცვებს ასწავლის ბავშვებს ამ სკოლებში ოთხი-ხუთი წელიწადი სწავლობს ბავშვი, მერე სკოლიდან გამოდის და მას იმდენი ცოდნაც არა აქვს, რომ თავის სახელი და გვარი მოაწეროს, ან ვისიმე წერილი წაიკითხოს. სწავლის დროს ცემა-ტყებასაც დიდი ადგილი უჭირავს. საკლასო თათხები ერთი ბეწო. ბავშვები შიგ უბრალოთ ჰყრიან იატაკზე, ძრეს წიგნები მუხლზე უწყვიათ და ისე სწავლობენ. ამათში სკოლის საქმე რო აღიძრას და მოხერხდეს, ძრეელ კარგი იქნება, ნამეტურ იქ, სადაც სომხები და კათოლიკები ცხოვრებენ. ესენი ნატრულობენ სკოლებს. ამათ თათრებიც მიჰმაძვენ. შავშეთში ისეთი სოფლებიც არის, სადაც აუკილებელს საჭიროებას შეადგენს ჩვენებური სკოლის დაარსება.

სასულიერო წოდებას ამათში დიდი ადგილი უკავია. ყოველ სოფელში ჯამე (და ზოგ ალაგას შვენიერი ჯამე-ებიც) აქვთ გაკეთებული. აქაური მოლა-ხოჯები უფრო მღიდრათ ცხოვრობენ, ვინემ აქარაში; აქაურებს ჯამა-გირსაც მეტს აძლევენ. მიზეზი-კი არ ვიცი, თუ რის-თვის არ-ს ასე. მოლა-ხოჯები აქაც სტამბოლიდან, ტრა-

პიზონიდან და სხვა ასეთ ადგილებიდან მოდიან. სწავლის იქ იღებენ, თუმცა ამათ არაფერი სწავლა ეტყობათ. იციან მხოლოდ ლოცვები, „ყორანის“ კითხვა და სხვა, სასულიერო საქმეების გარეშე ამათ ხალხზე არაფერი გავლენა აქვთ. თუმცა შავშეთს თავის მეჯლიშიც აქვს, ყადები ჰყავთ და ხშირათ ბევრს სახალხო საქმეებს ესენი არჩევენ, მაგრამ ვაი ამისთანა გარჩევის! ამათში სამართალი ყადების მეოხებით ფულებზე იყიდება. ამაზე ანდაზებიც-კი აქვთ შედგენილი. ყოველი ყადი მზათ არის, სამართლის გარჩევის დროს იმ პირს მიემსროს, რომელიც მეტ ფულს აძლევს. ხშირათ მოხდება ისე, რომ ორივე მხარეს ართმევენ ქრთამს, ხოლო რომლისაც უფრო მეტია, მას ემხრობიან. შავშეთის მეჯლიშში ყადთა შორის ერთი სომეხიც ურევია, რომელიც მონაწილეობას იღებს საქმეების გარჩევის დროს, მხოლოდ მაშინ, თუ თათარს და სომეხს მოუხდათ რამე საჩივრები. მეჯლიშს შეუძლია მხოლოთ სამოქალაქო საჩივრების გარჩევა და დამნაშავის ხუთი წლით გაგზავნა, ციხეში დაპატიმრება და სხვა.

საუბედუროთ, შვენიერ და მეტათ მოხდენილ შავშეთში ჩვენი ძველი ცხოვრების ნიშნათ ბევრი არაფერი ნაშთები დარჩენილია. აქაც უამთა ვითარებამ და ბნელმა გარემოებამ ჩანთქა ყოველისფერი ისევე, როგორც დასავლეთ საქართველოს ზოგი ერთ მხარეებში... შავშეთი ისტორიული ნაშთებით ძველათ მღიდარი იყო. ეს ჩვენს ისტორიაშიც ხომ ცხადი არის, მაგრამ ახლა-კი ტბეთის ტაძრის, დარღვეული ოპოზის და ორი-სამი კიდევ პატარა ეკადემიური და ციხეებს გარდა სხვა აღარაფერია დაშთენილი, ყველაფერი აღგვილა!

ტბეთის ტაძრიდან სდგას სოფ. ციხას-ძირს, ანუ, როგორც ჩვენები ამბობენ, ტბეთში. მონასტრის გამო

სოფელს „ტბეთს“ უწოდებენ ჩვენში, იქაურები-კი — „ციხის ძირს“. ეს სახელწოდება „ტბეთი“, ვახუშტის თქმით, და-
 რქმევია მრავალ ტბათა გამო, რადგანაც არსიანის მთების ძირს, შევშეთის მხრით, ბევრს აღაგს პატარ-პატარა გო-
 რაკებია და ამ გორაკების შორის აქა-იქ კაცი ხშირათ
 ნახავს პატარ-პატარა ტბებს. დღესაც ასევეა. მე პირველ
 ნახევითანავე გავკვირდი ასე ხშირი წყლების გამო; გუბე-
 ბი მეგონა, მაგრამ ამიხსნეს, რომ ტბებიათ. აქ ეს პატა-
 რა ტბები მაღლ დაშრება და აქა-იქ გადიშვება, მაგრამ
 მათ გზა არა აქვთ, გორაკები კედლებივით არის გარშე-
 მოქრული და წყალს არ უშვებს, რომ საითმე გადავიდეს.
 ხალხმა რომ მოინდომოს, ძალიან მაღლ დააშრობენ ამ პა-
 ტარ-პატარა გუბე-ტბებს.

ტბეთის ტაძრის აშენება ეკუთვნის შეათე საუკუ-
 ნის დასაწყისს. ის აუშენებია აშოტ-კუხს, — კურატეალატ
 ბაგრატოვანს. ეს ეკულესია იმავ დროს დანიშნულ. იქმნა
 საკათედრო ტაძრათ და განიწესა ეპისკოპოზი, რომე-
 ლიც ტბევარათ იქმნა წოდებული. ბაგრატ მეოთხის
 დროს ეს ტაძრი დიდათ გაბრწყინდა, აქ ვინც-კი იყვენ
 ეპისკოპოზები, ყველანი მწიგნობარი კაცები და თა-
 ვის დროის შესაფერათ განათლებულნი იყვენ. ნამე-
 ტურ იონე ტბევერი და საბა და ამათთან კიდევ სხვანი
 ჩვენს ისტორიაში მეტი მაღალი ლირსებით სჩანან. იმავე
 დროს ტბეთის ტაძრის გვერდით აშენებულ იქმნა ვრცე-
 ლი სასწავლებელი, რომლის რექტორათ ტბევერები
 ითვლებოდენ. ამ სასწავლებელში სწავლობდა შოთა რუს-
 თაველი, იონა შავთელი და სხვები. ამ სასწავლებლის
 მასწავლებელთაგან შემუშავდა ქართული გალობა, აქ შეი-
 კრიბა მთელი დასი ქართველ მასწავლებლებისა, რომლებმაც
 შეაღვინეს ქართული გალობის ნოტები. მძვირფასმა ხელთ-

ნაწერებმა ჩვენს დრომდისაც მოაღწია. უნდა ითქვას, რომ ტბეთის ეკულესია საქართველოში ისეთივე მნიშვნელოვანი იყო, როგორც მცხეთა, გელათი, ზარზმა, ბოლნისი და სხვანი. ტბეთის მონასტერი უფრო მეტი მნიშვნელოვანიც იყო სწავლა-განათლების მხრით, რადგანაც საბერძნეთში ნასწავლი ქართველნი პირველად შევშეთში მოდიოდენ და ტბეთის ტაძარში ისადგურებდენ.

ტბეთის გაისკოპოზები მამფლებლათაც იწოდებოდენ, ე. ი. მამფალი. ეს სატყვა წარმომდგარა მისგან, რადგანაც ტბეთს ბევრი ყმა და მამულებიც ჰქონდა და საეკულესიო ყმანი მღვდელ-მთავარს მამფლადაც უხმობდენ. ტბევერს მეფეების და მირონის კურთხვაში მეშვიდე ადგილი ეკავა. ტბეთის ეკულესის სასწავლებელში ბევრი ბერძენი, და ქართველი გამოზდილი. ამ მწიგნობრებისაგან ბევრი წიგნებიც დაწერილია. ძველი ქართველი მწიგნობრობა თითქმის ამ ტაძრის სასწავლებლიდან გაბრწყინდა და მოიფინა; აქ უცხოვრიათ თითქმის ყველა გამოხენილ ქართველ მწიგნობრებს და მთარგმნელებს; აქ სცხოვრებდა დროებით თვით გიორგი მთაწმინდელი, ექვთიმე, იოანე და სხვებიც მრავალნი მამანი ქართველთა ეკულესისა და მწერლობისა. ასეთი დიდი იყო მნიშვნელობა ტბეთის ტაძრისა ძველათ.

ტბეთის ტაძარი გაკეთებულია წითელი თლილი ქვით, ოთხ-კუთხედი ჯვარედინის მხგავსად. თფილისში ამას მცირეთ ქაშუეთის ეკულესის მოყვანილობა წააგავს. საკმარისად სქელი კედლები აქვს, ეკულესის სიგანე იქმნება 35 ნაბიჯი და სიგდეც ამდენივე. ეკულესის შუა ალაგას ატანილია ოთხი დიდი თლილი ქვის სვეტი. ეს სვეტები აერთებს ამ ეკულესის კედლებს ერთმანერთთან. თვით ამ სვეტების თავზედ დგას ეკულესის გუმბათიცა. ასე

რომ ეკკლესიის კედლები თუნდაც მთლათ დაიქცეს და ეს სვეტები-კი დარჩეს ისე, როგორც სდგანან, მასზე მკვიდრათ დაშთება გუმბათი და არ დაიქცევა. ეკკლესიის აღმოსავ-ლეთისკენ საკურთხეველის ადგილი ეტყობა; საკურთხე-ველის გვერდით პატარა ოთახია; ეს უთუოდ ეპისკოპო-ზის შესამოსლის და საეკლესიო ნივთების საწყობი იქნე-ბოდა. ეკკლესიაში მარჯენა სვეტთან ახლოს არის ამ ტაძრის მღვდელ-მთავრის საჯდომი ადგილი; ეკკლესიის სამხრეთ გვერდით მაღლა არის აივანი, რომელსაც წინ თლილი ქვის მოაჯირები აქვს. ეკკლესიის შესავალში, კა-რების ზემოთ არის აგრეთვე პატარა თლილი ქვის აივა-ნი, რომელსაც წინ ფერადი წამლებით ნახატები აქვს. ჩანს, ეს მგალობელთათვის უნდა ყოფილიყოს. ეკკლესიის ჩრდილო მხარეს, ორი საეკენის სიმაღლეზე, კედელი დაქ-ცულა, ქვები იქვე ჰყრია; ასევე ჩამოქცეულა სამხრეთ კედლის ერთი ალაგი; დანარჩენი მთლათ არის; საკურ-თხევლის კედელიც გახეთქილა, მაგრამ მცირეთ მოშორე-ბიან კედლები ერთმანეთს. მათი დამაგრება დიდ ხარჯს არ მოითხოვს. ეკკლესიის ყოველ კედელზე თქვენ შე-ნიშნავთ შვენიერს სურათებს. საკურთხევლში დახატულია მთელი ტანით მაცხოვარი და მისი მოციქულები, აქვე, ამათ ახლოს დახატული არიან ვიღაც ქართველი ისტო-რიული პირები — ქალები და კაცები; ნახატების ტან-საცმელი აჩენს, რომ ისინი ქართველები უნდა იყვენ. ბევრ ალაგას ნაწერებიც ჩანს. მთელი ეკკლესია საფლა-ვებით ყოფილა სავსე. ეკკლესიის სამხრეთ მხარეს, სვეტ-თან ძევს ერთი დიდი შავი ქვა, რომელსაც სიმაღლე ექ-ნება ორი არშინი და სიგრძე საეკენის ტოლა; შეტათ შავი ქვა არის, მარმარილოს ჰგავს. აქ არ იციან, თუ რა ქვა არის ეს და საიდანაა მოტანილი. ეს ქვა ძევს ერთ

საფლავზე. ამ ქვის მახლობლივ ეკკლესიის ცედლის ერთ ქვაზე გამოჭრილია ჩუქურთმით მაშენებელი ამ ეკკლესისა აშოტ ბაგრატოვანი, საგმირო ტანთსაცლმით და ხმლით. აქაური მაჰმადიანები ამბობენ, რომ ამ ქვის ქვეშ თამარ მეფე ასაფლავიაო. ორმოცმა კაცმა სწია ეს ქვა და ვერ მოაცილეს საფლავსაო.

ეკკლესის გარედან ბევრი ჩუქურთმები ეტყობა, ხანათურების გვერდით, ნამეტურ გუმბათში. გუმბათის მზე-რა კაცს განცვიფრებაში მოიყვანს, ის დიდ შთაბეჭდილებას ახდენს მნახველზე. გუმბათში ერთ ალაგას დატანებულია ერთი თლილი ქვა, რომელზედაც ამოჭრილია შემდეგი ხუცური ასოები, რომელიც მომყავს მე აქ სწორეთ იმ სახით, როგორც ქვაზეა ამოჭრილი:

პ ი. პ ჩ ხ ხ

ეკკლესის გარედან ბარ ალაგას აქვს წარწერები, ბევრ ალაგას ქვები მომტვრეულა და ზოგიერთი წარწერიანი ქვები ძირს ჰყრია. როგორც მითხრეს, ამ ეკკლესიის გვერდით ძრიელ ბევრი წარწერიანი ქვები ეყარაო. ყველა ის ქვები ყუთებში ჩააწყეს და მოსკოვს წიაღესო; ასევე დაუთხრიათ ეკჭლესიის საფლავები, შიგ ბევრი ოქრო ვერცხლის ნივთები აღმოჩენილა და ისიც თან წაულიათ! გუმბათის ზემოთ, ჯვარს ამ სამი წილის წინეთ მეხი დასცემია და გუმბათისთვის ვერაფერი დაუკლია, მხოლოდ, სადაც დასცემია, იქ ერთი არშინის ტოლაზე ქვა ჩაუტეხია და ჩაუქცევია. ისე მაგრა შედუღებულია გუმბათის ქვა და კირი და ისე შეზავებულია ერთმანეთში, რომ ძნელათ იგი ქარმა, სეტყვამ და მეხმა დაანგრიოს. საბრალო ნაშთს კაცის ხელი და მტრობა არ ეყო და ბუნებამაც მასზე მოიცალა. მეხის დაცემამ აქაურს მაჰმადიანებზე ერთობ ცუდი გავლენა იქონია:

ტბეთის ეკულესია მათ ჯამეთ ჰქონდათ, მეხისა ძლიერ შეეშინდათ, მაშინათვე ჯამე მოშალეს და სხვაგან გადირანეს. ჯამეს გასაკეთებელ მასალათ მათ დაუქცევიათ ტბეთის ეკულესის სამრეკლო და მისი ქვები მოუხმარებიათ ჯამესთვის. ეკულესის გარშემო გალავანიც ჰქონია, საღაც ერთი დიდი ყვითელი ქვა გდია: რგვალი, თლილი ქვა, სიგძე ექმნება ერთი საუენი. ამბობენ, რომ ეს შვენიერი ქვა აღრე აქ ერთს საფლავზე მდგარა. არ ვიცით, თუ ეს საფლავი რისთვის დააქციეს.

შავშელები ტბეთის ტაძრის შესახებ ბევრ ზეპირ-ამბებს მოვგითხრობენ. ესენი ამბობენ, რომ ტბეთი თამარ დედოფლის გაკეთებულიათ. მაინც აქაც ისევე იციან თამარ მეფის სახელი, როგორც აქარაში; აქაც ძველ ნაშთების კეთებას თამარ დედოფლს აწერენ; აქეთ არ მოიძებნება ერთი ქართველი მამალიანი, რომ იმან თამარ მეფის სახელი არ იცოდეს.

ტბეთის ეკულესის სიმაღლე რვა საუენიდან ათამდის ექნება, ერთ ქვაზე მინაწერია შემდეგი:

შუ ყე ჭა ჩა რა

ტბეთის ნაშთს გარდა, შავშეთშივე ძევს ოპოზის ტაძრი, სწორეთ იმ მდგომარეობაში მყოფი, როგორც დ. ბაქრაძეს აქვს აღწერილი. ეს ტაძარი ტბეთიდან 30 ვერსის სიშორეზეა, ჭოროხის ნაპირას, წითოს-ციხის მახლობლათ. ოპოზის ტაძარი ჩვენს ისტორიაში ნათლისმცემლის უდაბნოთ იწოდება და აქ ყოფილან მამანი ოპიზარნი, რომელთა ხსენება ვრცლათ არის ჩვენს ისტორიაში აღწერილი. ოპოზის აღშენება მიეწერება მეცხრე საუკუნის დასასრულს, გურგენ ბაგრატოვანს. ეს ტაძარი მეტათ ძვირფასი განძეულებით იყო შემკობილი, თუ გარეგან და თუ შინაგან. ამ ნაშთებს გარდა, აქა-იქ თითო

ოროლა ნაშთებიც არის, მაგრამ იგინი ისე დაკნინებული არიან, რომ მათი აღნუსხვა აქ არ ღირს.

ისტორიულ ნაშთებთან შავშეთში ერთათ ქართული ენაც მოსპობილა... როგორც გადმომცეს აქაურმა მოხუცებულებმა, აქ ქართული ენა ამ 60 წლის განმავლობაში მოსპობილა. აქაურების თქმით, შავშეთი ყველაზე ადრე გათაროებულა, ბევრათ უწინარეს აქარელებზე, ამიტომ ამათში თათრული ენაც ერთობ ადრე შემოსულა ხმარებაში; მეთვრამეტე საუკუნეში შავშეთში თათრული ენა უკვე მოუცნილი ყოველა. ყველა ოჯახში სცოდნიათ თათრული ლაპარაკი და სწორეთ ამ ენის შესწავლა გამხდარა მის საფუძვლათ, რომ ამ 60 წლის წინეთ შავშეთში ქართული ენა სრულიად ამოვარდნას მისცემია. აქ მითხრეს მოხუცებულმა კაცებმა, რომ ჩვენ პატარაობის დროს აქ ქართულათ ვლაპარაკობდითო, ჩვენი ძველებიც ასევეო, მაგრამ შემდეგ გადავვიწყდათ, დიდი ხანი არ არის, რაც ქართული გადავარდათ. ყოველი შავშელი თავის თავს გურჯათ აღიარებს. ყველა ამბობს, რომ ჩვენ ქართველები ვართ, რომ ქართველები არ ვყოფილიყავთ, ძაშინ აქ ტბეთის ეკულესიას რათ გა-აკეთებდენო.

შავშეთში ქართული ენის ნიშნები აქა-იქ დარჩენილა, მაგალითებრ, მთებს, ხეობებს და ნამეტურ სოფლებს შერჩენიათ ქართული სახელები. აქეთ ყოველ სოფელს ქართული სახელი ეწოდება და ქართული სახელის არა მქონე სოფლები იშვიათია. აი ამ სოფლების სახელები: სათლელი, საბუდარა, მურღენი, გამა-ნელისი, გურნათელი, მოროხოსი, ზენდობა, ცეკხლაური, ცორუვალი, მოქვთა, მუხნობანი, ვერხვნალი, ხანთუშეთი,, ქვათერასი, ოქრო-ბაგეთი, სულობანი, ციხე, მერია, დაბა წვრი-

ლი, სულესი, შავქეთი, ბალავანი, რიბათი, კუპენი, სა-
 ფარა, სამჯელ, ქვათეთრისი. აქ არის პატარა ნაეკლესი-
 არი. ჩიხტა, ციხისძირი, ტბეთი, ხოხლეური, გარყილუ-
 ფი, ჯვარები და ახალდაბა და სხვა. ზოგიერთები ამ უკა-
 ნასკნელ სამ სოფელში ქართულ ენაზე ლაპარაკობენ
 და მიტომ აქ პატარა უნდა შევჩერდეთ და შევეხოთ ენის
 დაკარგვის საქმეს შავშეთში.

შავშეთში ქართული ენის დაკარგვის საქმე და მისი
 მიზეზების გამოკვლევა რთული გამოსაცნობია. მით უფრო
 საძნელოა, რომ მთელს შავშეთში ქართული ენა დაკარ-
 გულა და, გარდა სიტყვა „ბიჭო“ სი, არა დარჩენილა
 რა. დაძახების დროს ამ სიტყვით მიმართებნ ერთმანეთს.
 ქართული ენა შავშეთში შენახული მხოლოდ ერთ სო-
 ფელში, სახელდობრ: სოფელ ახალ-დაბას. ახალ-და-
 ბა შუაგულ შავშეთში ძევს; გარშემო სულ სოფლე-
 ბი აკრავს, სადაც თათრულ ენაზე მოსაუბრე ქართ-
 ველი მაჰმადიანები ცხოვრებენ. როგორ მოხდა ეს, რომ
 მთელმა შავშეთის სოფლის ქართველობამ დაკარგა ქარ-
 თული ენა და შიგ შუა გულ მდებარე სოფ. ახალდაბის
 ქართველებმა-კი შეინახეს თავიანთი დედა-ენა?! აქ რაღაც
 სხვა საიდუმლო მიზეზები უნდა იყოს, აქ სულ სხვა რა-
 ღაც ცნობები უნდა არსებობდეს, რომლებიც უამთა მი-
 მდინარეობას ჩაუყლაპავს და გაუქრია ისევე, როგორც
 ქართული ენა შავშეთში!..

სოფ. ახალ დაბის მცხოვრები რიცხვი 100 კომლ-
 ზე მეტია; აქ ყველამ ქართული ენა იცის და ქართულათ
 საუპრობენ. აქ ვიკითხე ამის მიზეზი და სხვა-და-სხვა ნა-
 ირი ცნობები მითხრეს; საზოგადოთ-კი შემდეგი დაკვენა
 გამოვიდა: ახალ დაბელნი ერთობ გვიან გადუდენ სჯულ-
 სო. მათ ჯერეთ სჯულის გამო ვქონიათ ჩხუბი და დავი-
 8

დარაბა, ომები და მერე რის წეალებით გათათრდენ,
 მაგრამ არც გათათრების შემდეგ მოისვენესო; უარეს-
 საქმეებს გათათრების შემდეგ ჩადიოდენო. ორმოც-და-
 ათ წელიწადზე მეტი ისინი თათრებიც იყვნენ და ქრის-
 ტიანობდენ კიდეცაო. ამაზედაც ბევრი დავიდარაბა გა-
 მოიარეს, მაგრამ არ გატყდენ, არ იქნაო! თავის სჯულ-
 ზე და ლაპარაკზე მაგრათ იღგენო. ოსმალელებს მობეჭრ-
 დათ მათთან ჩხუბი, დავიდარაბა და, რაკი გაათათრეს,
 ენის შესახებ თურმე ხმას ალარა სცემდენ. ახალდაბელებ-
 თან ვერც მოლა-ხოჯები აწყობდენ თურმე რასმე; რამ-
 დენსაც ისინი მათ დარიგებას აძლევდენ, იმდენათ ახალ-
 დაბელები უფრო მიგრდებოდენ. საქმემ იქამდის მიაღწია,
 რომ ახალ დაბელებმა შავშეთის სხვა-და-სხვა სოფლის ხალ-
 ხთან ნათესავობა მოსპეს, არავის ეკარებოდენ ახლოს,
 ქალს არავის აძლევდენ ცოლათ, არც თვით თხოულობ-
 დენო; სხვა სოფლის ხალხი მათ სხულდათ და სულ ერთ-
 მანეთში ჰქონდათ მისვლა-მოსვლა და მეგობრობაო. პირ-
 დაპირი მიზეზები ეს არის, რომ შავშელებმა ქართული
 ენა დაკარგეს და ახალ დაბელებმა-კი შეინახესო. და-
 ნარჩენ სოფლის ხალხსაც რომ ასეთი გმირობა გამოეჩი-
 ნა, მაშინ, ცხადი საქმეა, არც იგინი დაივიწყებდენ ქარ-
 თულ ენას, მაგრამ ისინი ოსმალელებს დაშორებილდე-
 ნო. უნდა ვთქვათ, რომ ამათი ესეთი მორჩილება სხვე-
 ბისთვის საკიცხველათაც გახდა და აქარლებს მაშინ შე-
 ეჯავრათ შავშელნიო. აქარლებს რომ შავშელები დღე-
 საც ეჯავრებათ და მათ მხდალს ეძახიან, ეს ყველასათვის
 ცხადი საქმეა. აქარლები შავშელებს მევირებს ეძახიან; რა
 მათი საქმეა გმირობა, ფირალობა და თავის გამოჩენა, მაგე-
 ნი წისკილში ვირებით სიმინდს უნდა ეზიდებოდენო. ეს
 ზიზღი და დაცინვა მათში ისე გამწვავებულა, რომ შავშეთ-

ში აქარელ კაცს, თუ კარგა გულიანათ არ თხოვა, სახლშიაც-კი არ აძინებენ; ეს მე თვით შემემთხვა. ჩემ სტუმრობას დანატროდენ შავშელები, მაგრამ აქარლები რომ თან მახლდენ, ეს კი ვერაფრათ მოწონდათ. ბევრ გზის მთხოვეს:—ბატონი, ეგ აქარელი კაცები მოიცილე თავიდან, აქარაში წავიდენ და ჩვენ გიპატრონებთო.

უკანასკნელ რუს-ოსმალო ომის დროს, ზემოხსენებული ადგილები რუსეთის იმპერიას შემოუკავშირდა. მით აღსრულდა ნატერა ჩვენთა მამა-პაპათა. როგორც სხვა ადგილები, ისე შავშეთიც ჩაბარდა რუსეთს. ამ დროს ყველაზე დიდი ფანატიზმით გატაცებული მაჭახელი და ქობულეთი აღმოჩნდა. შავშელებს ხმა არ ამოუღიათ, მთელი მაჭახელი ლი გადასახლდა ოსმალეთში, მურღული მთლად დაიცალა, ვანა, ქობულეთი, აქარიდანაც საკმარისი რიცხვი წავიდა და შავშეთიდან-კი სულ რამდენიმე კომლი დაიძრა. ასე მთელი შავშეთიდან—ოცი კომლი; ისინიც სინანულში შევიდენ ბოლოს. სოფელი ახალ-დაბა-კი მთლათ ამხედრდა, ქართულ ენაზე მოსაუბრე მაჰმადიანები მთლათ დაირაზმენ და ასტენეს საუბარი, რომ არიქათ, თაეს ვუშველოთ, თორემ ჩვენი საქმე ცუდათ იქნებათ, რუსები ჩვენთათრად არ გაგვიშვებენ, გაგვაქრისტიანებენო. შავშეთში ყველაზე დიდ ფანატიკოსებათ ქართულ ენაზე მოლაპარაკე მაჰმადიანები აღმოჩნდენ. ესენი დიდათ შეცადინებდენ, რომ დანარჩენი მაჰმადიანებიც აეყოლიებინათ, მაგრამ არავინ აჰყვა მათ. მათგან ბარე 100 კომლამდის შეგროვდა და გადასახლდა ოსმალეთში. იმათი წასვლა იყო და შავშეთის ხალხის ეჭვიანობით დარჩენა შავშეთში. ამათაც აუცრუვდათ გული და ესენიც აპირებდენ აყრას და წასვლას.

გავიდა რამდენიმე ხანი და იყო, ერთ დღეს, ახალ და-
 ბელი ქართველ-მაჰმადიანები შავშეთს ისევ არ ეწვიენ! შავშელები სახტათ დარჩენ ამათი მოსვლით და ჰკითხეს,
 კაცი, რათ დაბრუნდით, ჩვენც იქით ვაპირებდათ წამო-
 სვლასო. მათ მიუკეს: ღმერთმა ნუ ჰქმნას, ჩვენ ეს ერ-
 თი წელიწადი ვიარეთ, ვეთრიეთ, მაგრამ შავშეთის მსგავ-
 სი იქ ჩვენ ვერაფერი ვიპოვეთ და ამიტომ ისევ აქეთ
 დაებრუნდით; ღმერთმა ნუ ქნას, რომ ჰქვენთაგანი იქით
 ვინმე წავიდეს; იქ დახოცვა უნდა ვიზითოთ, იქ ცხოვ-
 რებას და სიხარულს, ამის ფასს ჩვენ იქ ვერაფერს ვპო-
 ვებთო!.. შავშელებმა ჩაქმინდეს ხმა, გულიდან მოიშორეს
 გადასახლების ოკნებები და დარჩენ თავის სოფლებში.
 ახალ-დაბელებიც დამკიდრდენ ისევ ახალდაბაში და
 მას შემდეგ ცხოვრებენ ზემოხსენებულ სოფელში და
 ისევ ძველებურათ ქართულ ენაზე საუბრობენ. სა-
 ქმე ისე იყო დაყენებული, რომ ახალ დაბელები იმ ხა-
 ნებში არ მოსულიყვენ უკან, მაშინ დანარჩენი შავშელე-
 ბიც აპირებდენ აყრას და ოსმალეთში გადასახლებას. მაგ-
 რამ საქმე ასე დატრიალდა. უნდა ითქვას, რომ დღესაც
 შავშეთში უფრო მკაცრი ფანატიზმით ქართულ ენაზე
 მოხატულ ახალ-დაბელები არიან და არა თათრულათ მო-
 საუბრე ქართველ-მაჰმადიანები.

შავშეთში სოფელ ახალ დაბას გარდა, ქართულ
 ენაზე ლაპარაკობენ სოფელ გარყილუფუში. ამ სოფელზე
 ჩვენ არაფერს ვიტყვით, რადვანაც იგი შავშეთის განპირა
 მდებარეობს, იმერხევისაკენ და იმერხევში ხომ ქართული
 ენა არსებობს. იქ მცხოვრებ ქართველ-მაჰმადიანთა რიცხვი
 60 კომლზე მეტია. ამ სოფლის ახლოს, ერთ ალაგას
 დღევანდლამდის ჩახს პატარა ნასაყდრალი. ქართულათ
 ლაპარაკობენ კიდევ შავშეთში სოფ. ჯვარებში; ეს სო-

უელიც შავშეთის განაპირას ძევს. აქ მცხოვრებლები
 რიცხვით 60 კომლზე მეტაა. ქართულათ ლაპარაკობენ
 აგრეთვე სოფელ შავ-მთაში, (იონე შავთელის სოფელია)
 და სოფ. წითურეთში; ეს სოფლებიც შავშეთის განაპი-
 რას ძევს, იმერხევის გზაზე. იმერხევი და შავშეთი ისეა
 ერთმანეთზე დაკავშირებულ-გადაბმული, მათ შორის ისე
 მცირე მანძილია, რომ ორივე ეს კუთხე აღმინისტრატი-
 ულად, შეერთებულია და შეადგენს ერთ ნაწილს, რო-
 მელსაც განაგებს ნაწილის უფროსი და რომელიც ეკუთ-
 ვნის ართვინის ოლქს. მთელი ეს მიღამო შეიცავს 100-
 მდე დიდს თუ პატარა სოფელს. რაკი იმერხევი მოვიხსე-
 ნეთ, ცოტას მასზედაც შევჩერდებით მით უმეტეს, რომ
 ის შავშეთის ნაწილს შეადგენს.

III

შავშეთის და იმერხევის ხალხის ცხოვრება ერთმანეთი-
 საგან ბევრით არაფრით განირჩევა; მათი საზოგადო ცხოვ-
 რება ერთი სახისა და ერთი ხასიათის არის. ხალხი მაპ-
 მადიანია, აქაც ისევე მისდევენ ცხოვრებას, როგორც
 შავშეთში; მუშაობა და საქმიანობა აქაც ისევე იციან,
 ყაჩილობა და ქურდობა აქ სხულთ; ქალების გათხოვე-
 ბაც აქაც ისეა, როგორც შავშეთში; ქალები აქაც მუ-
 შაობენ, ჩადრებით დადიან, პირს არავის უჩვენებენ,
 ოჯახში ძრიელ ბევრს საქმეს აკეთებენ, ნამეტურ ყანაში
 მუშაობის დროს, და სხვაგან ტყეში, წისქვილში და აქა-
 ც საზოგადოთ ქალები დადიან; აქ ქალებს დიდი საქმე
 და ჯაფა-შრომა აწევთ კისერზე.

როგორც შავშეთია ჩვენს ისტორიაში და გეოგრა-
 ფიულ მწერლობაში უცნობი, ისევეა თითქმის იმერ ხე-

ვიც. იმერხევის ხელნებას კაცი ჩვენს ძველ წიგნებში ვერ-
 სად შეხვდება. ამის შესახებ არც ვახუშტის აქვს რამე
 ნათქვამი. იმერხევს ისინი შავშეთის ნაწილში მოიხსენე-
 ბენ და ეს სწორიც არის, მაგრამ რაკი გარემოებას ასე
 დაუყენებია საქმე და ერთი კუთხე შეორისაგან გაურჩევ-
 გაუცალკევებია, ამიტომ ჩვენც აქ მას კერძოთ შევეხებით.

იმერხევი ძევს შავშეთის დასავლეთის მხრით, კარჩ-
 ხალის მთის გორამდის. აღმოსავლეთით არსიანი, შავშე-
 შეთი და არტაანის მთები უძევს, სამხრეთით — ართვინი
 და ჩრდილოეთით შვენიერი და სამოთხის მსგავსი შირა-
 ტის ხევი. ეს დიდი და ვრცელი შირატის ხევიც მთლათ
 უცნობია ჩვენს რუკაზე. შირატის ხევი სხალტის ხეობას
 სამხრეთით რჩება. ეს ხეობა ბევრნაირი ღირსებით არის
 შემკობილი. შირატის მთების სიმაღლე 10-ათას ფურამ-
 დე უწევს. იმერხევში ერთი გზა გადადის აჭარის სოფელ
 მესიას ხეობიდან, მეორე გზა შირატის ხეობიდან და მე-
სამეც-ლივანიდან, ჭოროხის ნაპირას, ოპიზაზე კარგა მო-
შორებით.

შავშეთი და იმერხევი ერთმანეთზე ისეა გადაბმული,
 რომ კაცი, თუ კარგა არ იცნობს ამ ადგილებს, ძნელათ
 გაარჩევს ერთს მეორისაგან. იმერხევი შავშეთის აღმოსავ-
 ლეთის მხრიდან დაიწყება სოფ. გარყილუფას, ანუ შავ-
 მთის სიახლოესიდან. ამ სოფელსაც დასავლეთით წინ მიუჯის
 ქალის საფინავის ხეობა, რომელიც საკმარისათ ვრცე-
 ლია. ის მიემართება დასავლეთით მდინარე იმერამდის,
 სადაც მას უერთდება დიდი ხეობა, დასავლეთიდან მო-
 მავალი, რომელსაც ქვაბთა ჰქვია. ეს ხევები მდ. იმერს
 ქვემოთ სამხრეთით მიემართებიან გრეხით და მდინარე
 ჭოროხს ერთვიან. აღმოსავლეთ-სამხრეთით იმერხევს საზ-
 ლვრავს წიფთის მთა, დასავლეთ-სამხრეთით — ართვინი.

მოგზაური იმერხევს კარგათ მაშინ შენიშნავს და წარმო-
 იდგენს, როცა ის შირატის მთაზე ავა და მთელ დასავ-
 ლეთ-საქართველოს გადახედავს. აქედან ნათლათ ჩანს
 დასავლეთ და აღმოსავლეთ-საქართველოს მთებიც-კი.
 კაცი რომ ავა ამ მთაზე და იქიდან გადმოხედავს დი-
 დი ხნის დაღუპულს საქართველოს აღგილებს, მე არა
 მგონია, რომ მას გული არ ამოუჯდეს და არ შეწუხ-
 დეს...

იმერხევი შავშეთისაგან მით განირჩევა, რომ შავშე-
 თში უფრო ტყიანი აღგილებია, მასთანვე ვაკეებიც ხშირია,
 საყანე მინდვრებიც და საპალახეებიც, იმერხევი-კი მოკლე-
 ბულია ყოველსავე ამას. ის შედგება სულ შედუღებული
 ქართის მსგავს ჯლდებისაგან; ყოველ კუთხეში ხედავთ
 მაღალ, ძალიან მაღალ კლდებს, რომლებიც ერთი შე-
 ხედვით ლივანის ზოგიერთი კუთხეებს მოგაგონებენ. აი-
 ვლით ერთ დიდ მაღალ კლდეს და ახლა იქიდან უნდა
 დაეშვათ ძირს, ჩახვიდეთ რეა ათასი ფუტის სიმაღლიდან,
 გაიაროთ ხეობა და შემდეგ უნდა შეუდგეთ მაღალ კლდიან
 მთას. ამ გზებზე კაცი და ცხენი ისე ვერ გაივლის,
 რომ ყოველ წუთში მას შიში არ მოელოდეს. ზამთარში
 ხომ ბევრს ალაგას გავლა სულ არ შეიძლება. ასეთი გზე-
 ბის და მდებარეობის მიზეზით აიხსნება ის გარემოება,
 რომ იმერხეველები პირუტყვთა შორის ყველაზე უფრო
 ვიჩებს ამრავლებენ; ესენი არიან მათვეის ცხენის, ურე-
 ბის და ყველაფერის სამაგიერო. ყოველ კაცს ხუთი, ექვსი
 და მეტი ვირი ჰყავს; იმით მიაქვთ ყველაფერი, რაც-კი
 არის მათვეის საჭირო. აქ ვიჩები შეჩვეული არიან
 მეტ ვიწრო გზებზე სიარულს და ძალიან ოსტატურათაც
 დადიან.

იმერხევის მაღალ კლდიან მთებზე ალაგ-ალაგ კარ

ծաղօսի մռածու, մացրամ նայեալլ՛ո մըտո և ուշեցնեած օդու-
 քեցն լա, լուր առ ոսու, պայլուծաւ ամելլուց սամեցն;
 ամուրամ ոմերեցըլ զլենեյալուծ պայլու ամ լուրած
 կլայեցնեց նույալո գայուցանու բուզու եցնեած մոլլեցնու, և առ
 հնույացն եռլուց այ սահալոսու աջգոլլեցն. նոցուրու ույտ
 աջգոլլեցնեց այտ մոլլեցն գարարեցնու, րոմ յաւո գա-
 յուրուցնա, ույ ոյ րոցուր գաօսուցն և առոցուր գանչուցն
 ոմ սոմսեռ բուզու եռս մոլլեցնու; ոյնուան յաւո րոմ գալ-
 թոցարցնու, մորս սուլու առ ճաշուցն և ճանաւրուցն
 ոյլուցն!.. մըտո և այտ, րոմ այս առ ուրանչուն և
 առ ո՛ւրումո՞ն?

ոմերեցըլ զլենեցնու սահլեցնու ույտու նամենու, րո-
 ցուր պայմետնու; յանա, սածելու, ծույզու և սեցանու այսու
 ույտուցն մեռլուծ լուր գարեցնու; այսուր եալու ուղրու
 սուլամակ յըլուցն; Պայմելեցնուան Պայմարեցնու յընու գա-
 յուլեցնու ճածլու գոցանան պայլագուրու; Վամա-ևմա ամաժնուալ
 ույտ ուրուն, րոցուր պայլու մերուս մամելուանցնու. լուսուցն
 և մուս սամեցնեալ ույտու մուսգուցն, րոցուր պայմելենու.
 չամե պայլու սույտուննու այտ; այտ մըդրեցնեցնու; ծայ-
 մեցն ուսմալուրս անուցնուան. յալեցնու Յուր-ծագուտ ճասուց-
 նուան; րոցուր մուտերուս, յընու ույտ առ յանամույուսունցն,
 րոցուր պայմելու յալեցնու. մը Պայմելու այտու Պայմուցն-
 ցա: Ծոյնու մցնացրատ Պայմելու յէրու ոմերեցըլ յալու,
 րոմելմաւ Պուրուան լուամարայու լացուրունու: Սաճաւրեցն
 ծրանցնուու, հայնու ամեցնու ոյուտես և մերու տացուսու
 ցուտերա; պայմելու մցնացրու յը գայուցուրու, մացրամ ոմեր-
 եցըլ մըցուրեցնու առուանու, ոյնուանու, և առա ճայմրանցնու
 րաս.

ոմերեցնու սույտուննու մուտացնեցնու ույտ աջգոլլեց-
 նու, եցուցնու ան մուցնեցն, սաճաւ զայս աջգոլլեցնու և մաս-

თან წყლიანი; სოფლებიც ისეთივე შვენიერიებია, როგორც
 შავშეთში. სახლების ახლოს ხილის ხეები აქვთ გაშენე-
 ბული: ამრავლებენ ვაშლს, მსხალს და ნამეტურ თუთას.
 ამათში თუთა ისეთივე ტკბილია და დიდი მარცვალი
 იცის, როგორც შავშეთში; აქ თუთა მარიამობისთვეშიაც-
 კი მწიფდება. აქაურებს ხილი სხვა-და-სხვა ქალაქებში
 მიაქვთ გასასყიდათ და ადგილობრივიც იყიდება: არღაპა-
 ნიდან ვაჭრები და ქურთები მოჯიან, და ხილს ერბო-ყველზე
 და პურზე სცვლიან. ფუტკრის მოშენებასაც მრსდევენ იმერ-
 ხეველები; აპრეშუმის კეთებაც სცოდნიათ; წინეთ სამოს-
 ლის მასალის აქ ამზადებდნენ თურმე. იმერხევში მოდის
 პური, ქერი, სიმინდი და სხვა-და სხვა გვარი ბოსტნეუ-
 ლობა.

მე ბევრი ვეცადე, მაგრამ მცირეთ, დაახლოვებითაც
 ვერ შევადგინე ცნობები, თუ ჩთლათ იმერხევიდან წელი-
 წადში რამდენი ფასის რამეს გაიტანენ და გაჰყიდიან. სა-
 ზოვადოთ კი უნდა ითქვას, რომ იმერხევის ერი ბევრათ
 დაბლა უნდა იდგეს შავშეთის ერზე. იმერხეველები არა
 ნაკლებ მუშაობენ მათზე, მაგრამ, საუბედუროთ, ამათი ადგი-
 ლები-კი ისეთ ქვიან-ქვიშიანი აღმართ-დაღმართებია, რომ
 იქ ყანებს ყოველთვის განსაკუდელი მოელის და მტერი, ადგას
 თავზე. ქარი მოვა, მიწას წაიღებს, დიდი წვიმა,— მიწას ჩიი-
 ტანს და მთლათ ყანას გააფუჭებს ისე, რომ კაური იქ ვე-
 ლარას ნახავს. შავშელ-იმერხეველნი მხოლოთ იმით არიან
 ბედნიერნი, რომ, როგორც საერთოთ მაჰმადიანებს, მათ
 სახლში ხარჯზე ძრიელ მცირე მოთხოვნილება აქვთ, ერ-
 თობ მცირეთ ჭამენ! აქ თვე ისე გავა, რომ სახლში ხორ-
 ცი არ მოიხარშება... ერთი ცავი მჟადი მთელ ოჯახს
 ჰყოფნის. ერთ დღეს საჭმელების მოხარშეა ამათში
 სულ არ იციან!.. ეს მაჰმადიანებს აქვს შემჩნეული.

როგორც შავშეთში, იმერხევშიაც ისეთი დიდი თოვა-
 ლი იცის, რომ იქაური კაცი ზამთარში კარში ფეხს ვერ
 გამოდგამს. მთელი ზამთარი შინ სხედან და მხოლოდ გა-
 ზაფხულზე იწყებენ სიარულს და მუშაობას. აქაური მხენე-
 ლი ზაფხულშივე იწყებს საზამთრო სარჩოს მოპოვების და
 შენახვის თავდარიგს.

იმერხეველი გლეხი მეტათ მოუხევდა, მან არა-
 ფერი ამბები იცის; იქნება თითო-ოროლა მოხუ-
 ცებულებმა რამე ძველებური ამბები მოიგონონ, ისიც
 ისევ და ისევ თამარ დედოფლის შესახებ. ძველი ნაშე-
 ბის რიცხვიც ერთობ მცირეა აქ. უამთავითარებას
 ყველაფერი აღუგვია და მოუსპია!.. იმერხევში შენა-
 ხულა ქართული ენა და დღეს აქ მთელი ხალხი ქართუ-
 ლათ ლაპარაკობს, ან, როგორც თვით ამბობენ, „ქართუ-
 ლათ იტყვიან“.. იმერხევში ქართული ენის შენახვის საქ-
 მეს აქ უნდა რამდენიმე სტრიქონით შევეხოთ.

იმერხევში ქართული ენის შენახვის საქმე არის მე-
 ტათ საყურადღებო და მასთანავე საკვირველიც. დიდათ
 საკვირველია, რომ შავშეთში დაიკარგა ქართული ენა და
 მის ახლო მდებარე იმერხევში-კი დარჩა. მე ამის შესახებ
 ადგილობრივ გამოვიკითხე მიზეზები და სხვა-და-სხვა ნაი-
 რი ამბები გარდმომცეს. ერთმა მოხუცმა შემდეგი მიამპო:

— შავშეთში მიტომ დაიკარგა ქართული ენა, რადგანაც
 ჩენ ძველათ გავთაორებულვართ, იმერხეველნი-კი ჩენზე
 ასი წლის შემდეგ; ვითომც იმერხევი და შირატის ხევი
 ერთ დროს გათაორებულა. ამაზე აქვე მოვიყვანთ ცნო-
 ბას!

შირატის ხევის ერთ სოფელში ცხოვრებენ დარჩი-
 ძნები; ამათ სოფელს და მთებსაც ეს სახელწოდება აქვს
 მითვისებული. ერთი დარჩიდე 1878 წ. გადაცვლილა

65 წლისა. ამის მამა გარდაცვლილა 75 წლისა 1830 წლებში. ამ მოხუცის დედა ქრისტიანი ქალი ყოფილა, რომლის ქმარმა თურმე 1815 წ. სელიმ-ფაშას ხირხა-ტის ციხეში სიმინდი მუტანა, რისთვისაც ორი ფული აჩუქა მას სელიმ-ფაშამათ. ასე რომ ჩვენ ზედ მიწევნით იმერხევის და შირატის გათათრება 1780 წლებს უნდა ვაკუონოთ და შავშეთის გათათრება-კი 1680 წლებს. მე-ორე მოხუცის ნათქვამი:

— იმერხევში მიტომ დარჩა ქართული ენა, რადგანაც იმერხევის აღგილები ცუდი აღგილებია, გონჯი; იქ ოს-მალები არ ეტანებოდენ, იქ მათ ცხოვრება უძნელდე-ბოდათ, იმერხეველებიც ოსმალებს არას ერჩოდენ და ამიტომ იგინი დარჩენ. შავშელების საქმე-კი ასე არ იყოვო. შავშეთი ძველათვე გაიცხო ოსმალებით, აქ ჭურ-თებს და ოსმალებს ხშირი მისევლა-მოსვლა ჰქონდათ და ამიტომ ჩვენში ქართული დაივიწყა ხალხმა და ოსმალუ-რი შეისწავლაო. ამის შესახებ საუბარს რომ გავყვე, ეს ერთობ შორს წავა, მე-კი ის მიმაჩნია ჰეშმარიტებათ, რომ იმერხეველნი ოსმალთა დასტოვეს უყურადლე-ბოთ, მათ დევნა არ დაუწყეს, რადგან შიში არ ჰქონ-დათ იმათი. იყვნენ აქ, იცხოვრონ და არა უშავს რა, როგორც უნდათ, ისე ისაუბრონ, ბოლოს მაინც გა-გათათრებთო — ჰფიქრობდენ თათრები. აი, ამ მიზეზე-ბის მეოხებით შენახულა იმერხევში ქართული ენა და დღემდის მოუღწევია, მაგრამ დღეს-კი სხვაფერ მი-დის აქ საქმე. აქაც შეპარულა ოსმალური ენა და დღეს სოფელს წყალსიმერში ქართველ მაჰმადიანთ ბავ-შვები უკვე ოსმალურათ ეჩვევიან ლაპარაკს. მე თვით ვნახე ლომინაძის და სხვების ოჯახებში, რომ ბავშვები ოსმალუ-რათ ლაპარაკობდენ. სახლობაში თუმცა ქართულიც იციან

და მე ქართულათ მელაპარაკებოდენ, მაგრამ ოსმალური უფრო ეხერხებოდათ. ვნახე აგრეთვე რამდენიმე მენახირეები კარჩხალის მთაზე, რომელიც იმერხევის სოფლებიდან იყვენ და ერთმანეთში ისმალურათ ლაპარაკობდენ. ვინაობა გამოვყითხე და აღმოჩნდა, რომ მათ ქართული გვარები ჰქონდათ.

იმერხევში თათრული ენა უფრო გზის პირათ მდებარე სოფლებში შესულა და გავრცელებულა, თორემ სადაც მიყრუებელი და მიუვალი სოფლებია, იქ ხალხი ქართულათ ლაპარაკობს. ერთმა ქართველმა მაჰმადიანმა, რომელიც სახლში სულ ოსმალურათ ლაპარაკობს და რომელიც ჩემი მეგზაური იყო, იმერხევის შემოვლის დროს მიჩვენა ზოგიერთი სოფლები და დამარტინუნა, რომ ამ სოფლებში ხალხმა ქართული ენის მეტი ენა არ იცისო. თვითონაც ქართულათ ელაპარაკებოდა ყველას. ეს მე ძალიან საკვირლათ დამირჩა. აქვე აღვნიშნავ იმ სოფლების სახელებს და მათ შესახებ ცნობებს, რომლებიც იმერხევს ეკუთხის და საღაც ქართულათ ლაპარაკობენ.

შავშეთის დასავლეთით, ქალის საფინავის და ქვაბის თავთავის მთებისა და ხეობათა შეყოლებაზე სძვრს შემდეგი სოფლები:

- 1) სოხლეური, მთლათ ქართულად ლაპარაკობენ.
- 2) აგარა, ქართულათ ლაპარაკობენ. 30 კომლია.
- 3) შოლტის ხევი, მაღალ მთასაც შოლტის ხევი ეწოდება, ამ მთიდამ შირატის ხევზე გადმოდის გზა ჩრდილოთ. ქართულათ ლაპარაკობენ.
- 4) წეალსიმერი, ლაშიზი სოფელია, 50 კომლია. თათრული ენა შესულა ხმარებაში. ეკულესიაზე ჯამე დგას მინარეთანი. ამ სოფელში ბევრი ამბები იციან გათათრების შესახებ. თვით სოფელი მეტათ შვენიერია.

5, წითლოეთი, ქართულათ ლაპარაკობენ; 25 კომ-
ლია.

6) დაბანი, წყალსიმერს მაღლა, სამხრეთით, ქართუ-
ლათ ლაპარაკობენ. ამის ახლოს ერთ მთაზე დგას ეკ-
კლესია.

7) იფრხევი, ქართულათ ლაპარაკობენ, აქაური ძვე-
ლებური მებატონე სავარსამიდე ყოფილა. ეს გვარი ცნო-
ბილია „ქართლის ცხოვრება“-ში და „ამირან დარეჯანი-
ანშიაც“ მოიხსენება.

8) ეკეთი, ქართულათ ლაპარაკობენ.

9) გზათა, ქართულათ ლაპარაკობენ, თათრული აქ
არავინ იცის. აქვე ცხოვრებენ ზაქარიაძეები და ზოგნი
ამ სოფელსაც ზაქარიაძეს უწოდებენ; 40 კომლია.

10) სურგანი, ქართულათ ლაპარაკობენ. 40 კომ-
ლია.

11) უბე, ქართულათ ლაპარაკობენ.

12) ძირსი, ქართულათ ლაპარაკობენ.

13) ხემიწრილი, ქართულათ ლაპარაკობენ.

14) დაბა, ქართულათ ლაპარაკობენ. 25 კომლია.

15) ბეჭტიეთი, ქართულათ ლაპარაკობენ.

16) ზაქეთი, ქართულათ ლაპარაკობენ.

17) ბაჭგიერეთი, ქართულათ ლაპარაკობენ.

18) დეონიძე, ქართულათ ლაპარაკობენ. ამ სოფლის
მებატონენი ძველათ ლეონიძეები უოფილან. ამათი რიც-
ხვი აქ 5 კომლი ყოფილა. ერთი ლეონიძეთაგანი ჰასან-
ეფენდი-ხოჯა სულთანის შეილებს ლოცვების მასწავლე-
ბლათ იყო. ამის ძმა არიფ-აღა ლეონიძეც სახელოვანი
პირია სტამბოლში. ამ სოფელს ძველათ „დასაბმობი“
ეწოდებოდა.

სათლეს გასწვრივ, სამხრეთით მიღევს ხეობა, აქ აღ-

მოსავლეთის მთები ირგვლივ უვლის, ჩრდილოეთით კარ-
ჩხალამდე და აქ წიფთის ციხის მახლობლათ არის შემდე-
გი სოფლები იმერხევისა, სადაც ქართულათ ლაპარაკობენ.

- 19) ჩიხარი, ქართულათ ლაპარაკობენ; 40 კომლია.
- 20) ციხის ხევი, ქართულს ლაპარაკობენ.
- 21) უსტაშისი, ქართულად ლაპარაკობენ, 30 კომლი.
- 22) გრილ აგარა, ქართულს ლაპარაკობენ 25 კომლი.
- 23) ჰეივაური, აქ სომხებიც ცხოვრებენ 30 კომლი.
- 24) დიღანის ძირი, ქართულათ ლაპარაკობენ.
- 25) ჩაჭერა, ქართულათ ლაპარაკობენ. ამის ახლო
ხეობაში დაშორებილა პატარა ეკკლესია.
- 26) შავმთა, ბინა-ხადგური იონე შავთელისა. ამის
ახლოს ერთ ალაგას ეკკლესია მდგარა, მაგრამ ეს ადგი-
ლები მორდვეულა, წყალს გადუტანია ხევში და ეკკლე-
სიაც დაქცეულა, ვეება დიდი ალაგია მორდვეულ-მოხეთ-
ქილი. კარჩხალის მთის მხრით ძევს.
- 27) სარსანა, ქართულათ ლაპარაკობენ.
- 28) გორგოტიანა, ქართულათ ლაპარაკობენ.
- 29) ოქროს წუა, ქართულათ ლაპარაკობენ.
- 30) ახალ-დაბა, ქართულათ ლაპარაკობენ.
- 31) მორულ უფი, ქართულათ ლაპარაკობენ.
- 32) კვერცხი, ქართულათ ლაპარაკობენ. ეს სამი უკა-
ნასკნელი სოუელი იმერხევსა და შავშეთს შუა ძევს.
- 33) მიქელეთა, აქ ლაპარაკობენ თაორულ-ქართულს.
მიქელეთის ხეობაში არის აბანო და ამიტომ ამ ხეობის
აბანოს ხევი ეწოდება. აქ ხალხი დადის საბანაოთ. წყალი
თბილია.
- 34) მანატბა, 6 კომლია. ქართულათ ლაპარაკობენ.
- 35) წეფთის ბარი, 20 კომლია. ქართულათ ლაპა-
რაკობენ.

36) დეკა გულა, 10 კომლია.

ზემოხსენებულ სოფლებს გარდა სხვა წვრილი სოფლებიც ბევრია, მაგრამ მე ისინი არ დავასახელე, რადგანაც ერთი მეორეზეა მიწერილი. ყველა სოფელს აქვს თავისი ჯამე და მედრესები. იმერხევის და შავშეთის სოფლების განაპირათ მოჰყვება არდანუჯის და ართვინის სოფლები.

შავშეთში და იმერხევში ძველათ გამოჩენილი გვარები ყოფილია, მაგალითად: ათაბაგი (ჯაყელი), ლასურიძე, თურმანიძე, ფანცაძე, ფუტლარიძე, გორდაძე, ცეცხლაძე, ხიმშიაშვილი, კოკობიძე, ზაქარიძე, ლომინაძე, ლეონიძე, სავარსამიძე „ქართლის ცხოვრებაში“ ცნობილი და „ამირან დარეჯანიანშიც“ მოხსენებული, ქადაგიძე, მიქელიძე და ლომსაძე. ლომსაძის მამა ათი წლის წინეთ 80 წლისა გარდაცვლილია; ის ქრისტიანი ყოფილია. მაშინ იმერხევი ქრისტიანობდა თურმე. მიქელიძე ყოფილი სოფ. მიქელეთის მებატონე; პირველათ ის გათათრებულია და იმას მიუღია არტაანის უფროსობა.

ვახუშტის ჩვენებით, იმერხევი უნდა იგულისხმებოდეს ანაკერტის აღწერაში. მაგალითებრ, მოყვანილია ეს: „ანაკერტი: ჭოროხის ხევს მოერთვის ანაკერტის ხევი, აქარის მთიდამ, ამ ხევზედ არის, ჭოროხის აღმოსავლით, აქარის მთის კალთისკენ, ანაკერტი, დაბა დიდი და კარგი; ამის ზეით მოერთვის ჭოროხი შავშეთის მდინარეთა შორის. ამ შავშეთის და ანაკერტის შორის, ჭოროხის აღმოსავლეთით, აჭირის მთის კალთასვე, არის მონასტერი ნათლისმცემლისა. და იყო დიდ ხელოვნებით ქმნილი და შენებული. ამისინი შემდეგნი 12 მონასტერის თავი იყო, სადა ესვენა კორხი, იდგენ მოწესენი მონაზონი“. ეს ეკაკლესია ოპოზა არის. აქ რომ ვახუშტის კარ-

გათ არა აქვს აღწერილი, მე თავისუფლათ შეენიშნავ. ჩანს ვახუშტის ოსმალეთის საქართველო არც-კი შემოუყდია. იმერხევი თვალითაც არ უნახავს, თორემ ანაკერტს იმერხევის საზღვრებში არ მოაქცივდა.

სხვა-და-სხვა მოგზაურთა ჩვენებით, იმერხევშივე ძევს ანჩის ტაძარი, ბერთა და გამოჩენილი ციხე წევთისა. მე ვფიქრობ, რომ წევთა სწორეთ ის ციხე უნდა იყოს, რომელსაც ვახუშტი ხარიხის ციხეთ უწოდებს, რომელმაც სახელი მოიგო შემდეგი სიტყვით: „თუ ხარ შენ ციხე და არა სხვა“. ეს ციხე სწორეთ იმ ალაგას არის ჩვენებული, სადაც დღეს წევთა დგას და იმერხევის ნაწილს ეკუთვნის. მე ვფიქრობ, რომ იმერხევი იქნება ვახუშტის დროს აწინდელის სახელწოდებით არც-კი იყო, იქნება მას მაშინ სხვა სახელი ერქვა. ვახუშტის აზრით, იმერხევი ჭოროხის ხეობის და შავშეთის საზღვრებში იკარგება და არა ჩანს. ჩვენთა ძველთა მემატიანეთა თქმით, შავშეთსა და იმერხევში ბევრი რამ ნაშთები უნდა იყოს დარჩენილი, მაგრამ დღეს აქ ბევრი აღარაფერია, მძიმე ჭრიშხალს ცველაფერი აღუგვია.

იმერხევი და შავშეთი დღეს რუსეთის მთავრობის წინაშე დიდ ხარჯს არ იხდის: სულზე, ანუ კომლზე, 3 მანათიდან 7 მანათამდის ადის. როგორც ამბობენ, ამ ხარჯის გადახდა ხალხს არ აწუხებსო და ამიტომ ისინი დიდათ კმაყოფილნი არიან რუსის მთავრობისათ, რომ მთავრობა მათ მიუვალს და ყრუ ადგილების ვითარებას ყურადღებას აქცევს და ხალხს დიდი ხარჯით არა ტვირთავსო. მხოლოდ აწინდელმა ტყეების საქმემ-კი დიდათ შეაშინა ისინი და არ იცოდენ, რა ექნათ, ზოგი ერთნი აუწყებდენ მათ, რომ დღეიდან-კი თქვენ თქვენი ტყეები ჩამოგერთმევათო და ცველაფერი მთავრობის ხელში ვა-

დავაო. ამაზე დიდი აშლელობა მოხდა: ხალხმა მთავრობას თხოვნა მისცა. მთავრობამ ჩაიბარა მთელი შავშეთის ტყეები და ტყის მცველები დააყენა. ამ საქმის უმთავრეს საფუძვლათ გახდა ის გარემოება, რომ ოსმალეთში მიწები და ტყეები მხოლოთ სახელმწიფოს კუთხილებას შეადგენს. ასეთი პასუხი მოსცეს ოსმალებმა რუსეთის მთავრობის წარმომადგენელს დ. ბაქრაძეს, როცა ის სტამბოლში იყო გაგზავნილი აქაურს მიჰმადიანების ჩრდა-მფლობელობის გამოსაკვლევათ.

შავშელები და იმერხეველები ტანათ დაბალი ხალხია, მოშავო პირის ფერის, როგორც კაცები, ისე ქალებიც. ტანთსაცმლის შეკერილობა ცოტათი თუშ-ფშავ-ხეჭურებისას წააგავს: მოკლე ჩოხების ნაპირები ყაითნებით აქვთ შემოვლებული; კაცი ხამათ რომ შეხედავს შავშელს ნიმეობების კაცს, იმას თუშ-ფშავ-ხევსურელი ეგონება. მათში თუშების ცნობაც ყოფილა გავრცელებული, რაღანაც ზაფხულში არდაპანის მთებზე თუშებს კახეთიდან უხვარი დაპყავთ საძოვრათ; მთელი არდაპანის მთები ამათი ცხვრებით არის სავსე; არ უნდა დაივიწყოთ, რომ კახეთიდან შავშეთის მთებამდის 500 ასზე ნაკლები მანც არ იქმნება.



დანჩხეულში: მასთანვე „შუამავალში“.

ასაღ-სენაგში: თავართქილაძესთან წიგნის მაღაზიაში,
ბესარიონ დავითის ძე ქავთარაძესთან და სამსონ ყიფიანთან.

საჭიდლარში: „შუამავალში“ კოშ. თავართქილაძესთან.

ზუგდიდში: კნ. ანეტა დადიშველიანთან.

ხონში: ივანე შარაშიძესთან.

ჭიათურაში: ირაკლი დეკანოზიშვილთან.

საჩხერეში: ყარამან ჩხეიძესთან.

უკინრიდაში: (ზესტაფონში): დეკანოზ დავით ლამბაში-
ძესთან და ოლ. არაბიძის წიგნის მაღაზიაში.

წითელში: კირილე ხარაძესთან.

ონში: თავად ქიხოსრო გელოუანთან.

გორში: ნიკო ლომაურთან, მიხეილ ილურიძესთან
და რომანოზ ფანცხავასთან.

განჯაში: ალექსანდრე მიქაბერიძესთან და სოლომონ
დოლიძესთან.

ბაქოში: ილარიონ თაყაიშვილთან.

გაგაგაში: ალექსი კიკინაძესთან და ივანე ჩიტაშვილთან.

თელავში: ბარბარე პატას ასულ სულხანიშვილთან,
კრისტიან მარიამ ესტრატეს ასულ ვახვანიშვილთან და ივანე
კოლელიშვილთან.

სიღნაღმი: დ. მაჩხანელთან—დეპოში და თ. დ. ჩო-
ლოყაშვილთან.

ასაღციხეში: გრიგოლ ბურჭულაძესთან.

ასაღ ქადაქში: ილია ალხაზიშვილთან.

საშერში: იოსებ ნიკოლოზის ძე ფანცხალიასთან.

მოდითში: პავლე კურცხალიასთან.

ბრუთში: თ. განო ვალიშვილთან.

გუდაუთში: (სოხუმის ოლქში): გიორგი ბალდავაძესთან.

აჭარაზაში: მიხეილ გორდაძესთან.

შორაპენში: სამსონ ლუკას ძე ყაზიაშვილთან.

რედაქცია იღებს დასაუკლაო ცველა ენაზე კერძო
განცხადებებს.

შემდეგ ნომრებში იქნება დაბეჭდილი „კრებუ-
ლის“, ხელის მომწერთა სია.

«დრეს»: Тифлисъ. Въ редакцію „Кребули“. Го-
ловинскій проспектъ, д. кн. Мухранскаго.

„კვალი“

გამოდის 1897 წელს ყოველ გვირაში ერთხელ
ერთიდან სამ თაბახამდე

გაზეთი წლიურათ ღირს გაუგზავნელათ 7 მანეთათ,
ხოლო გაგზავნით 8 მანეთ. ნახევარი წლით გაუგზავნე-
ლათ 3 მან. 50 კაპ. გაგზავნით 4 მანეთ. სამი თვით გა-
უგზავნელათ 2 მანეთ. გაგზავნით 2 მან. 50 კ. თითო
ნომერი სამ შაურათ. ხელის მომწერლებს წლის ფული
შეუძლიათ ნაწილ-ნაწილათ გამოგზავნონ.

ს ე ლ ი ს მ ო წ ე რ ა მ ი ი დ ე ბ ა:

თფილისში არწრუნისეულ-ქარვასლაში: „ქართულ
სახალხო სამკითხველოში“, „წერა-კითხვის საზოგადოე-
ბის კანცელარიაში“ და თვით „კვალის“ და „ჯეჯილის“
რედაქტურაში. (Артиллер. ულ. д. Тамамшева, возлѣ
кадетскаго корпуса).

ქალაქს გარეშე: ქუთაისში: ვარლამ ჭილაძის, ვ. ბე-
რენებიშვილის, ხეთერელის წიგნის მაღაზიებში და ბ-ნ ლა-
ლიძესთან ზელტერის წყლის ქარანანაში.—ბათუმში: მათე
ნიკოლაძის უურნალ-გაზეთის სააგენტოში.—განჯაში: ალ.
მიქაბერიძესთან.—ფოთში: იოსებ კოხრეიძესთან.—მახარ-
ლოვში: (ხაშურში): იოსებ ფანცულაიასთან.—თბილეთში:
ივანე ჩიბალაიშვილთან.—გორში: არსენ კალანდაძესთან.—
უკირიდაში: ბ-ნ არაბიძის წიგნის მაღაზიაში.—საჩხერეში:
ყარ. ჩხეიძესთან და მარტოთ-უბანში—ი. ნადირაძესთან.

„ვნო გის ფურცლის“

რედაქცია

ტფილისი, ფრეილინის ქუჩა, № 13.

სელის მომწერნი გაზეთის დასაგეთად მიმართვენ
რედაქციას დილის 10 საათიდან 3 საათამდე და
საღამოს 6—7 საათამდე და „წერა-კითხვის გა-
მაფრცელებელ. სახ.“

ხელ მოუწერედ წერილებს რედაქცია არ ჰქვედას.
პირის-პირ მოღამარაკება რედაქტორთან შეიძლე-
ბა უფლება დგო.

ტელეფონი № 363.

გაზეთის ფასი: ერთი წლით 6 მან. ნახვა
რი წლით 4 მან თითო ნომერი 3 კაცებათ. ფა-
სი განცხადებისა ჩვეულებრივია: სტრიქონი პირ-
კებულ გვერდზე 10 კან., მეოთხეზე 5 კან.

Редакція

„Днобисъ Іурцели“
Тифлисъ, Фреилинская, № 13.

„ივერია“

გამოდის ამა 1897 წელს.

იმავე პროგრამმით. როგორც წინად.

ფასი გაზეთისა:

	გ.	ლ.		გ.	ლ.
12 თვით	10		6 თვით	6	—
11 "	9	50	5 "	5	50
10 "	8	75	4 "	4	75
9 "	8	—	3 "	3	50
8 "	7	25	2 "	2	75
7 "	6	50	1 "	1	50

საზღვარ-გარეთ დაბარებული 1898 წლის 1 იანვრამდე ელირება 17 მან.

თვეიდისს გაზეთ მცხოვრებთ უნდა დაიძარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

თემი „Иверия“.

ტცილისში ხელის მოწერა მიიღება „ივერიის“ ოფიციალურად, ნიკოლოზის ქუჩა, № 21 და „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების“ კანცელიარიაში, სასახლის ქუჩა, ქართ. თავად-აზნაურთა ქარვასლაში. თუ ტვე-დისში დაისარებული გაზეთი ტვეიდისს გარეშე აღრესზედ შესრულდა კინძემ, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მასათა; ხოლო თუ ქალაქის გარეთიდამ სისკა აღილს გადაკიდა სადმე ქადაქს გარედევ — თუ აბზი. თუ თვის განმავლობაში დაი-ნარ კინძემგ გაზეთი არა მთელის წლით, მას გაეგზავნება გაზეთი პირველ იმ თვიდამ, რომელსაც დამბარებული აღნაშნავს.

1896 წლის ხელის-მომწერთა საუკრადღებოდ.

იმათ, რომელთაც შარშან ბირველი იანვრიდგან მთელის წლით გამოიწერეს გაზეთი და თუმცნი წარმოადგინეს, გაზეთი მოეხსოვათ ამ ივნისტოს დამლევს. ვისაც ჰსურს ამ 1897 წლის დამლევამდე ეგზავნებოდეს გაზეთი, უნდა შემოიტანოს კიდევ 3 მან. 33 კაპ.

ქართველთა საყოველობრივი ამხანაგობა.

„ყუამაშალი“

ამით აცხადებს საყოველთავოდ, რომ მან გა-
მართა საბაკალეო და გასტრონომიული მაღაზიები,
სადაც მსურველთ შეუძლიათ შეიძინონ პირიანათ
სხვა და სხვა სანოვაგე, სანელი და ხილული; ჩა,
შაქარი, კაკაო და შეკოლადი; ღვინო, არაყი, და
სხვა და სხვა სასმელები აღვილობრივი, რუსეთისა და
სახლვარ-გარეთისა; პაპიროზი და თამბაქო სხვა და
სხვა ფირმებისა და ყოველ-გვარი საყოველდღეო
საჭირო საგნები.

1 ენკენისთვიდან გაიხსნა იქვე საყასბო, ევ-
რობიულად მოწყობილი, და გაიმართა მასთან სა-
ბაყლო და რძის ნაკეთობის განყოფილებები.

მაღაზიებში მკაცრად არის დაცული სისუფთა-
ვე და ზრდილობიანობა მუშტართან.

ამხანაგობა იღებს ქოშისით და უიდუღობს ნადდ
ფულად სოფლის მწარმოებელთაგან ერავნული მათს ნა-
წარმოებს.

შემოსვლა ამხანაგათ შეუძლიათ ყველას გა-
ნურჩევლად წილდებისა, სქესისა და სარწმუნოებისა.
სრული საწევრო წილი არის მხოლოდ ერთი თუმანი;
ამ წილის ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწი-
ლადაც. მსურველთ შეუძლიათ აიღონ რამდენიმე
წილი (რაოდენობა წილისა განუსაზღვრელია).

ადრესი კუთხე ბარონისა და ბაზრის ქუჩისა, სახლი
თ. კ. ი. მუხრან-ბატონისა, № ၄/၁.

სადღესასწაული შეგნიერი საჩუქრები.

„აღმოსავლეთის გაღაზია“

მმათა მერკერილაძეებისა

(ლორის მელიქოვის ქუჩაზე, ზუგალოვის სახლებში, სემი-
ნარიის პირდაპირ, № 4)

იყიდება კავკასიისა და იაკონიის საუცხო-
ვოთ დამზადებული ნაწარმოები — სადღესასწაულით
მისართმევი შეგნიერი საჩუქრები: ოქროთი მოვარა-
ყებული ზუთმაბი, ძვლისა, რძისა, ბრინჯაოსი და
ვერცხლის ნივთები; ნაბღები ჩალისა და კაცისა,
საგაფურები (კალენიკები), ჩაბალახები, გათ-
რახები, ჩამარა-ხანჯლები, ხელები, როგორც დი-
დებისა, ისე ყმაწვილებისა, კახური ჟვანიერი ლე-
ჩაძის არჭივები.

აბრეშუმებულობა ჩინეთისა და იაკონიისა:
დამზადებული ხალათები, ჯუბები, თავსაფრები,
მრავალი ცხეირსახეობები, ფანჯა თეორეულისა-
თვის, ჩესუნება და სხვა.

მაღაზის აქვს სამაგალითო სამკრიზალო-
სახელოსნო, სადაც მზადდება ჩვენებური საუცხო-
ვო ტანისამოსი.

აქვე იყიდება: იმპრული, შეზრული, დიგო-
რული, და ლეპური ჟალები, თიბითიკები და სხვა
და სხვა.

ფასები ყველა საქონელზე გადაჭრილია. ვისაც
სურს ზედ დადებილი ფასით საქონლის გამოწერა,
წინ-და-წინ უნდა გამოგზავნოს საქონლის ლირებუ-
ლობის ერთი მესამედი.